გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

დანართი

# სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია

წევრები:

მაგდა ბარამაძე, თინა შელია, დავით გუდაძე, იზაბელა ფერიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 236098851 სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი საავტორიზაციო განაცხადის საფუძველზე, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2022 წლის 27 მაისის MES 9 22 0000548643 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით - თაბუკა ციმინტია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე), მაგდა ზარამაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი) და დარგის ექსპერტები (წევრები): თინა შელია, დავით გუდაძე, იზაბელა ფერიშვილი (შემდგომში „ექსპერტთა ჯგუფი“) დაგვევალა 2022 წლის 13, 14, 15 ივნისს, დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება მცხეთის რაიონის სოფელ წინამძღვრიანთკარში, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში.

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (შემდგომში „კოლეჯი“ ან „დაწესებულება“ ან დასახელება სრულად) ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებგვერდსა და მასზე გათავსებულ ინფორმაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნებსა და საოქმო გადაწყვეტილებებს. დაწესებულებაში ბოლო ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის იანვრის თვეში, კოლეჯმა მოიპოვა

ღონისძიების ორგანიზების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება წინამძღვრინთკარის ბაზაზე.

2022 წლის 8 ივნისს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულების პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის კოლეჯის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

2022 წლის 13, 14, 15 ივნისს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი კოლეჯში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, კურსდამთავრებულებს, პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს, დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა, კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული ლაბორატორიები, რის შედეგადაც სრულად შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშრებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი.

## III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

| სტანდარტი/კომპონენტი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება | ☑ | ☐ | ☐ | ☐ |
| 1.1) პსდ-ს მისია | **სრული 3** | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | **სრული 3** | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | **სრული 3** | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | **მეტწილი 2** | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 4) ადამიანური რესურსები | ☐ | ☑ | ☐ | ☐ |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | სრული 3 | **მეტწილი 2** | ნაწილობრივი 1 | |
| 4.2) პერსონალის განვითარება | მეტწილი 2 | **მეტწილი 2** | ნაწილობრივი 1 | |
| 5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | **მეტწილი 2** | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | **სრული 3** | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.3) ფინანსური რესურსები | **სრული 3** | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |



## საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

----

## IV. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

2.1.1.

- რეკომენდაცია - გასწორდეს პროგრამაში დაშვებული ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლებაში მითითებულია მინისტრის ძველი ბრძანება ნაცვლად „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებისა - გასწორებულია, პროგრამაში არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლების ადმინისტრირების მიზნით, მითითებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანება;
- რეკომენდაცია - „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულში გამოჩნდეს თუ რა წილი უჭირავს თითოეულ საგანს, ანუ რომელ საგანზე რამდენი კრედიტია მინიჭებული - გასწორებულია, „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულში განსაზღვრულია თითოეული საგნის მოცულობა კრედიტებში;
- რეკომენდაცია - გადაიხედოს და ჩასწორდეს ტექნიკური უზუსტობები დაწესებულების ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესში“ - შესრულებულია, დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის N 04-03 (11.01.2019) ბრძანებით დამტკიცებული წესი, რომელშიც ცვლილებები განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის N04-10 (20.01.2022) ბრძანებით, თუმცა დოკუმენტის 3.9 პუნქტის ჩანაწერი წინააღმდეგობაშია ავტორიზაციის 4.1.1.3 სტანდატების მოთხოვნებთან, კეროდ დაწესებულების ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესში“ მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „3.9 თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და დაურთავს კოლეჯის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამის პროექტს“. მოცემული დებულების მიხედვით, ხარისხის მართვის მენეჯერი ჩართულია იმ პროცესში, რომელიც წარმოადგენს ხარისხის მონიტორინგის ობიექტს. დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიურებისას, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი

დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს და „შესაბამისობის გეგმით“ განსაზღვრულ ვადებში განახორციელებენ შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზიას.

2.2.1.

- რეკომენდაცია - სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახლად აყვანილი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ჩატარდეს ტრენინგი სწავლებისა და შეფასების მიმართულებით - შესრულებულია, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ტრენინგების დასწრების ფურცელი, რის მიხედვითად ირკვევა, რომ 2022 წლის 23 მაისს კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის ჩატარდა ტრენინგი, სადაც განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა: მოდულის სტრუქტურა, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, შეფასების მტკიცებულებების მოპოვება, შეფასების ვალიდაცია და ვერიფიკაცია, შეფასების უწყისის წარმოება, კალენდარული გეგმის შექმნა, მასალა-ნედლეულის, მატერიალური რესურსების მოთხოვნის, გამოყენების, განკარგვის საკითხები, ტრენინგს ესწრებოდა სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 21 პროფესიული განათლების მასწავლებელი.
- რეკომენდაცია - პროგრამიდან, როგორც მოდულის განმახორციელებელი პირი, ამოღებული იქნას ხარისხის მართვის მენეჯერი - შესრულებულია, პროგრამიდან, როგორც მოდულის განმახორციელებელი პირი, ამოღებულია ხარისიხს მართვის მენეჯერი.

2.3.1.

- რეკომენდაცია - გადაიხედოს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი,“ რათა ჩასწორდეს დუბლირებული საკითხები მარეგულირებელ დოკუმენტებში - შესრულებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები არ მოიცავს დუბლირებულ საკითხს, ბოლო ცვლილებები განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 10 ივნისის №04-90 ბრძანებით, თუმცა კმაყოფილების კვლევის ობიექტურობისა და სანდოობის, ასევე ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია გამოკითხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

იყოს ანონიმური (მაგ. პროფესიული განათლების მასწავლებლის გამოკითხვა) და კითხვების რაოდენობა ლოგიკური, (მაგ. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვის კითხვარის მიხედვით, შეკითხვათა რაოდენობა შეადგენს 51-ს, მასწავლებელთა გამოკითხვის კითვარში კითხვათა რაოდენობაა 48, ამ რაოდენობის კითხვებზე პასუხის გაცემა ერთი შეფასების პირობებში გამოიწვევს რესპოდენტთა არაგულწრფელ დამოკიდებულებას.

რეკომენდაცია - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ფილიალების რაოდენობიდან გამომდინარე, დაამატოს ხარისხის მართვის სპეციალისტის საშტატო ერთეული და შექმნას ხარისხის მართვის სამსახური - შესრულებულია, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 31 იანვარს დამტკიცებულია ახალი საშტატო განრიგი და დამატებულია ხარისხის მართვის სპეციალისტის საშტატო ერთეული, საანგარიშო პერიოდში ექსპერტთა ვიზიტისას მოცემულ პოზიციაზე დანიშნული იყო ერთი თანამშრომელი, კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პირთა რაოდენობა შეადგენს 2-ს.

2.4.1.

- რეკომენდაცია - გაიმიჯნოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, რათა მარტივად მოხდეს სასწავლო გრაფიკის/ცხრილის შედგენა, როგორც ინტეგრირებულ, ასევე არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში - შესრულებულია, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 20 იანვრის №04-11 ბრძანებით შესულია ცვლილებების სასწავლო გეგმებში და გამიჯნულია სასწავლო და დამოუკიდებელი საათები;
- რეკომენდაცია - ინტეგრირებული სასწავლო გეგმა განაწილდეს 3 სასწავლო წელზე, რათა სტუდენტებისათვის გათვალისწინებული იქნას არდადეგები და დასვენების დღეები. წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამის სწავლება რეალურად გაგრძელდება 4 წელს. შესაბამისად ისეთი შემთხვევები, როგორიცაა კვირეული დატვირთვა 18-20 საათი აღმოიფხვრება - შესრულებულია, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 20 იანვრის №04-11 ბრძანებით შესულია ცვლილებების სასწავლო გეგმებში და ინტეგრირებული სასწავლო გეგმა განაწილდა 3 სასწავლო წელზე.
- რეკომენდაცია - ინტეგრირებული სასწავლო გეგმით გამოჩნდეს „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულის საკონტაქტო საათები კვირეულ დატვირთვაში როგორაა გადანაწილებული მოდულში შემავალი საგნები - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და გეოგრაფია - შესრულებულია, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 20 იანვრის №04-11 ბრძანებით შესულია ცვლილებები სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმებში და ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში გამოჩნდა „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულის საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა (საგნები - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და გეოგრაფია);

- რეკომენდაცია - ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში ინტეგრირებული მოდულების სწავლება ერთდროულად იწყება, სასურველია თუნდაც ერთი მოდული - „მეცნიერება და ტექნოლოგიის“ განხორციელება დაიწყოს სწავლის დაწყებიდან ერთ ან ორ თვეში, რადგან სწავლების პირველ თვეებში მეტი ყურადღება გამახვილდეს დარგობრივ მოდულებზე, სტუდენტები უფრო მეტად გაეცნონ მომავალ პროფესიას - შესრულებულია, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 20 იანვრის №04-11 ბრძანებით შესულია ცვლილებები სასწავლო გეგმებში და ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში მოდულების განხორციელება დაიწყება სწავლის დაწყებიდან ერთ ან ორ თვეში. ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში ინტეგრირებული მოდულების სწავლება დასრულდება პროგრამის დასრულებამდე ერთი ან 2 თვით ადრე.
- რეკომენდაცია - სასურველია როგორც ინტეგრირებულ, ასევე არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში სწავლების დასაწყისში ისწავლებოდეს „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ მოდული, რომლის სწავლებიდან მიღებულ ცოდნა-უნარებს სტუდენტები გამოიყენებენ დარგობრივ მოდულებში - შესრულებულია, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 20 იანვრის №04-11 ბრძანებით შესულია ცვლილებები სასწავლო გეგმებში;
- რეკომენდაცია - სასწავლო გეგმაში უცხო ენისთვის კვირეული დატვირთვა 20 და 30 სთ შემცირდეს და განისაზღვროს სტუდენტთა ინტერესებიდან გამომდინარე - შესრულებულია, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 20 იანვრის №04-11 ბრძანებით შესულია ცვლილებები სასწავლო გეგმებში;
- რეკომენდაცია - ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში ინტეგრირებული მოდულების სწავლება სასურველია დასრულდეს პროგრამის დასრულებამდე ერთი ან 2 თვით ადრე, რადგან დადასტურების კომისიამ დროულად მოამზადოს დასკვნა და დროულად განხორციელდეს კვალიფიკაციის მინიჭება - შესრულებულია, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 20 იანვრის №04-11 ბრძანებით შესულია ცვლილებები სასწავლო გეგმებში.

2.4.2.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

- რეკომენდაცია - სტუდენტთა შეფასების პროცესები იყოს აღწერილი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, ხოლო ვერიფიკაციის პროცესები „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“ შესრულებულია, კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია სტუდენტთა შეფასების პროცესები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესები „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“;
- რეკომენდაცია - შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში ჩართული იყოს პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო ვერიფიკაციის პროცესში დარგის სხვა სპეციალისტი, ეს იქნება დარგის სხვა მასწავლებელი თუ წარმომადგენელი დამსაქმებელი ორგანიზაციიდან - შესრულებულია, კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია ვალიდაციის პროცესში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ჩართვის საკითხები;

- რეკომენდაცია - პასუხისმგებელმა პირმა სისტემატურად ჩაატაროს შეხვედრები პროფესიულ სტუდენტებთან შეფასების სისტემის გაცნობის მიზნით - შესრულებულია, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრების დამადასტურებელი დასწრებს ფურცლები;

- რეკომენდაცია - დაწესებულებამ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენოს პროგრამების განვითარების კუთხით. კერძოდ; ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა - შესრულებულია, მოცემული მექანიზმები გაწერილია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“, ხოლო შესრულების მტკიცებულებები წარმოდგენილია ცალკეული პროგრამების შემთხვევებში.

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

## VII. რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

IV სტანდარტი

- ინდიკატორი 4.1.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები რიგ შემთხვევებში საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ:
  - საქმისმწარმოებლის პოზიციისათვის ერთ-ერთ საკვალიფიკაციო მოთხოვნად გაწერილია „უმაღლესი განათლება ან/და სერტიფიცირება", სასურველია კოლეჯმა, დააკონკრეტოს რას გულისხმობს სერტიფიცირებაში, რადგან გრადაცია უმაღლეს განათლებასა და სერტიფიცირებას შორის საკმაოდ დიდია, მით უმეტეს, რომ კვალიფიკაციის ველში მოთხოვნილია ფილოლოგია, სამართალმცოდნეობა, ან/და ოფისის მენეჯერის, საოფისე საქმის სპეციალობა. ფილოლოგიის, სამართალმცოდნეობის უმაღლესი განათლების ფლობა არ გულისხმობს საქმისწარმოების საკითხების ცოდნას. შესაბამისად, რეკომენდებულია კოლეჯმა დააზუსტოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

  - რიგი პოზიციების შემთხვევაში, კოლეჯის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შეიძლებოდა იმგვარად განსაზღვრულიყო, რომ კოლეჯს შეძლებოდა შესაბამისი კომპეტენციის კადრების აყვანა, მაგალითად: დამლაგებლის/მძღოლის საკვალიფიკაციო მოთხოვნად მითითებულია პროფესიული ან/და სრული ზოგადი განათლება, ხოლო კოლეჯის ერთ-ერთი მძღოლი ფლობს საბაზო (არასრული საშუალო) განათლებას, რის გამოც ის ვერ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნას; - ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით რიგ შემთხვევაში არასწორადაა გაწერილი ანგარიშგების კომპონენტიც, მაგალითად, მძღოლი ანგარიშგებას ახდენს დირექტორის წინაშე, ეს მაშინ, როდესაც მძღოლის უშუალო ხელმძღვანელი სამეურნეო მართვის მენეჯერია. მძღოლის ერთ-ერთ ფუნქციად კომპეტენციის ფარგლებში შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი პასუხის მომზადებაა.

  რისთვისაც კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის" ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობების და ფუნქცია მოვალეობების გადახედვა/დარეგულირება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი. მოცემულ დროში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

აქტივობის შესრულება რეალისტურია, ვინაიდან დაწესებულებასთან ინტერვიურებიით დადგენიდა, რომ ისინი იზიარებენ მოცემულ რეკომენდაციას და აქვთ მზაობა ცვლილებები განახორციელონ შიდა მარეგულირებელ აქტში.

- ინდიკატორი 4.1.1.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებში ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ უნდა გადახედოს შიდა მარეგულირებელ აქტს - „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას“ და დოკუმენტის 3.9 მუხლის დებულებები მოიყვანოს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან. კერძოდ, კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის'' 3.9 მუხლში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი - „თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და დაურთავს კოლეჯის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამის პროექტს“, ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით თავად პროცესი ექვემდებარება მონიტორინგს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, წარმოადგენს ინტერესთა კონფილიქტს, შესაბამისად მოცემული დებულება წინააღმდეგობაშია 4.1.1.3 სტანდარტის მოთხოვნებთან. მოცემული აქტივობისათვის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის“ ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა/გაუმჯობესება/ახალის შექმნა, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი. მოცემულ დროში აქტივობის შესრულება რეალისტურია, ვინაიდან დაწესებულებასთან ინტერვიურებით დადგენიდა, რომ ისინი იზიარებენ მოცემულ რეკომენდაციას და აქვთ მზაობა ცვლილებები განახორციელონ შიდა მარეგულირებელ აქტებში. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული დრო რელევანტურია, ვინდაინ დაწესებულება სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

- ინდიკატორი 4.1.2.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, პერსონალის ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, კერძოდ:

- ლოჯისტიკის სპეციალისტის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კოლეჯში მოქმედი რეგულაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომლის მიხედვით, ამ პოზიციაზე დასაქმებული პირის კვალიფიკაცია უნდა იყოს საბუნებისმეტყველო, ფინანსების, ეკონომიკური ან/და ბიზნეს-ადმინისტრირების, ლოჯისტიკის მიმართულებით, რეალურად კი კოლეჯში დასაქმებულ პირს აქვს საერთაშორისო ურთიერთობების პროფესიული კვალიფიკაცია;
- შესყიდვების სპეციალისტის, რეესტრის წარმოების სპეციალისტს, კოლეჯის სამეურნეო მართვის მენეჯერს, სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს  პირადი საქმეებით არ უდასტურდებათ სამსახურში აყვანის მომენტისათვის სამუშაო გამოცდილების არსებობა დაწესებულების მიერ განსაზღვრული ოდენობით;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რეალურად, კი ამ პოზიციაზე დასაქმებული პირი ჯერ სტუდენტია. აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნებისათვის, კოლეჯში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2022 წლის 16 ივნისის №02-109 ბრძანებით დანიშნულ იქნა ახალი თანამშრომელი, რომელსაც უდასტუდება სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების მიმართულებით ტრენინგების გავლის დოკუმენტები. მოცემული პოზიციისათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრული



საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ითვალისწინებს არანაკლებ 3 წლიან სამუშაო გამოცდილებას, რაც წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება. ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ მოცემულია დასაქმებულის მხოლოდ რეზიუმეში;
- აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ზოგიერთი პოზიციის (მაგალითად, დამლაგებელი, დამლაგებელ-დიასახლისი, მძღოლი) საკვალიფიკაცოო მოთხოვნად მითითებულია პროფესიული ან/და სრული ზოგადი განათლება. კოლეჯში დასაქმებულ ერთ-ერთ მძღოლს მხოლოდ უდასტურდება არასრული საშაულო განათლება;
- არ უდასტურდება კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი უნდა ჰქონდეს შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამა. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განხორციელდა საკადრო ცვლილება და კოლეჯის 2022 წლის 14 ივნისის №02-105 ბრძანებით კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოზიციაზე დანიშნულ იქნა ამავე კოლეჯის სხვა პოზიციაზე დასაქმებული პირი, რომელსაც უდასტურდება შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით განსაზღვრული მოთხოვნები.

თუმცა, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო ქვეატივობად მოცემულია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობების და ფუნქცია მოვალეობების გადახედავა/დარეგულირება აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი. მოცემულ დროში აქტივობის შესრულება რეალისტურია, ვინაიდან დაწესებულებასთან ინტერვიურებით დადგენიდა, რომ ისინი იზიარებენ მოცემულ რეკომენდაციას და აქვთ მზაობა პერსონალთის მართვასთან დაკავშირებული დებულებები მოიყვანონ შესაბამისობაში როგორც კანონმდებლობის, ისე შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან.

## V სტანდარტი

- ინდიკატორი 5.1.1.5 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, თუმცა დაწესებულებაში პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა ჰყავდეს არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რისთვისაც კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №0455) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია მატერიალური, ფინანსური რესურსის გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაუმჯობესება, ხოლო ქვეატივობად მოცემულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის გადამზადება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 აგვისტო. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოცემული დრო შეფასებულია რელევანტურად, ვინაიდან კოლეჯს უკვე ჰყავს შერჩეული პირი, რომელიც ემზადება სერტიფიცირებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

- ინდიკატორი 5.1.2.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული არ არის კომპეტენტურ ორგანოსთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოლეჯმა წარმოადგინა წერილი, რის მიხედვითაც დასტურდება, რომ კოლეჯის მოთხოვნა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული იყოს კომპეტენტურ ორგანოსთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში რეგისტრირებულია შემდეგი ნომრით №1513980; 07.06.2022წ. ამასთან, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა", რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია მატერიალური, ფინანსური რესურსის გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაუმჯობესება, ხოლო ქვეატივობად მოცემულია უსაფრთხოების ნორმების გაუმჯობესება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 აგვისტო. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოცემული დრო შეფასებულია რელევანტურად, ვინაიდან კოლეჯს უკვე გაგზავნილი აქვს დოკუმენტი შეთანხმებისათვის.

<u>განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება</u>

I სტანდარტი

- ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ ჯერ დაამტკიცოს პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები და შესაბამისი მეთოდოლოგიის დაცვით წარმართოს პროცედურები, ასევე რეკომენდებულია დაწესებულებამ სწორად შეაფასოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, რაც დაეხმარება ადეკვატური ღონისძიებები განახორციელოს ბაზარზე წარმატებული ფუნქციონირებისათვის, კერძოდ, დაწესებულება ძლიერ მხარეებად განსაზღვრული აქვს „ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შედგენილი პროფესიული პროგრამები; პროგრამაზე ადაპტირებული გარემო და მათი განხორციელება; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები, სახელოსნოები; კადრების განვითარებაზე ზრუნვა და ხელშეწყობა", ამასთან სუსტ მხარეებში მოცემულია - „მოდულური პროგრამებისთვის არასაკმარისი სახელოსნოები; კვალიფიციური პროფესიული მასწავლებლების სიმცირე", რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთწინააღმდეგობაშია. კოლეჯს შესაძლებლობებში განსაზღვრული აქვს „პროფესიული სტუდეტების ინიციატივების მხარდაჭერა“, რაც ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებაა და არა შესაძლებლობა.

- ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ ზუსტად განსაზღვროს წლიური სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი და პროცესში ჩართული პირები, მაგალითად, 2.1 აქტივობის - 2022 წელს სტუდენტებისა და მსმენელების მიღება-ჩარიცხვა შესრულებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ადმინისტრაცია, ხოლო ჩართული მხარეები არიან კოლეჯის დირექტორი და კოლეჯის ადმინისტრაცია, მოცემული ჩანაწერით ვერ დგინდება პროცესზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი, 2.2 აქტივობის - შერჩეული პროგრამების შეფასება/შეცვლა 16

გაუმჯობესება შესრულებაზე პასუხისმგებელი და პროცესში მონაწილე პირები არიან ერთიდაიგივე პირები - ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი. აღნიშნული მიუთითებს, დაწესებულების მიერ პროცესების მართვის პრინციპებისა და მიდგომების გააანალიზების საჭიროებაზე.

II სტანდარტი

სამივე პროგრამისათვის საერთო რეკომენდაცია:

ინდიკატორი 2.3.1.2 - რეკომენდებულია „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული) შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“-ში გაიწეროს რა შემთხვევაში ხდება პროგრამაში ცვლილებების განხორციელება, რა ტიპის ცვლილებების განხორციელების დროსაა დაწესებულება აღნიშნული აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და რა ვადაში, რა ვალდებულება აქვს დაწესებულებას დუალურ პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში როგორ იქცევა დაწესებულება, იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის.

ინდიკატორი 2.4.2.3 - რეკომენდებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებლ წესში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობაა „შევსებული შეფასების ინსტრუმენტების" ნაცვლად ჩანაცვლდეს „შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები"

III სტანდარტი

- ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები, თუმცა რეკომედებულია:

- დაწესებულებამ გადახედოს შიდა მარეგულირებს აქტს (შინაგანაწესი) და ჩანაწერები მოიყვანოს შესაბამისობაში პროფესიული განათლების სპეციფიკასთან;
- დაწესებულებამ დააზუსტოს პროფესიული სტუდენტის ვალდებულებები და აღნიშნული ვალდებულება დაუკავშიროს სასწავლო მიზნებს, კერძოდ კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესის" მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის მიხედვით, სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს მასწავლებლისა და ადმინისტრაციის წევრების მოთხოვნები, რომელიც შეიძლება არ არის გაწერილი შინაგანაწესსა და პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.
- დაწესებულებამ პერიოდულად მოახდინოს შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზია და დებულებები მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, ვრცლად იხილეთ 3.1.1.1 კომპონენტის აღწერა;
- დაწესებულებამ განსაზღვროს პროფესიული განათლების სპეციფიკის შესაბამისი უფლებები და ვალდებულებები, კერძოდ - კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესის" მეორე თავი - სწავლის განაწესი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის, მისი კანონიერი წარმომადგენლის უფლებებსა და მოვალეობებს, რაც შესაბამისობაშია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დებულებებთან, თუმცა დაწესებულებას მოცემულ შიდა მარეგულირებელ აქტში განსაზღვრული აქვს ისეთი დებულებები, რომელიც არ არის რელევანტური პროფესიული განათლების სპეციფიკასთან და პროცესების ადმინისტრირებასთან; კეროდ მოცემულია ჩანაწერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

პროფესიული სტუდენტის მიერ სილაბუსის გამოთხოვასა და გაცნობასთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებად განსაზღვრულია სწავლის საფასურის გადახდა.

- დაწესებულებამ განსაზღვროს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ დუალური მიდგომის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში პარტნიორის სასწავლ-საწარმოს ინფორმირების საკითხები. იმის გათვალისწინებით, რომ დუალური პროგრამის ფარგლებში პროფესიული მოდულების 50% და მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ანუ პარტნიორ სასწავლო-საწარმოში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც სტუდენტის, ისე პარტნიორი კომპანიის ინტერესებიც.
- დაწესებულებამ გადახედოს მოდულის/სწავლის შედეგის გადაბარების პროცესს და გასაზღვროს გონივრული ვადები. კერძოდ - კოლეჯში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტის შედეგების დადასტურებისა და შეფასების გასაჩივრების პროცედურები: თუ მოდული სხვა მოდულის წინაპირობაა, შეფასების შედეგი სტუდენტს ეცნობება შეფასების თარიღიდან ორი დღის, ხოლო თუ სხვა მოდულის წინაპირობა არ არის, ერთი კვირის ვადაში, თუმცა იმავე რეგულაციის ერთ-ერთი პუნქტი იქვე ამბობს, რომ შეფასება სტუდენტს ეცნობება 3 სამუშო დღის ვადაში. სასურველია, კოლეჯის შესაბამის რეგულაციაში დაზუსტდეს გონივრული ვადა შეფასების შედეგების ინფორმირებასთან დაკავშირებით. სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურების უფლება პროფესიულ სტუდენტს ორჯერ აქვს, ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებულია გადაბარების ვადები როგორც წინაპირობის მქონე, ასევე წინაპირობის გარეშე არსებული მოდულების შემთხვევაში, გათვალისწინებულია კონკრეტული მოდულების სწავლების სეზონურობა და სხვა არსებული სპეციფიკა. როდესაც მოდული არის სხვა მოდულის დაშვების წინაპირობა, პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგის/კრიტერიუმის განმეორებითი დადასტურება შეუძლია ორჯერ, შესაბამისი მოდულის დასრულებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში. ნიშანდობლივია, რომ 7 კალენდარული დღის ვადაში, მოდულის/სწავლის შედეგის ორჯერ გადაბარების დაშვება არ არის რელევანტური, რადგან მოცემული ვადა არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ სტუდენტმა ჯერ ერთხელ გადააბაროს მოდული/სწავლის შედეგი, შემდეგ დაელოდოს შეფასების შედეგს, გაასაჩივროს შეფასების შედეგი და თუკი სააპელაციო კომისია მის სასარგებლოს არ გადაწყვეტს საკითხს, მეორედ მოუწიოს გადაბარება;
- დაწესებულებამ დაარეგულიროს საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პირობები, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

- ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას. თუმცა, კმაყოფილების კვლევის ობიექტურობისა და სანდოობის, ასევე ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია გამოკითხვა იყოს ანონიმური (მაგ. პროფესიული განათლების

  მასწავლებლის გამოკითხვა) და კითხვების რაოდენობა ლოგიკური (მაგ. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვის კითხვარის მიხედვით შეკითხვათა რაოდენობა შეადგენს 51-ს, მასწავლებელთა გამოკითხვის კითხვარში კითხვათა რაოდენობაა 48, ერთი შეფასების ფარგლებში ამდენი კითხვის არსებობა არარელევანტურია და გამოიწვევს რესპოდენტთა არაგულწრფელ შეფასებებს.

IV სტანდარტი

- ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულება ზუსტად განსაზღვროს წლიური სამოქმედ გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულებაზე პასუხიმგებელი და პროცესში ჩართული პირები, მაგალითად, 2.1 აქტივობის - 2022 წელს სტუდენტებისა და მსმენელების მიღება-ჩარიცხვა შესრულებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ადმინისტრაცია, ხოლო ჩართული მხარეები არიან კოლეჯის დირექტორი და კოლეჯის ადმინისტრაცია, მოცემული ჩანაწერით ვერ დგინდება პროცესზე პასუხიმგებელი პირ(ებ)ი, 2.2 აქტივობის - შერჩეული პროგრამების შეფასება/შეცვლა გაუმჯობესება შესრულებაზე პასუხისმგებელი და პროცესში მონაწილე პირები არიან ერთიდაიგივე პირები - ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი. აღნიშნული მიუთითებს, დაწესებულების მიერ პროცესების მართვის პრინციპებისა და მიდგომების გააანალიზების აუცილებლობაზე.

- ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ პერსონალის მართვისას გაითვალისწინოს პერსონალის აყვანის/შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესაბამისი პროცედურები და მოთხოვნები კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად, ვრცლად იხილეთ 4.1.2.2 ინდიკატორის აღწერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

V სტანდარტი

- ინდიკატორი 5.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. თუმცა, დაწესებულების მიერ არ არის დარეგულირებული პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ინფორმაციის ასახვის პროცედურები. სისტემაში ინფორმაციის ასახვის თაობაზე ზოგადი ჩანაწერი მითითებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მართვის წესში, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროცედურული დოკუმენტი.

- ინდიკატორი **5.2.3.1** დაკმაყოფილებულია**,** დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს, თუმცა, კოლეჯის ვებგვერდზე არაა სრულყოფილი ინფორმაცია დაწესებულების სხვა სასწავლო ადგილის (დაბა თიანეთი სტეფანწმინდა), აღნიშნულის თობაზე ზოგადი ინფორმაცია იძებნება პროგრამის კატალოგში, რისთვისაც რეკომენდებულია თვალსაჩინოდ განათავსოს ინფორმაცია პროგრამის განხორციელების ადგილების თაობაზე, რაც გაზრდის დაწესებულების ცნობადობას, საზოგადოების ინფორმირებულობას და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას.

- ინდიკატორი 5.2.3.2 დაკმაყოფილებულია**,** დაწესებულებას აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას, თუმცა კოლეჯი საკუთარ ძლიერ მხარედ ასახელებს უცხოელ პარტნიორებს და შესაძლებლობად განიხილავს პროფესიულ სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, შესაბამისად რეკომენდებულია კოლეჯმა შექმნას უცხოენოვანი ვებგვერდი, რაც გააადვილებს უცხოელი პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას.

## VIII. სტანდარტების შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის მისია ხაზს უსვამს დაწესებულების ორიენტირს ხელი შეუწყოს ინდივიდის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდას და ისწრაფვის მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის. კოლეჯი საკუთარი მისიით ეხმიანება პროფესიული განათლების ისეთ მიზნებს, როგორიცაა: „სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

2. კოლეჯის მისიის მიხედვით, ირკვევა, რომ ის მრავალპროფილურია და იძლევა შესაძლებლობას დაწესებულებამ განახორციელოს სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, თუმცა დაწესებულებისთვის წამყვანი დარგია სოფლის

მეურნეობა. მისია არის მოკლე, გასაგები და მამოტივირებელი, ამასთან ხაზს უსვამს შრომის ბაზართან მჭიდრო თანამშრომლობით საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზე ორიენტირებულ მიდგომებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან.

3. დაწესებულების ხედვა და ღირებულებები თავსებადია კოლეჯის მისიასთან და ითვალისწინებს მისიით განსაზღვრული მიმართულებების რეალიზებასთან დაკავშირებულ მიდგომებსა და პრინციპებს. ისწრაფვის ჩამოყალიბდეს ლიდერ კოლეჯად კვალიფიციური კადრების მომზადებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების კუთხით, რითაც ხელს შეუწყობს როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. კვალიფიციური ადმინისტრაციული და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის საშუალებით, ასევე კერძო, საჯარო და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით განახორციელოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ინტეგრირებული და არაინტეგირებული, მოდულური და დუალური, ასევე მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამები.

დაწესებულების ხედვასა და ღირებულებებში გაცხადებული ორიენტირის პრაქტიკაში რეალიზების მიზნით, კოლეჯი ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფისთვის სასწავლო საწარმოების ჩართულობით ახორციელებს სხვადასხვა მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, როგორც მოდულური, ისე დუალური მიდგომით;
- უწყვეტი განათლების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად ახორციელებს პროფესიული გადამზადების პროგრამებს;
- კერძო სექტორთან და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის გზით სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გაეცნონ საერთაშორისო პრაქტიკას სწავლების თუ დარგის განვითარების მიმართულებით, მათ შორის უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიზიტის გზით;
- ხელს უწყობს კურსდამთავრებულებს საკუთარი ბიზნესის წამოწყებასა და თვითდასაქმებაში, კონსულტირების გზით;
- კოლეჯის შიდა აქტები არ არღვევს საზოგადოების წევრთა უფლებებს, არ ქმნის ხელოვნურ ბარიერებს და ხელს უწყობს თანამშრომლობითი ურთიერთოებების ჩამოყალიბებას, რითაც პასუხობს დაწესებულების ღირებულებებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

თანამშრომლობითი და თანასწორი გარემოს შექმნა; ადამიანის უფლებების დაცვა; სწავლის თანაბარი ხელმისაწვდომობა; დაწესებულების ღიაობა, გამჭვირვალობა;

- დაწესებულებაში ძირითადი პროცესის წარმართვისათვის იქმნება სამუშაო ჯგუფები, რომლებიც გუნდური მუშაობის პრინციპების გათვალისწინებით წარმართავენ საქმიანობას, რითაც კოლეჯი ეხმიანება საკუთარ ღირებულებებს - გუნდურობა;
- კოლეჯში არაერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით, სწავლების პროცესში ინტენსიურადაა ჩართული დამსაქმებელი ორგანიზაციები, რითაც ეხმიანება საკუთარ ღირებულებას - შრომის ბაზარზე ორიენტირებულობა;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.

4. „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის, შეცვლისა და გაუმჯობესების წესი" არეგულირებს დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნის, გაზიარებისა და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელების წესსა და პროცედურებს. ზემოაღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია პროცესზე პასუხისმგებელი და ჩართული პირები. მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებში ასევე, მისიის, ხედვის, ღირებულებების ცვლილებების გატარების პროცესში ჩართულნი არიან პროფესიული სტუდენტები, კოლეჯის პერსონალი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები/დამსაქმებლები და მოწვეული სხვა დაინტერესებული მხარეები. დაინტერესებულ მხარეებად განსაზღვრულია - აპლიკანტი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი, ადმინისტრაციის თანამშრომელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი. კოლეჯში შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე მისიის, ხედვის, ღირებულებების შეცვლა შესაძლოა განხორციელდეს დაწესებულების დირექტორის ან სხვა დაინტერესებული პირის ინიცირებით.

კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები განახლებულია 2021 წელს, კერძოდ მისიაში შევიდა ცვლილებები და დაემატა ჩანაწერი დაწესებულების მრავალპროფილურობის განსაზღვრის მიზნით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მტკიცებულებები კოლეჯის მისიის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესთან დაკავშირებით, რის მიხედვითაც დასტურდება კოლეჯის პარტნიორების, კერძო და საჯარო სტრუქტურების, პროფესიული მასწავლებლებისა და სხვა პირთა ჩართულობა, წარმოდგენილია მიმოწერისა და სამუშაო 23

შეხვედრების ამსახველი მტკიცებულებები, საზოგადოების გამოხმაურებები და რჩევები, რაც ასახულია კოლეჯის მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში.

კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე, დართული აქვს კოლეჯის სტრატეგიულ გეგმასა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს.

კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში საზოგადოების ჩართულობისა და მათ მიერ გაზიარების ფაქტი დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიურების შედეგებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 2020 წლის 30 ივლისის N04-125 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის, შეცვლისა და გაუმჯობესების წესი“;
2. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები;
3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ივლისის N04-126 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის 2020 – 2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
4. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, 2022 წელი;
5. კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მტკიცებულებები: კერძო და საჯარო სტრუქტურების, პროფესიული მასწავლებლებისა და სხვა პირთა მიმოწერა, სამუშაო შეხვედრების ამსახველი მტკიცებულებები, საზოგადოების გამოხმაურებები და რჩევები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

6. კოლეჯის ვებგვერდი - https://tmk.edu.ge/.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ივლისის N04-125 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის, შეცვლისა და გაუმჯობესების წესი“ არეგულირებს დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცედურებს. შიდა მარეგულირებელი აქტის მიხედვით განსაზღვრულია სტრატეგიულ დაგეგმვასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები, კოლეჯის მისიის ხედვისა და ღირებულებების, კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნაზე/შეცვლაზე პასუხისმგებელი პირები, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების/შეცვლის/გაზიარების წესი, სტრატეგიული

და სამოქმედო გეგმის შემუშავების/შეცვლის/გაზიარების წესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგია, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშგების პროცედურები.

კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და მის შემუშავებაში ჩართულნი არიან პროფესიული სტუდენტები, კოლეჯის პერსონალი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები/დამსაქმებლები და მოწვეული სხვა დაინტერესებული მხარეები. დაინტერესბულ მხარეებად განსაზღვრულია - აპლიკანტი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი, ადმინისტრაციის თანამშრომელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი. აღნიშნულის დასტურად, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია მტკიცებულებები სტრატეგიული და სამოქმედო შემუშავების პროცესთან დაკავშირებით, რის მიხედვითაც დასტურდება კოლეჯის პარტნიორების, კერძო და საჯარო სტრუქტურების, პროფესიული მასწავლებლებისა და სხვა პირთა ჩართულობა, წარმოდგენილია მიმოწერისა და სამუშაო შეხვედრების ამსახველი მტკიცებულებები, დასწრების ფურცლები, საზოგადოების გამოხმაურებები და რჩევები, რაც ასახულია კოლეჯის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.

თუმცა, დაწესებულების 2020 – 2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია 2020 წლის 30 ივლისის N04-126 ბრძანებით, ხოლო „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის, შეცვლისა და გაუმჯობესების წესი" - კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ივლისის N04-125 ბრძანებით. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, რომელი მეთოდოლოგიით იხელმძღვანელა დაწესებულებამ მოქმედი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა წარმოადგინა დაწესებულებაში 2020 წლამდე მოქმედი 2016 წელს დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიური დოკუმენტი, თუმცა მოცემული დოკუმენტი პროცედურულად არ ასახავდა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს, მასში ზოგადი ჩანაწერი იყო მოცემული. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიურებისას, მან განაცხადა, რომ კოლეჯში ამჟამად მოქმედი სტრატეგიული დაგეგმვის პროცედურული მეთოდოლოგია პროექტის სახით მუშავდა და პარალელურად მიმდინარეობდა კოლეჯში სტრატეგიული გეგმის, მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებასთან დაკავშირებული სამუშაოები, შესაბამისად დაწესებულების 2020 – 2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა და მისი შემუშავების მეთოდოლოგია ერთ დღეს დამტკიცდა, თუმცა დაწესებულება ფუნქციონირებისას დაეყრდნობა მოცემული შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულ პროცედურებს.
კოლეჯი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებს SWOT ანალიზს, ახორციელებს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე, საფრთხეებისა და შესაძლებლობების გაანალიზებას. თუმცა, მიზანშეწონილია დაწესებულებამ სწორად შეაფასოს საკუთარი ძლიერი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, რაც დაეხმარება ადეკვატური ღონისძიებები განახორციელოს ბაზარზე წარმატებული

ფუნქციონირებისათვის. კერძოდ, დაწესებულებას ძლიერ მხარეებად განსაზღვრული აქვს „ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შედგენილი პროფესიული პროგრამები; პროგრამაზე ადაპტირებული გარემო და მათი განხორციელება; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები, სახელოსნოები; კადრების განვითარებაზე ზრუნვა და ხელშეწყობა“, ამასთან სუსტ მხარეებში მოცემულია - „მოდულური პროგრამებისთვის არასაკმარისი სახელოსნოები; კვალიფიციური პროფესიული მასწავლებლების სიმცირე“, რაც ურთიერთწინააღმდეგობაშია. კოლეჯს შესაძლებლობებში განსაზღვრული აქვს „პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერა“, რაც ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებაა და არა შესაძლებლობა.

სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარეობს სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა დგება ერთწლიანი პერიოდისათვის და ის ემთხვევა კალენდარულ წელს. მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა დგება მიმდინარე წლის გეგმის დასრულებისას მისი შესრულების ანგარიშის გათვალისწინებით. სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შედგენისას/ცვლილებების შეტანისას საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ადმინისტრაციის თანამშრომელთა ანგარიშების, SWOT ანალიზის, პროფესიული მასწავლებლებისა და სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარების ანალიზის, სხვადასხვა კვლევის შედეგების გათვალისწინება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მტკიცდება/ცვლილებები შედის კოლეჯის დირექტორის მიერ სამეთვალყურეო საბჭოსთან მათი შეთანხმების შემდეგ.

სამოქმედო გეგმის/სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებენ კოლეჯის დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ, სამოქმედო გეგმის მონიტირინგი წელიწადში ორჯერ (6 თვეში ერთხელ და წლის ბოლოს). საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. ასევე, შეფასების შედეგები კოლეჯის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს კოლეჯი იყენებს შემდგომი განვითარებისათვის. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშების გაანალიზების შემდეგ საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშზე დაყრდნობით, ხარისხის მართვის მენეჯერი დირექტორის სახელზე წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ანგარიშის შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დადგეს კონკრეტული შემსრულებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი ან მიღებული იქნას წახალისების გადაწყვეტილება განსაკუთრებით კარგად შესრულებული სამუშაოსათვის. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების შედეგები გაზიარდება დაინტერესებული პირების წრესთან მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით და წარედგინება დირექტორს, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოსთან წელიწადში ორჯერ გამართული ანგარიშის წარდგენის ფარგლებში.

აღნიშნულის დასტურად დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მტკიცებულებები კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მონიტორინგის განხორციელების მიზნით, მათ შორის შუალედური ანგარიშები და მათი განხილვის ოქმი (14.07.2021, ოქმი №2) წლიური ანგარიშები (2018, 2019, 2020, 2021) და მათი განხილვის ოქმები (11.02.2022, ოქმი№1; 27.01.2021, №1; 15.01.2020, ოქმი№1; 30.01.2019, №2). წარმოდგენილია ხარისხის მართვის მენეჯერის მიმოწერა მონიტორინგის პროცესის ადმინისტრირების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ ჯერ დაამტკიცოს პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები და შესაბამისი მეთოდოლოგიის დაცვით წარმართოს პროცედურები, ასევე რეკომენდებულია დაწესებულებამ სწორად შეაფასოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, რაც დაეხმარება ადეკვატური ღონისძიებები განახორციელოს ბაზარზე წარმატებული ფუნქციონირებისათვის, კერძოდ, დაწესებულება ძლიერ მხარეებად განსაზღვრული აქვს „ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შედგენილი პროფესიული პროგრამები; პროგრამაზე ადაპტირებული გარემო და მათი განხორციელება; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები, სახელოსნოები; კადრების განვითარებაზე ზრუნვა და ხელშეწყობა“, ამასთან სუსტ მხარეებში მოცემულია - „მოდულური პროგრამებისთვის არასაკმარისი სახელოსნოები; კვალიფიციური პროფესიული მასწავლებლების სიმცირე“, რაც ურთიერთწინააღმდეგობაშია. კოლეჯს შესაძლებლობებში განსაზღვრული აქვს „პროფესიული სტუდეტების ინიციატივების მხარდაჭერა“, რაც ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებაა და არა შესაძლებლობა.

2. კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და მის შემუშავებაში ჩართულნი არიან პროფესიული სტუდენტები, კოლეჯის პერსონალი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები/დამსაქმებლები და მოწვეული სხვა დაინტერესებული მხარეები. დაინტერესებულ მხარეებად განსაზღვრულია - აპლიკანტი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი, ადმინისტრაციის თანამშრომელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 2020 წლის 30 ივლისის N04-125 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის, შეცვლისა და გაუმჯობესების წესი“ არეგულირებს დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცედურებს.

სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები, რომელთა განხორციელებამ კონკრეტული სამოქმედო გეგმის მიხედვით ხელი უნდა შეუწყოს კოლეჯის განვითარებას (ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები), ადამიანური რესურსების მდგრად გაუმჯობესებას (შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარებას, დასაქმების თუ თვითდასაქმების შესაძლებლობას, შემოსავლის მიღებას და თვითრეალიზებას), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების განვითარებას, პროფესიული განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, პროფესიული სტუდენტებისათვის მხარდამჭერი ღონისძიებების გატარებას, შრომის ბაზრის ამჟამინდელი თუ სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილებით რეგიონის ეკონომიკური განვითარების/სიღარიბის შემცირების ხელშეწყობას და კრიზისულ სიტუაციებში კოლეჯის მოქნილობას. სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილების (პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ) საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის N25ნ ბრძანების მიხედვით. სტრატეგიის წარმატებით განხორციელებაზე პასუხისმგებლობას იღებს კოლეჯი სამინისტროს, სააგენტოების, დამსაქმებლების, დასაქმებულებისა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების, კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების, სტუდენტებისა 29

და მათი მშობლების, მთლიანად, სამოქალაქო საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული პირის აქტიური ჩართულობითა და მონაწილეობით.
ზემოაღნიშნულის დასტურად დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მტკიცებულებები კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესთან დაკავშირებით, რის მიხედვითაც დასტურდება კოლეჯის პარტნიორების, კერძო და საჯარო სტრუქტურების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

პროფესიული მასწავლებლებისა და სხვა პირთა ჩართულობა, წარმოდგენილია მიმოწერისა და სამუშაო შეხვედრების ამსახველი მტკიცებულებები, საზოგადოების გამოხმაურებები და რჩევები, რაც ასახულია კოლეჯის სტრატეგიულ დოკუმენტებში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ისინი იცნობენ და იზიარებენ კოლეჯის სტრატეგიულ გეგმას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ივლისის N04-126 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის 2020 – 2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა“ გაწერილია 7 წლიან პერიოდზე. აღწერილია კოლეჯის მატერიალურტექნიკური ბაზა, კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები, SWOT ანალიზი, სტრატეგიული მიზნები, სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანები, ამოცანების შესაბამისი აქტივობები და მათი შესრულების წლები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი და პროცესში ჩართული პირები.

კოლეჯის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია 7 სტრატეგიული მიზანი, მათ შორის: ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება; არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება; მატერიალური რესურსისა და ინფრასტრუქტურის განვითარება; სტუდენტების მხარდაჭერის სერვისის განვითარება; კოლეჯის ადამიანური რესურსების განვითარება; ხარისხის მექანიზმების განვითარება; კოლეჯის ცნობადობის გაზრდაზე ზრუნვა.

კოლეჯის მიერ განსაზღვრული სტრატეგიული მიზნების შესაბამისადაა წარმოდგენილი სტრატეგიული ამოცანები, ხოლო სტრატეგიული ამოცანების შესრულების მიზნით წარმოდგენილია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N04-27 ბრძანებით დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ამოცანები, აქტივობები, განხორციელების ვადები, ჩართული მხარეები, პასუხისმგებელი პირი, რესურსები, დაფინანსების წყარო და შესრულების ინდიკატორები, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ ზუსტად განსაზღვროს წლიური სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი და პროცესში ჩართული პირები, მაგალითად, 2.1 აქტივობის - 2022 წელს სტუდენტებისა და მსმენელების მიღება-ჩარიცხვა შესრულებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ადმინისტრაცია, ხოლო ჩართული მხარეები არიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორი და კოლეჯის ადმინისტრაცია, მოცემული ჩანაწერით ვერ დგინდება პროცესზე პასუხიმგებელი პირ(ებ)ი, 2.2 აქტივობის - შერჩეული პროგრამების შეფასება/შეცვლა გაუმჯობესება შესრულებაზე პასუხისმგებელი და პროცესში მონაწილე პირები არიან ერთიდაიგივე პირები - ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი. აღნიშნული მიუთითებს, დაწესებულების მიერ პროცესების მართვის პრინციპებისა და მიდგომების გააანალიზების საჭიროებაზე.

კოლეჯი წელიწადში ორჯერ ახორციელებს სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს, რისთვისაც წარმოდგენილია შუალედური ანგარიშები.

კოლეჯს ვებგვერდზე განთავსებული აქვს წლიური გეგმების შესულების ანგარიშები (2021, 2020, 2019, 2018), წარმოდგენილია ანგარიშების განხილვის დამადასტურებელი სამეთვალყურეო საბჭოს საოქმო გადაწყვეტილებები (27.01.2021, №1; 15.01.2020, ოქმი№1; 30.01.2019, №2)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ ზუსტად განსაზღვროს წლიური სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი და პროცესში ჩართული პირები, მაგალითად, 2.1 აქტივობის - 2022 წელს სტუდენტებისა  და მსმენელების მიღება-ჩარიცხვა შესრულებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ადმინისტრაცია, ხოლო ჩართული მხარეები არიან კოლეჯის დირექტორი და კოლეჯის ადმინისტრაცია, მოცემული ჩანაწერით ვერ დგინდება პროცესზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი, 2.2 აქტივობის - შერჩეული პროგრამების შეფასება/შეცვლა გაუმჯობესება შესრულებაზე პასუხისმგებელი და პროცესში მონაწილე პირები არიან ერთიდაიგივე პირები - ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი. აღნიშნული მიუთითებს, დაწესებულების მიერ პროცესების მართვის პრინციპებისა და მიდგომების გააანალიზების საჭიროებაზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 2020 წლის 30 ივლისის N04-125 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის, შეცვლისა და გაუმჯობესების წესი“;
2. კოლეჯის  დირექტორის 30 ივლისის N04-126 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის 2020 – 2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N04-27 ბრძანებით დამტკიცებული 2022 წლის სამოქმედო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. წლიურ გეგმების შესულების ანგარიშები (2021, 2020, 2019, 2018), ანგარიშების განხილვის დამადასტურებელი სამეთვალყურეო საბჭოს საოქმო გადაწყვეტილებები (11.02.2022, №1; 14.07.2021, №2; 27.01.2021, №1; 15.01.2020, ოქმი№1; 30.01.2019, №2);
5. სამოქმედო გეგმების შესრულების შუალედური ანგარიშები;
6. ხარისხის მართვის მენეჯერის მიმოწერა სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შერულების მონიტორინგის პროცესის ადმინისტრირების მიზნით;

კოლეჯის პარტნიორების, კერძო და საჯარო სტრუქტურების, პროფესიული მასწავლებლებისა და სხვა პირთა ჩართულობის დამადასტურებელი მიმოწერებისა და სამუშაო შეხვედრები ამსახველი მტკიცებულებები, საზოგადოების გამოხმაურებები და რჩევები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

1. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 2020 წლის 30 ივლისის N04-125 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის, შეცვლისა და გაუმჯობესების წესით“ განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგია. სამოქმედო გეგმის/სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებენ კოლეჯის დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ, სამოქმედო გეგმის მონიტორინგი - წელიწადში ორჯერ (6 თვეში ერთხელ და წლის ბოლოს). საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები კოლეჯის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევებისა და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს კოლეჯი იყენებს შემდგომი განვითარებისათვის. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშების გაანალიზების შემდეგ საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, ხარისხის მართვის მენეჯერი დირექტორის სახელზე წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ანგარიშის შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დადგეს კონკრეტული შემსრულებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი ან მიღებულ იქნას წახალისების გადაწყვეტილება განსაკუთრებით კარგად შესრულებული სამუშაოსათვის. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების შედეგები გაზიარდება დაინტერესებული პირების წრესთან მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით და წარედგინება დირექტორს, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოსთან წელიწადში ორჯერ გამართული ანგარიშის წარდგენის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულის დასტურად კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ხარისხის მართვის მენეჯერის მიმოწერა სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შერულების მონიტორინგის პროცესის ადმინისტრირების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტების ცვლილების შედეგად კოლეჯმა გააანალიზა საკუთარი სტრატეგიული დოკუმენტები და მათი გაუმჯობესების მიზნით დაიწყო მუშაობა, რის შედეგადაც მოქმედი სტრატეგიული გეგმა, მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია 2020 წლის ივლისის თვეში.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების, განხილვისა და შედეგების გათვალისწინების პრაქტიკა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმებულ იქნა კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურებისას.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია წლიურ გეგმების შესულების ანგარიშები (2021, 2020, 2019, 2018). ანგარიშები განხილულია კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე, რის დასტურადაც წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს საოქმო გადაწყვეტილებები (11.02.2022, №1; 27.01.2021, №1; 15.01.2020, ოქმი№1; 30.01.2019, №2); საოქმო გადაწყვეტილებებში ჩანს კოლეჯის მიერ აქტივობების შეუსრულებლობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

ან ნაწილობრივ შესრულების მიზეზების განხილვისა და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმებში შესაბამისი ღონისძიებების გათვალისწინების ფაქტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2.პერსონალის შეფასების საფუძველზე, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის პერსონალის განვითარებისისთვის ხელშეწყობა არის კოლეჯის სამოქმედო გეგმის ნაწილი, რაც განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის №N04-97 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის მე-17 მუხლით. პერსონალის მიერ დაკისრირებული ფუნქცია-მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისას დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები განსაზღვრულია ზემოაღნიშნული შინაგანაწესის მე-15 და მე-16 მუხლებით. პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული მექანიზმების პროცედურული დოკუმენტი - კოლეჯის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქცია დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 10 ივნისის 04-88 ბრძანებით.
საანგარიშო პერიოდში კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დირექტორის ბრძანებები პერსონალის სტიმულირების ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

3. კოლეჯის მიერ წლიურ გეგმების შესულების ანგარიშები (2021, 2020, 2019, 2018) განხილულია კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე, რის დასტურადაც წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს საოქმო გადაწყვეტილებები (27.01.2021, №1; 15.01.2020, ოქმი№1; 30.01.2019, №2); აღნიშნული სამოქმედო გეგმები, შესრულების ანგარიშები და სამეთვალყურეო საბჭოს საოქმო გადაწყვეტილებები განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

1. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 2020 წლის 30 ივლისის N04-125 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის, შეცვლისა და გაუმჯობესების წესი";

2. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია წლიური გეგმების შესულების ანგარიშები (2021, 2020, 2019, 2018). ანგარიშები განხილულია კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე, რის დასტურადაც წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს საოქმო გადაწყვეტილებები (11.02.2022, №1; 27.01.2021, №1; 15.01.2020, ოქმი№1; 30.01.2019, №2);
3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის №N04-97 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
4. კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;
5. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 10 ივნისის 04-88 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქცია;
6. კოლეჯის დირექტორის ბრძანებები პერსონალის სტიმულირების შესახებ; 7. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები; 8. კოლეჯის ვებგვერდი - https://tmk.edu.ge/.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯ წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფას.

კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესის" მეორე თავი - სწავლის განაწესი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის, მისი კანონიერი წარმომადგენლის უფლებებსა და მოვალეობებს, რაც შესაბამისობაშია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დებულებებთან, თუმცა დაწესებულებას მოცემულ შიდა მარეგულირებელ აქტში განსაზღვრული აქვს ისეთი დებულებები, რომელიც არ არის რელევანტური პროფესიული განათლების სპეციფიკასთან და პროცესების ადმინისტრირებასთან, კეროდ მოცემულია ჩანაწერი „პროფესიული სტუდენტის მიერ სილაბუსის გამოთხოვასა და გაცნობასთან დაკავშირებით", პროფესიული სტუდენტისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებად განსაზღვრულია სწავლის საფასურის გადახდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს შიდა მარეგულირებს აქტს (შინაგანაწესი) და ჩანაწერები მოიყვანოს შესაბამისობაში პროფესიული განათლების სპეციფიკასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესის“ მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის მიხედვით, სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს მასწავლებლისა და ადმინისტრაციის წევრების მოთხოვნები, რომელიც შეიძლება არ არის გაწერილი შინაგანაწესსა და პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. აღნიშნულთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ დააზუსტოს მოცემული ჩანაწერი და აღნიშნული ვალდებულება დაუკავშიროს სასწავლო მიზნებს.
კოლეჯში მოქმედებს დირექტორის N04-152 (13.12.2019) ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და დირექტორის N04-69 (12.07.2021) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი“, აღნიშნული რეგულაციები მოიცავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის და გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასთან, სწავლის შედეგების დადასტურებასა და კვალიფიკაციის მინიჭების, პროფესიული სტუდენტების ინფორმირების, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მექანიზმებს. ლექციები/პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილი ცხრილით, რომელიც ყოველი სასწავლო კვირის დასაწყისში განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილას. კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ყოველ დღე გარდა შაბათისა (არსებობს გამონაკლისი შემთხვევები) და კვირისა, ერთ ცვლაში. პროფესიული სტუდენტები ისვენებენ საქართველოს ორგანული კანონით ,,შრომის კოდექსით'' გათვალისწინებულ უქმე და დასვენების დღეებში. დისტანციურ რეჟიმში სწავლების კომპონენტები გამოიყენება ფორსმაჟორული ვითარების დროს, პროფესიულ სტუდენტთა ავადობის ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობების დროს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც გამორიცხავს კოლეჯის ტერიტორიაზე მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ერთდროულად ყოფნას. დაწესებულება პრაქტიკის დაწყებამდე ორი კვირით ადრე უკავშირდება პარტნიორ ორგანიზაციას/პრაქტიკის ობიექტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის დასაგეგმად. პროფესიული სტუდენტის ლექციიდან/პრაქტიკული მეცადინეობიდან გათავისუფლების უფლებამოსილება ენიჭება დირექტორს, რისთვისაც პროფესიული სტუდენტი წერს განცხადებას დირექტორის სახელზე. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს აპლიკანტის ჩარიცხვის ეტაპებს საბაზო, საშუალო და უმაღლეს, მათ შორის დუალური და ინტეგრირებული მიდგომის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

(რეგისტრაცია, შერჩევა, შედეგების გამოცხადება და ჩარიცხვა). პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ნიშნავს პროფესიული სტუდენტისგან დროებით (3 წელი) სწავლის შეჩერებას, ხოლო სტატუსის აღდგენა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, რისთვისაც პროფესიულმა სტუდენტმა კოლეჯს განცხადებით უნდა მიმართოს. სტატუსშეჩერებული პირი სწავლას გააგრძელებს იმ ეტაპიდან საიდანაც სტატუსი შეუჩერდა.

აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის განაცხადით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ბოლო ცვლილება განხორციელებული იყო კოლეჯის დირექტორის N04-104, 30.09.2021 ბრძანებით, ხოლო „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული ბრძანებაში ბოლო ცვლილება შესულია 2022 წლის 14 თებერვალს, N27 ბრძანებით განხორციელდა, რაც გულისხმობს დაწესებულებაში არსებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან (ჩარიცხვასთან) დაკავშირებული დებულებები შესაბამისობაში არ იყო მოქმედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ერთ-ერთ საფუძვლად განსაზღვრული იყო შემდეგი ჩანაწერი: თუ პროფესიული სტუდენტი რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირების შედეგად ჩაირიცხება იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე, რომელზეც ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების უფლების მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა ნაკლებია ხუთზე, უფლება აქვს შეიჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი და შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა. - აღნიშნული ჩანაწერი მოყვანილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტებრის ბრძანებიდან „პროფესიული ტესტირების ჩატარების შესახებ", რომელიც დღეის მდგომარეობით ძალადაკარგულადაა გამოცხადებული. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 ივნისის №04-95 ბრძანებით შევიდა ცვლილება სასწავლო პროცესის მართვის წესში და მოცემული დებულება მოვიდა შესაბამისობაში კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ პერიოდულად მოახდინოს შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზია და დებულებები მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით არაა განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ დუალური მიდგომის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში პარტნიორის სასწავლ-საწარმოს ინფორმირების საკითხები. იმის გათვალისწინებით, რომ დუალური პროგრამის ფარგლებში პროფესიული მოდულების 50% და მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ანუ პარტნიორ სასწავლო-საწარმოში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც სტუდენტის, ისე პარტნიორი კომპანიის ინტერესებიც.

კოლეჯის რეგულაციები ასევე მოიცავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის მექანიზმებს. სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება, სტატუსის შეჩერების ვადის გასვლა, პირადი განცხადება და სხვა გარემოებები.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს როგორც შიდა, ისე გარე მობილობით. მობილობის უფლება აქვს როგორც აქტიური სტატუსის მქონე, ისე სტატუსშეჩერებულ პირს. რეგულაციაში აღწერილია ყველა ის გარემოება, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი სტუდენტის მიერ ამ უფლებით სარგებლობა, ან ამ უფლებათა შეზღუდვა. კოლეჯის მიერ გაწერილი მობილობის პროცედურები შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების, დახვეწის, საზოგადოებისათვის უკეთესი მომსახურების შეთავაზების მიზნით, კოლეჯმა შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს საგანმანათლებლო პროგრამა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლება, რაც პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს შორის შესაბამისობის დადგენას, ასევე საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას გულისხმობს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მათ შიდა ან გარე მობილობას. რისთვისაც კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

კოლეჯში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტის შედეგების დადასტურებისა და შეფასების გასაჩივრების პროცედურები: თუ მოდული სხვა მოდულის წინაპირობაა, შეფასების შედეგი სტუდენტს ეცნობება შეფასების თარიღიდან ორი დღის, ხოლო თუ სხვა მოდულის წინაპირობა არ არის, ერთი კვირის ვადაში, თუმცა იმავე რეგულაციის ერთ-ერთი პუნქტი ამბობს, რომ შეფასება სტუდენტს ეცნობება 3 სამუშო დღის ვადაში. სასურველია, კოლეჯის შესაბამის რეგულაციაში დაზუსტდეს გონივრული ვადა შეფასების შედეგების ინფორმირებასთან დაკავშირებით. სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურების უფლება პროფესიულ სტუდენტს ორჯერ აქვს, ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებულია გადაბარების ვადები, როგორც წინაპირობის მქონე, ასევე წინაპირობის გარეშე არსებული მოდულების შემთხვევაში, კოლეჯის მიერ გათვალისწინებულია კონკრეტული მოდულების სწავლების სეზონურობა და სხვა არსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

სპეციფიკა. როდესაც მოდული არის სხვა მოდულის დაშვების წინაპირობა, პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგის/კრიტერიუმის განმეორებითი დადასტურება შეუძლია ორჯერ, შესაბამისი მოდულის დასრულებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში. ნიშანდობლივია, რომ 7 კალენდარული დღის ვადაში, მოდულის/სწავლის შედეგის ორჯერ გადაბარების დაშვება არ არის რელევანტური, რადგან მოცემული ვადა არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ პროფესიულმა სტუდენტმა ჯერ ერთხელ გადააბაროს მოდული/სწავლის შედეგი, შემდეგ დაელოდოს შეფასების შედეგს, გაასაჩივროს შედეგი და თუკი სააპელაციო კომისია მის სასარგებლო გადაწყვეტილებას არ გამოიტანს, მეორედ მოუწიოს გადაბარება. სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს მოდულის/სწავლის შედეგის გადაბარების პროცესს და გასაზღვროს გონივრული ვადები.

კოლეჯში მოქმედებს პროფესიული სტუდენტის ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები, რომლის მიზანია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა. ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები მოიცავს აღიარების პირობებს, პროცესს, ეტაპებსა და ვადებს, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

კოლეჯში ფუნქციონირებს დირექტორის №04-40 (31.08.2015) ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლის თანახმად, ყველა რეგისტრირებულ მკითხველს შეუძლია წიგნის ან საბიბლიოთეკო რესურსის გატანა, ხოლო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზით სარგებლობა - ყველა სტუდენტს. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული რეგულაციითა და ბიბლიოთეკართან იტერვიურებისას დადგინდა, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის მიხედვით, მკითხველს ბიბლიოთეკიდან მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის გატანა შეუძლია. ამ ჩანაწერის თანახმად, პროფესიული პროგრამების ფარგლებში არსებული საბიბლიოთეკო რესურსით უზრუნველყოფა ბიბლიოთეკარმა იქვე ასლის გადაღებით/სკანირებით უნდა შეძლოს ან/და პროფესიულმა სტუდენტმა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზით უნდა ისარგებლოს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დაწესებულება მრავალპროფილურია და სხვადასხვა მიმართულების პროგრამებს ახორციელებს, ერთდროულად ჭარბი მომართვიანობის შემთხვევაში, ამ ამოცანის შესრულება

რთული იქნება. აღნიშნული ჩანაწერი გასწორდა კოლეჯში ექსპერტთა ვიზიტის დროს, რის თაობაზეც გამოცემულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 17 ივნისის №04-116 ბრძანება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში ფუნქციონირებს კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის 04-204 ბრძანებით დამტკიცებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც არეგულირებს კოლეჯის თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიერ მატერიალური რესურსების განკარგვის მექანიზმებს. კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი ვალდებულია შესაბამისი პირობები შეუქმნას პროფესიულ სტუდენტებს სწავლების ეფექტურად და წარმატებით განხორციელებისათვის. კოლეჯის პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები და სხვა სასწავლო რესურსები მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის, პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ ასევე კოლეჯის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით, ლაბორატორიით/სასწავლო სახელოსნოებით კოლეჯის მიერ შემუშავებული უსაფრთხოების წესების დაცვით, შენობაში არსებული ფოიეთი, სველი წერტილებით, დაწესებულების ეზოში არსებული მოსასვენებელი ადგილებით, შემოქმედებითი საქმიანობისათვის შესაბამისი სივრცეებით, კოლეჯის შინაგანაწესისა და საერთო საცხოვრებელში განთავსების წესის საფუძველზე ისარგებლონ კოლეჯის საერთო საცხოვრებლით.

დაწესებულების შიდა მარეგულირებული აქტებით არ არის განსაზღვრული საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პირობები. ექსპერტთა ინტერივურებისას დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ საჭიროებით პროფესიული სტუდენტები არ ჰყოლიათ, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ დაარეგულიროს საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პირობები, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები, თუმცა რეკომედებულია:

- დაწესებულებამ გადახედოს შიდა მარეგულირებს აქტს (შინაგანაწესი) და ჩანაწერები მოიყვანოს შესაბამისობაში პროფესიული განათლების სპეციფიკასთან;

- დაწესებულებამ დააზუსტოს პროფესიული სტუდენტის ვალდებულებები და აღნიშნული ვალდებულება დაუკავშიროს სასწავლო მიზნებს, კერძოდ კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესის“ მე-20 მუხლის მე-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის მიხედვით, სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს მასწავლებლისა და ადმინისტრაციის წევრების მოთხოვნები, რომელიც შეიძლება არ არის გაწერილი შინაგანაწესსა და პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

- დაწესებულებამ პერიოდულად მოახდინოს შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზია და დებულებები მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, ვრცლად იხილეთ 3.1.1.1 კომპონენტის აღწერა;

- დაწესებულებამ განსაზღვროს პროფესიული განათლების სპეციფიკის შესაბამისი უფლებები და ვალდებულებები, კერძოდ - კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესის" მეორე თავი - სწავლის განაწესი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის, მისი კანონიერი წარმომადგენლის უფლებებსა და მოვალეობებს, რაც შესაბამისობაშია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დებულებებთან, თუმცა დაწესებულებას მოცემულ შიდა მარეგულირებელ აქტში განსაზღვრული აქვს ისეთი დებულებები, რომელიც არ არის რელევანტური პროფესიული განათლების სპეციფიკასთან და პროცესების ადმინისტრირებასთან, კეროდ მოცემულია ჩანაწერი პროფესიული სტუდენტის მიერ სილაბუსის გამოთხოვასა და გაცნობასთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებად განსაზღვრულია სწავლის საფასურის გადახდა.

- დაწესებულებამ განსაზღვროს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ დუალური მიდგომის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში პარტნიორის სასწავლ-საწარმოს ინფორმირების საკითხები. იმის გათვალისწინებით, რომ დუალური პროგრამის ფარგლებში პროფესიული მოდულების 50% და მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ანუ პარტნიორ სასწავლო-საწარმოში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც სტუდენტის, ისე პარტნიორი კომპანიის ინტერესებიც.

- დაწესებულებამ გადახედოს მოდულის/სწავლის შედეგის გადაბარების პროცესს და გასაზღვროს გონივრული ვადები. კერძოდ - კოლეჯში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტის შედეგების დადასტურებისა და შეფასების გასაჩივრების პროცედურები: თუ მოდული სხვა მოდულის წინაპირობაა, შეფასების შედეგი სტუდენტს ეცნობება შეფასების თარიღიდან ორი დღის, ხოლო თუ სხვა მოდულის წინაპირობა არ არის, ერთი კვირის ვადაში, თუმცა იმავე რეგულაციის ერთ-ერთი პუნქტი იქვე ამბობს, რომ შეფასება სტუდენტს ეცნობება 3 სამუშო დღის ვადაში. სასურველია, კოლეჯის შესაბამის რეგულაციაში დაზუსტდეს გონივრული ვადა შეფასების შედეგების ინფორმირებასთან დაკავშირებით. სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურების უფლება პროფესიულ სტუდენტს ორჯერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

აქვს, ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებულია გადაბარების ვადები როგორც წინაპირობის მქონე, ასევე წინაპირობის გარეშე არსებული მოდულების შემთხვევაში, გათვალისწინებულია კონკრეტული მოდულების სწავლების სეზონურობა და სხვა არსებული სპეციფიკა. როდესაც მოდული არის სხვა მოდულის დაშვების წინაპირობა, პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგის/კრიტერიუმის განმეორებითი დადასტურება შეუძლია ორჯერ, შესაბამისი მოდულის დასრულებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში. ნიშანდობლივია, რომ 7 კალენდარული დღის ვადაში, მოდულის/სწავლის შედეგის ორჯერ გადაბარების დაშვება არ არის რელევანტური, რადგან მოცემული ვადა არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ სტუდენტმა ჯერ ერთხელ გადააბაროს მოდული/სწავლის შედეგი, შემდეგ დაელოდოს შეფასების შედეგს, გაასაჩივროს შეფასების შედეგი და თუკი სააპელაციო კომისია მის სასარგებლოს არ გადაწყვეტს საკითხს, მეორედ მოუწიოს გადაბარება;

- დაწესებულებამ დაარეგულიროს საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პირობები, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის პერიოდში შეხვდა პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები იცნობენ და საჭიროების შემთხვევაში, იყენებენ მათ უფლებებსა და ინტერესების დაცვის მექანიზმებს. კერძოდ:

- კოლეჯს მომზადებული აქვს პრეზენტაცია პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ (ხარისხიანი განათლების მიღების, მობილობის წესით სარგებლობის, ფორმალური განათლების აღიარების, შედეგის განმეორებით დადასტურების, მიღებული შედეგების გასაჩივრების, დაწესებულების მატერიალური რესურსებით სარგებლობის შესახებ და სხვა). აღნიშნული პრეზენტაცია პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ სასწავლო პროცესის დაწყებისას;

- კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას პრაქტიკის ობიექტზე სწავლების, ქცევისა და მათი უფლება-მოვალეობების შესახებ პრაქტიკული კომპონენტის დაწყებამდე.

- დაწესებულებაში ფუნქციონირებს „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობების" დოკუმენტი (ბრძანების რეკვიზიტები: N04-65, 30.04.2020), რომლის თანახმად პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში ადაპტაციასა და მხარდაჭერაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები (პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერთა ჯგუფის ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ კოლეჯი პერიოდულად ახორციელებს მათ ინფორმირებას უფლება-მოვალეობისა და სერვისების შესახებ, ამასთან ახორციელებს მათი კმაყოფილების კვლევას და ახდენს მათი სურვილებისა და რჩევების გათვალისწინებას, რიგ შემთხვევებში სტუდენტთა და კურდამთავრებულთა მიერ დასახელებული იყო ცალკეული მაგალითებიც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

3. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმსაზღვრელი შეფასებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტების გამოყენებას. რეგულაცია ასევე ითვალისწინებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმებსაც. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, წერილობითი საჩივარი წარადგინოს დირექტორის სახელზე, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა პროფესიული განათლების მასწავლებელს იმავე, ან მომდევნო სამუშაო დღეს. საჩივარი, რომელიც მოკლებული იქნება არგუმენტირებულ დასაბუთებას, არ განიხილება. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა და ძალაში დატოვოს მიღებული შეფასება, ან მიღებული შეფასება შეცვალოს პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ.

ექსპერთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულება შიდა რეგულაციებში გაწერილი მექანიზმების შესაბამისად ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შეფასების პროცედურებსა და შეფასების შედეგების გასაჩივრების შესახებ. ისინი იცნობენ სწავლის შედეგების შეფასების მიდგომებსა და პროცედურებს, ინფორმირებულნი არიან შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლების თაობაზე, თუმცა მათი თქმით, ამ უფლებით სარგებლობის აუცილებლობა არ დამდგარა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

4. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომლითაც რეგულირდება კოლეჯსა და პროფესიული სტუდენტის ურთიერთობები. ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს: კოლეჯი

ვალდებულია მისცეს, ხოლო სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება, რაც ამასთანავე კოლეჯის მხრიდან სტუდენტისთვის უსაფრთხო და სათანადო მატერიალური რესურსებით სასწავლო გარემოს შექმნასა და აღჭურვას გულისხმობს. კოლეჯი ვალდებულია გააცნოს პროფესიულ სტუდენტს კოლეჯის შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სტუდენტის შეფასებასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული მექნიზმები. სტუდენტი თავის მხრივ, ვალდებულია, დაიცვას კოლეჯის შინაგანაწესით გათვალისწინებული ნორმები. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ასევე სტუდენტი ადასტურებს, რომ კოლეჯს აძლევს უფლებას, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე დაამუშაოს მისი პერსონალური მონაცემები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

კოლეჯში განსაზღვრულია არასრულწლოვანთან და შშმ პროფესიულ სტუდენტებთან თანამშრომლობის საკითხები, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმე მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მათ შორის გადამოწმდა სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი და

კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით გასაზღვრულ დებულებებს.

კოლეჯს ჰყავდა არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტები, რომელთა პირად საქმეებში განთავსებული იყო მშობლების პირადობის მოწმობები და დაბადების მოწმობების ასლები. არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელშეკრულებები არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულია უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებებსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.

5. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშვების მექანიზმს, რომლის თანახმად ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლოა შედგეს სსსმ პირისთვის, მობილობის წესით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადმოსვლისას, პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენისას, მოდიფიცირებულ/ოპტიმიზებულ პროგრამაზე სტუდენტის გადაყვანისას.

დაბა სტეფანწმინდის ლოკაციაზე მტკიცებულებებით და გასაუბრებისას დადგინდა, რომ ფილიალში არ ყოლიათ სსსმ/შშმ სტუდენტი და საჭიროების შემთხვევაში დაწესებულებამ მზაობა გამოაცხადა ინდივიდუალური გეგმის შედგენასთან დაკავშირებით კანონმდებლობის და შიდა რეგულაციების დაცვით.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“ ;
2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის №04-152 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 12 ივლისის №04-69 ბრძანებით დამტკიცებული „აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი“;
4. კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
5. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის №04-204 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“;
6. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №04-65 ბრძანებით დამტკიცებული „საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“;
7. პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებები; 8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და გაცნობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;
9. პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

### 3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის თანახმად, პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით. დაწესებულება სისტემატურად ახდენს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ისეთ კომპონენტებთან დაკავშირებით, როგორიცაა სწავლის შედეგების დადასტურებისა და განმეორებითი შეფასების თარიღები, დუალური

სწავლების მიზნებისათვის შუალედურ და საკვალიფიკაციო გამოცდების სპეციფიკასთან დაკავშირებით, პრაქტიკული კომპონენტის დაწყებისა და დასრულების, პროცესში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის N04-35 ბრძანებით დამტკიცებული სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმების დოკუმენტის მიხედვით, პროფესიული სტუდენტი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე დაწესებულებისგან მუდმივად იღებს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე, პროფესიული განათლების მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალისზრისით. აღნიშნული შეხვედრის ფაგრლებში პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მისი სწავლის შედეგების შესახებ და მასთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

კოლეჯის წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრისას, დადგინდა, რომ დაწესებულება პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას აქტიურად ახდენს სხვადასხვა საკითხებთან, მათ შორის აკადემიურ მიღწევებთან მიმართებაში.
კონსულტირებაში ჩართული არიან ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლები.

პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებასთან, ვაკანსიების მოძიებასთან, CV-ისა და სამოტივაციო წერილის შედგენასთან დაკავშირებით კონსულტირებისთვის შეუძლიათ მიმართონ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს, რომელიც აქტიურ დახმარებას უწევს პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად პროფესიული სტუდენტებისათვის კონსულტაციისა და მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების დროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტი დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას, განსაკუთრებით სწავლების საწყის ეტაპზე და ასევე ნებისმიერ ეტაპზე, როცა მათი სასწავლო გარემო იცვლება. ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევს დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი. ისინი პასუხისმგებელნი არიან შესაბამისი მტკიცებულებების შეგროვება-შენახვაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

აღნიშნული პროცესი დარეგულირებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის N04-35 ბრძანებით დამტკიცებულ სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმების დოკუმენტით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინტერვიურებით გამოიკვეთა, რომ დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრებს აორგანიზებს როგორც ახლადჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე უკვე მოქმედ და წინა პერიოდში ჩარიცხულ პროფესიულ

სტუდენტებთან. პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოში ადაპტაციაზე პასუხისმგებელი პირები აცნობენ სტუდენტებს შინაგანაწესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, უსაფრთხოების ნორმებს, როგორც კოლეჯში არსებული სასწავლო გარემოსათვის, ისე პროაქტიკის ობიექტზე.

სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის ღონისძიების პრაქტიკაში გამოყენება და მათი ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების დროს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შესაბამისი ფოტო მასალა და შეხვედრების ამსახველი სხვა დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

3. დაწესებულების სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმებში გაწერილია პროფესიული სტუდენტისათვის შეთავაზებული მომსახურებებისა და პროცედურების (სარეგისტრაციო, მობილობის, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გასაჩივრების და ა.შ.) რეალისტური ვადები. დაწესებულება საკუთარი სერვისების მიწოდებით ხელს შეუწყოს სტუდენტის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას. პროფესიული სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა (ცნობის, სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, წინარე განათლების აღიარება, სააპელაციო საჩივრის განხილვა და სხვა.) ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მომართვიდან 2 კვირის განმავლობაში.

კოლეჯში წერილობითი კომუნიკაციის საკითხები დარეგულირებულია დირექტორის დირექტორის 2015 წლის 20 იანვრის N 02-11 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესით, რომელიც არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

კოლეჯის ადმინისტრაციას, პროფესიულ სტუდენტებსა და კურდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში საკმაოდ ღია და თბილი გარემოა. კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების მიერ დადასტურდა, რომ კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

4. კოლეჯში მოქმედებს არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელთა მიზანია საკვანძო კომპეტენციების ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, ალტერნატიული გზებით გამომუშავების, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისა დაა სასწავლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა.

დაწესებულების ბიუჯეტში სტუდენტური ინიციატივების მხარდასაჭერად გაითვალისწინება გარკვეული თანხა, რომლის ფარგლებში დაწესებულება წლიურად აფინანსებს არანაკლებ 3 საუკეთესო ინიციატივას. კონკრეტული ინიციატივის მაქსიმალური ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 2000 ლარს.

იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული ფილიალი მხოლოდ 2017 წლიდან ფუნქციონირებს გამოკითვის დროს დადგინდა, რომ დაბა სტეფანწმინდის ფილიალში ჰქონდათ გამოკვეთილად ორი ინიციატივა: ელექტროობის სტუდენტების ინიციატივით მოინახულეს დარიალჰესის ჰიდრო ელქტეროსადგური, ასევე სასტუმრო მომსახურების სტუდენტების ინიციატივით მოეწყო ვიზიტი სასტუმრო „სტანცია ყაზბეგი“ სასტუმროს ბარის მუშაობის პროცესის გასაცნობად;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საკუთარი და მოზიდული რესურსით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.

5. კოლეჯი არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანია ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, კოლეჯში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და ეფექტური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება და გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება და საგანმანათლებლო და თანმდევი პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და მუდმივი განვითარების ხელშეწყობა. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

გულისხმობს კოლეჯის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შიდა შეფასებას, მიღებულ შედეგებზე რეაგირებას და ამ შედეგების გაუმჯობესებაზე ზრუნვას. მიზნების მისაღწევად კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შედეგების შეფასების სისტემის მუდმივ განვითარებას, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების წესების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, ამ პროცესში ყველა დაინტერესებული შიდა და გარე მხარის ჩართულობას (პროფესიული პროფესიულ სტუდენტები, პროგრამის განმახორციელებელი, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვ). პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის, სასწავლო პროცესის, სერვისებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, წლის განმავლობაში არანაკლებ ერთხელ სხვადასხვა მიმართულებით ტარდება კმაყოფილების კვლევები. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი აანალიზებს ჩატარებული შეფასებების/კვლევების შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის პირს, მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ახორციელებს კმაყოფილების კვლევას კოლეჯის სერვისებთან დაკავშირებით, რომელიც კითხვარების გზით ხორციელდება და მონაწილეობას იღებენ როგორც სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ისე დამსაქმებლები. ხარისხის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერვიუს შედეგებითაც დადასტურდა. თუმცა, კმაყოფილების კვლევის ობიექტურობისა და სანდოობის, ასევე ეფექტიანობის ურუნველსაყოფად რეკომენდებულია გამოკითხვა იყოს ანონიმური (მაგ. პროფესიული განათლების მასწავლებლის გამოკითხვა) და კითხვების რაოდენობა ლოგიკური (მაგ. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვის კითხვარის მიხედვით შეკითხვათა რაოდენობა შეადგენს 51-ს, მასწავლებელთა გამოკითხვის კითვარში კითხვათა რაოდენობაა 48, ერთი შეფასების ფარგლებში ამდენი კითხვის არსებობა არარელევანტურია და გამოიწვევს რესპოდენტთა არაგულწრფელ შეფასებებს.

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები, განხორციელებული კმაყოფილების კვლევის ანგარიშები, დასკვნები და რეკომენდაციები. კოლეჯი ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების შედეგებს ითვალისწინებს შემდგომ საქმიანობაში.

აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე შეფასებულ იქნა კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას. თუმცა, კმაყოფილების კვლევის ობიექტურობისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სანდოობის, ასევე ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია გამოკითხვა იყოს ანონიმური (მაგ. პროფესიული განათლების მასწავლებლის გამოკითხვა) და კითხვების რაოდენობა ლოგიკური (მაგ. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვის კითხვარის მიხედვით შეკითხვათა რაოდენობა შეადგენს 51-ს, მასწავლებელთა გამოკითხვის კითხვარში კითხვათა რაოდენობაა 48, ერთი შეფასების ფარგლებში ამდენი კითხვის არსებობა არარელევანტურია და გამოიწვევს რესპოდენტთა არაგულწრფელ შეფასებებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის №04-152 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №04-35 ბრძანებით დამტკიცებული „სტუდენტური მხარდაჭრის მექანიზმები“;
3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის №04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
4. პროფესიულ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევის კითხვარები, ანგარიშები და რეკომენდაციები, მათი შესრულების მტკიცებულებები;
5. პროფესიულ სტუდენტთა მიერ ინიცირებული პროექტები და მათი მხადაჭერის მტკიცებულებები;
6. ექსტრაკურიკულური აქტივობების განხორციელების მტკიცებულებები და ფოტო მასალები;
7. კოლეჯის ბიუჯეტი და წლიური სამოქმედო გეგმა;
8. სხვადასხვა ღონისძიებების ამსახველი მასალები;
9. პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედი სტუდენტური მხარდაჭრის მექანიზმები ითვალისწინებს კარიერულ მხარდაჭერასაც. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციურ პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის. პროფორიენტაციის ფარგლებში ტარდება სხვადასხვა ტიპის შეხვედრები (ღია კარის დღე, ფორუმი, სკოლებში ვიზიტი და სხვა), სადაც პოტენციურ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ კოლეჯში მოქმედ საგანამანათლებლო პროგრამებს, დასაქმების შესაძლებლობებს, მიიღონ ინფორმაცია პოტენციური დამსაქმებლების შესახებ.

პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებასთან, ვაკანსიების მოძიებასთან, CV-ისა და სამოტივაციო წერილის შედგენასთან დაკავშირებით კონსულტირებისთვის შეუძლიათ მიმართონ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს, რომელიც აქტიურ დახმარებას უწერვს პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

კოლეჯში დასაქმებულია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, რომელიც კარიერულ და პროფესიულ მხარდაჭერას უწევს აპლიკანტებს, პროფესიულ სტუდენტებს, დაინტერესებულ პირებს. მას მუდმივი კავშირი აქვს ეკონომიკურ აგენტებთან, რომლებიც აწვდიან ინფორმაციას ვაკანტური ადგილებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ კურსდამთავრებულებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერმა დეტალურად აღწერა საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები, ისაუბრა მოზარდთა სწორი პროფორიენტაციის მნიშვნელობაზე, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ღონისძიებების თავისებურებებზე, კოლეჯის მიდგომებსა და მის მიერ განხორციელებულ აქტივობებზე, რაც განყარებულია შესაბამისი მტკიცებულებებით და წარმოდგენილია ექსპერტთა ჯგუფისათვის, თუმცა მასთან ინტერვიუსას ისიც გამოიკვეთა, რომ ის ხშირად ვერ ახერხებს დაბა სტეფანწმინდაში ჩასვლას და ფილიალის სტუდენტებისათვის თუ დაინტერესებული მხარეებისათვის კონსულტაციის გავლას, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გააუმჯობესოს კოორდინაციის ნაწილი ან/და ფილიალებში დანიშნოს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან, რადგანაც პროფესიული განათლების განვითარებისათვის მნიშვნელოვანი სამსახურია.

აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე შეფასებულ იქნა კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას, რომლის დროსაც პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს კოლეჯიდან პერმანენტულად ვაკანსიების მიღება. ამასთან აღნიშნეს, რომ კოლეჯის პერსონალი პერიოდულად აწვდის პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებებს დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.1 დაკმაყოფილებულია, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.

2. პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, კოლეჯში შექმნილია დამსაქმებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ბაზები. ბაზების შექმნაზე და მის მიწოდებაზე პასუხისმგებელია პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი რეესტრის სპეციალისტის ჩართულობით. კოლეჯის წარმომადგენლები სისტემატურად ახდენენ შეხვედრებს, ღია კარის დღეებს, ახდენენ პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას.

კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის და კურსდამთავრებულებისთვის შექმნილია facebook ჯფუფი, სადაც რეგულარულად იდება ვაკანსიები და სიახლეები დასაქმებასთან დაკავშირებით. ვაკანსიები ქვეყნდება, ასევე კოლეჯის Facebook გვერდზეც და თავსდება თვალსაჩინო ადგილას, განცხადებების დაფაზეც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კარიერული განვითარების მიზნით, კოლეჯი, ასევე უზრუნველყოფს სხვადასხვა კურსების, კონფერენციების პროფესიული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისთვის.
აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3. პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის, სასწავლო პროცესის, სერვისებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ტარდება პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევა დასაქმებასთან დაკავშირებით. კურსდამთავრებულთა და პროფესიული სტუდენტების დასაქმების კვლევის კითხვარი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კოლეჯის როლი მათ დასაქმებაში, სწავლის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეძენილი პრაქტიკული უნარებისა და თეორიული ცოდნის შესახებ და სხვა.

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტუდენტების მონაწილეობით მართავენ შეხვედრებს დასაქმებათან დაკავშირებით, სოციალური ქსელების ჯგუფებსა და ვებგვერდზე ათავსებს ვაკანსიებს.
ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა დასაქმების, მათ შორის პროფესიით დასაქმებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები, რომელიც ასევე მოიცავს კითხვებს კოლეჯში მიღებული ცონდის პრაქტიკაში გამოყენების ეფექტიანობის შეფასების მიზნებისათვის.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია კარიერული მომსახურეობის კვლევა. ამ მიზნის განსახორციელებლად, კოლეჯი რეგულარულად ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას. ატარებს სტუდენტების, თანამშრომლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას. აღნიშნული გზით კოლეჯი ეცნობა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს, იღებს უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, საჭიროების შემთხვევში გადის პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია მუშავდება და იქმნება კურდამთავრებულების დასაქმების სტატისტიკა. კოლეჯში არის სტუდენტების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ბაზები, რომელსაც მართავს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან გასაუბრებისას და მტკიცებულებების შემოწმებისას დადგინდა, რომ კვლევის საფუძველზე დაწესებულება ახდენს მყისიერ რეაგირებას და აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.4 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №04-35 ბრძანებით დამტკიცებული „სტუდენტური მხარდაჭრის მექანიზმები“;
2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის №04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
3. პროფესიული სტუდენტების შეხვედრებისა და კონსულტირების დამადასტურებელი მასალები;
4. კურსდამტავრებულთა და დამსაქმებელთა ბაზები;
5. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის დოკუმენტები, ანგარიშები და რეკომენდაციები;
6. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები;
7. კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაგეგმილი ან განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. **ადამიანური რესურსები**

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 10 ივნისის №04-89 ბრძანებით დამტკიცებულია ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც შედგება დირექციის, ადმინისტრაციის, დამხმარე და მომსახურე პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთაგან (შტატგარეშე თანამშრომლებისაგან - ასეთის არსებობის შემთხვევაში). კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად, დირექტორის ბრძანებით დატკიდებულია საშტატო ნუსხა. ზემოაღნიშნული ორგანიზციული სტრუქტურა და საშტატო ნუსხა ქმნის წარმოდგენას დაწესებულების ძირითადი და დამხმარე პროცესების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული და საშტატო ერთეულების შესახებ.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის N04-65 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო /შტატგარეშე ნუსხით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და უფლებამოსილებების“ დოკუმენტი, რომელიც ადგენს არსებული პოზიციების დასაკავებლად საჭირო სავალიფიკაციო მოთხოვნებს, განსაზღვრავს თანამშრომლის ან კანდიდატის კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების დაკავებული ან დასაკავებელი თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების წესს. წინამდებარე წესის შესაბამისად, პერსონალის სამსახურში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

მიღებისათვის დგინდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის მიზანია კანდიდატის კვალიფიკაციის შეფასება. თითოეული კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მის მიერ დასაკავებელი თანამდებობისათვის კოლეჯის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პერსონალთან, რომელიც სამუშაოდ მიიღება დროებით განსაზღვრული ვადით, კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის, შრომითი ურთიერთობები შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ შრომითი ხელშეკრულებით. დოკუმენტში კონკრეტული პოზიციისთვის გაწერილია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პირის კვალიფიკაციის, სამუშაო გამოცდილების, პიროვნული თვისებების, ტრანსფერული უნარების ფლობისა და ნორმატიული აქტების ცოდნის შესახებ. დოკუმენტში ასევე აღწერილია მათი უფლებამოსილება, დაქვემდებარებული პერსონალი, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა თითოეული თანამდებობისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შემოწმდა კოლეჯის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები და შეფასდა მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობა დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებთან. რის შედეგადაც გამოვლინდა რიგი გასაუმჯობესებელი საკითხები, კერძოდ:

- საქმისმწარმოებლის პოზიციისათვის ერთ-ერთ საკვალიფიკაციო მოთხოვნად გაწერილია „უმაღლესი განათლება ან/და სერტიფიცირება", სასურველია კოლეჯმა, დააკონკრეტოს რას გულისხმობს სერტიფიცირებაში, რადგან გრადაცია უმაღლეს განათლებასა

და სერტიფიცირებას შორის საკმაოდ დიდია, მით უმეტეს, რომ კვალიფიკაციის ველში მოთხოვნილია ფილოლოგია, სამართალმცოდნეობა, ან/და ოფისის მენეჯერის, საოფისე საქმის სპეციალობა. ფილოლოგიის, სამართალმცოდნეობის უმაღლესი განათლების ფლობა არ გულისხმობს საქმისწარმოების საკითხების ცოდნას. შესაბამისად, რეკომენდებულია კოლეჯმა დააზუსტოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- რიგი პოზიციების შემთხვევაში, კოლეჯის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შეიძლებოდა იმგვარად განსაზღვრულიყო, რომ კოლეჯს შეძლებოდა შესაბამისი კომპეტენციის კადრების აყვანა, მაგალითად: დამლაგებლის/მძღოლის საკვალიფიკაციო მოთხოვნად მითითებულია პროფესიული ან/და სრული ზოგადი განათლება, ხოლო კოლეჯის ერთ-ერთი მძღოლი ფლობს საბაზო

(არასრული საშუალო) განათლებას, რის გამოც ის ვერ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნას;
- ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით რიგ შემთხვევაში არასწორადაა გაწერილი ანგარიშგების კომპონენტიც, მაგალითად, მძღოლი ანგარიშგებას ახდენს დირექტორის წინაშე, ეს მაშინ, როდესაც მძღოლის უშუალო ხელმძღვანელი სამეურნეო მართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მენეჯერია. მძღოლის ერთ-ერთ ფუნქციად კომპეტენციის ფარგლებში შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი პასუხის მომზადებაა.

კოლეჯს საავტორიზაციო განაცხადით წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გათვალისწინებულია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობების და ფუნქცია მოვალეობების გადახედავა/დარეგულირება, კოლეჯში სამსახურების შექმნა და სტრუქტურის ცვლილება, გეგმის მიხედვით პროცესი 2022 წლის 30 ივნისს უნდა დასრულდეს. უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯში ვიზიტის დროს, დაწესებულებამ წარმოადგინა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელშიც ბოლო ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 10 ივნისის N04-94 ბრძანებით. დოკუმენტში შეიცვალა დოკუმენტის სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“, ხოლო შინაარსში არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ შიდა მარეგულირებელი აქტების გადახედვის პროცესი გრძელდება და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში დასრულდება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პერსონალთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენებით დადგინდა, რომ კოლეჯის პერსონალი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები რიგ შემთხვევებში საჭიროებს დაზუსტებას, რისთვისაც კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის“ ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობების და ფუნქცია მოვალეობების გადახედავა/დარეგულირება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი. მოცემულ დროში აქტივობის შესრულება რეალისტურია, ვინაიდან დაწესებულებასთან ინტერვიურებიით დადგენიდა, რომ ისინი იზიარებენ მოცემულ რეკომენდაციას და აქვთ მზაობა ცვლილებები განახორციელონ შიდა მარეგულირებელ აქტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის ბრძანებით N04-65 დამტკიცებული „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობების“ დოკუმენტით რეგულირდება დაწესებულებაში დასაქმებული ადმინისტრაცილი და ტექნიკური პერსონალისა და დამხმარე თანამშრომლის ფუნქციები და უფლებამოსილებები, ასევე მათი ანგარიშვალდებულების კომპონენტი. პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები თანხვედრაშია ერთწლიან სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმაში პასუხისმგებელი პირების მიერ განსახორციელებელ აქტივობებთან, თუმცა რიგ შემთხვევებში საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ - წლიური სამოქმედ გეგმის 2.1 აქტივობის - 2022 წელს სტუდენტებისა და მსმენელების მიღება-ჩარიცხვა შესრულებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ადმინისტრაცია, ხოლო ჩართული მხარეები არიან კოლეჯის დირექტორი და კოლეჯის ადმინისტრაცია, მოცემული ჩანაწერით ვერ დგინდება პროცესზე პასუხიმგებელი პირ(ებ)ი, 2.2 აქტივობის - შერჩეული პროგრამების შეფასება/შეცვლა გაუმჯობესება შესრულებაზე პასუხისმგებელი და პროცესში მონაწილე პირები არიან ერთიდაიგივე პირები - ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი. აღნიშნული მიუთითებს, დაწესებულების მიერ პროცესების მართვის პრინციპებისა და მიდგომების გააანალიზების აუცილებლობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულება ზუსტად განსაზღვროს წლიური სამოქმედ გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულებაზე პასუხიმგებელი და პროცესში ჩართული პირები, მაგალითად, 2.1 აქტივობის - 2022 წელს სტუდენტებისა და მსმენელების მიღებაჩარიცხვა შესრულებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ადმინისტრაცია, ხოლო ჩართული მხარეები არიან კოლეჯის დირექტორი და კოლეჯის ადმინისტრაცია, მოცემული ჩანაწერით ვერ დგინდება პროცესზე პასუხიმგებელი პირ(ებ)ი, 2.2 აქტივობის - შერჩეული პროგრამების შეფასება/შეცვლა გაუმჯობესება შესრულებაზე პასუხისმგებელი და პროცესში მონაწილე პირები არიან ერთიდაიგივე პირები - ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი. აღნიშნული მიუთითებს, დაწესებულების მიერ პროცესების მართვის პრინციპებისა და მიდგომების გააანალიზების აუცილებლობაზე.

3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის ბრძანებით N04-65 დამტკიცებული „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობების“ დოკუმენტის თანახმად, ხარისხის მართვის მენეჯერის მოვალეობებია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების შემუშავება და დანერგვა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემის განსაზღვრა, მონიტორინგი და პერიოდული შეფასება, საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების სტრატეგიული განვითარების დინამიკის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შეფასების საფუძველზე სამოქმედო გეგმის შემუშავება საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების პროცესის მართვა, ავტორიზაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის პროცესში საჭირო რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების იდენტიფიცირება, მათი შეგროვება და ანალიზი; საჭიროების შემთხვევაში, ავტორიზაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე ანგარიშების მომზადება. აღნიშნულ პროცესებში აქტიური თანამონაწილეა ხარისხის მართვის სპეციალისტიც.

დაწესებულებაში შემუშვებულია და მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიზანია ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, კოლეჯში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და ეფექტური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება და საგანმანათლებლო და თანმდევი პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და მუდმივი განვითარების ხელშეწყობა. ხარისხის მართვის მენეჯერი საქმიანობას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, რეესტრის წარმოების სპეციალისტის, პრაქტიკის მენეჯერის, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის, ადმინისტაციის თანამშრომლებისა და კოლეჯის პროფესიული მასწავლებლების ჩართულობით.

ხარისხის მართვის მენეჯერს შემუშვებული აქვს ასევე სამოქმედო გეგმაც, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ამოქმედებას. გეგმის მიხედვით, ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს დაწესებულებაში მიმდინარე საქმიანობის მონიტორინგს და ადგენს პროცესების სტანდარტებთან შესაბამისობას.

ავტორიზაციის განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური გეგმის შედგენისას ჩართული იყო ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით თავად პროცესი ექვემდებარება მონიტორინგს, შესაბამისად ინდივიდუალირი სასწავლო გეგმის შემუშავებაში ხარისხის მენეჯერის ჩართულობა იწვევს ინტერესთა კონფლიქტს. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დასრულებამდე, დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და რეგულაციაში სათანადო ცვლილება შეიტანა, შესაბამისად, ცენტრის წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენილია „სასწავლო პროცესის მართვის წესი“, რომელშიც ცვლილებები განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 17 ივნისის №04-119 ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის'' 3.9 მუხლში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი - „თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და დაურთავს კოლეჯის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამის პროექტს", ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით თავად პროცესი ექვემდებარება მონიტორინგს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, წარმოადგენს ინტერესთა კონფილიქტს, შესაბამისად მოცემული დებულება წინააღმდეგობაშია 4.1.1.3 სტანდარტის მოთხოვნებთან, თუმცა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის" ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა/გაუმჯობესება/ახალის შექმნა, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი. მოცემულ დროში აქტივობის შესრულება რეალისტურია, ვინაიდან დაწესებულებასთან ინტერვიურებით დადგენიდა, რომ ისინი იზიარებენ მოცემულ რეკომენდაციას და აქვთ მზაობა ცვლილებები განახორციელონ შიდა მარეგულირებელ აქტებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებში ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ უნდა გადახედოს შიდა მარეგულირებელ აქტს - „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას" და დოკუმენტის 3.9 მუხლის დებულებები მოიყვანოს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან. მოცემული აქტივობისათვის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის" ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა/გაუმჯობესება/ახალის შექმნა, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი. მოცემულ დროში აქტივობის შესრულება რეალისტურია, ვინაიდან დაწესებულებასთან ინტერვიურებით დადგენიდა, რომ ისინი იზიარებენ მოცემულ რეკომენდაციას და აქვთ მზაობა ცვლილებები განახორციელონ შიდა მარეგულირებელ აქტებში. კოლეჯის

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული დრო რელევანტურია, ვინდაინ დაწესებულება სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №04-65 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“;
2. კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“;
3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის №04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის №04-152 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;“
5. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
6. კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურა;
7. ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმა და გემის შესრულების ანგარიში;
8. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“;
9. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“;
10. პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის N04-97 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით შინაგანაწესი განსაზღრავს სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკასა და ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან ადამიანური რესურსების მართვის პროცესების შესაბამისობაში მოყვანას. კოლეჯის ინსტიტუციური განვითარების ერთ-ერთი მიმართულებაა კვალიფიციური პერსონალის - პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და კოლეჯის სხვა თანამშრომლების მოზიდვა, საქმიანობის ეფექტურობის შეფასება და მათი განვითარების მექანიზმების ამუშავება. რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში პერსონალის მართვის პროცესები ეფუძნება თანასწორობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის პრინციპებს და შესაბამისობაშია შრომითი კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეგულაციებთან. კოლეჯის ყველა თანამდებობისთვის შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა. სამუშაო აღწერილობები წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რომელზე ხელის მოწერითაც პირი ადასტურებს თანხმობას შეასრულოს ის ფუნქცია-მოვალეობები და პასუხისმგებლობები, რაც შესაბამისი სამუშაო აღწერილობით მისი თანამდებობისთვის არის გათვალისწინებული. სამუშაო აღწერილობების სანიმუშოდ ან არაჯეროვანი შესრულება შეიძლება გახდეს შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული შესაბამისი ზომების - წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, პერსონალის მართვის პროცესები დაწესებულებაში ხორციელდება დაწესებულებაში არსებული შინაგანაწესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შინაგანაწესის დებულებების დარღვევა, კოლეჯში დასაქმებულ პირთათვის, წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების დარღვევას, რომელსაც მოჰყვება შრომითი ხელშეკრულებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა.

კოლეჯში პერსონალის აყვანა შესაძლებელია როგორც კონკურსის, ისე პირდაპირი დანიშვნის გზით. პერსონალის აყვანის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს პერსონალის კომპეტენციის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პერსონალის სამსახურში აყვანის დოკუმენტაცია და დირექტორის ბრძანებები პერსონალის დანიშვნის შესახებ.

შინაგანაწესითა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტებით განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, შვებულების, პერსონალის საქმიანობის შეფასების, კმაყოფილების კვლევისა და პერსონალის განვითარების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

კოლეჯის შინაგანაწესი არეგულირებს პერსონალთან სამართლებრივ ურთიერთობებს. დოკუმენტში განსაზღვრულია დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებები და ვალდებულებები, დისკრიმინაციისა და იძულებითი შრომის აკრძალვასთან დაკავშირებული კოლეჯის მიდგომები, სამუშაო დრო და სამუშაო დღის განმავლობაში შესვენების დრო, სამსახურში გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმები, შვებულება და უქმე დღეები, მივლინებები, პერსონალის წახალისებისა და დისციპლინური მექანიზმების გამოყენების წესები, შრომის უსაფრთხოების, საქმიანობის შეფასებისა და სხვა საკითხები. კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრული მექანიზმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

კოლეჯის შინაგანაწესი არის პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და პერსონალი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ იცნობს და ეთანხმება შინაგანაწესის დებულებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

პერსონალის ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების წესი განსაზღვრულია შინაგანაწესით, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

დაწესებულებაში წელიწადში ერთხელ მიმდინარეობს პერსონალის კმაყოფილების კვლევა, რომელთა შედეგების ანალიზის მიხედვით ჩანს, რომ დაწესებულება იცავს დასაქმებულ პირთა უფლებებს.

აღნიშნული ასევე დადასტურებელია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან განხორციელებული ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესეულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

2. პერსონალის მოზიდვის მიზნით, კოლეჯი იყენებს სხვადასხვა საშუალებებს: კოლეჯი თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან, კომპანიებთან და შეიმუშავებს ამ მიმართულებით თანამშრომლობის ე.წ. ადამიანური რესურსების გაცვლის მოქნილ და ეფექტურ მექანიზმებს, აქტიურად იყენებს კოლეჯში დასაქმებული პერსონალის სოციალურ კაპიტალს ახალი პერსონალის მოსაზიდად, განათავსებს ვაკანსიებს დასაქმების სხვადასხვა ვებ-პორტალებსა და სოციალურ ქსელებში, მონაწილეობს დასაქმების ფორუმებში. კოლეჯში პერსონალის შერჩევა ხორციელდება კოლეჯის თითოეული თანამდებობისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში - მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით. შერჩევის წესს, ფორმას და პირობებს (რომელიც ასევე მოიცავს საჭიროებისამებრ, შერჩევის კომისიის განსაზღვრას) ვაკანსიის გამოცხადებამდე, სამუშაო ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი. პერსონალის შერჩევის წესი, ფორმა და პირობები აისახება ვაკანსიის შესახებ განაცხადში. შრომით ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე, აკრძალულია ნებისმიერი სახით ან/და ფორმით დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით. კოლეჯში არსებული რეგულაციების თანახმად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კანდიდატების შერჩევა ხდება ვაკანტური პოზიციისთვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. კანდიდატთა შეფასების ინსტრუმენტები, ისევე როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შერჩევის ეტაპები, შეიძლება განსხვავდებოდეს დასაკავებელი პოზიციის სპეციფიკის, მასწავლებლის შემთხვევაში მისაღწევი სწავლის შედეგების მიხედვით. პერსონალის შერჩევა შესაძლოა განხორციელდეს გამარტივებული წესითაც.

დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომელთა შესწავლით დადგინდა, რომ დაწესებულება ვაკანსიის განცხადებაში განათავსებს ინფორმაციას ვაკანტური პოზიციაზე შესასრულებელი ფუნქციების, აპლიკანტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და პიროვნული და პროფესიული უნარების ფლობის, კონკურსის ეტაპებისა და პროცედურების შესახებ. შერჩევა შესაძლებელია ითვალისწინებდეს აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევისა და გასაუბრების ეტაპებს. გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც პირისპირ, ისე დისტანციურ რეჟიმში. საკონკურსო კომისია შერჩევის ეტაპების დასრულების შემდეგ, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რომელიც ეცნობება აპლიკანტს დაწესებულების მიერ რეგულაციებით განსაზღვრულ ვადებში. წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ კოლეჯი არსებული რეგულაციების დაცვით ახდენს პერსონალის შერჩევის პროცედურებს. თუმცა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში საკადრო ცლილების ორი ფაქტი დაფიქსირდა (შრომის უსაფრთხოების სპეციციალისტისა და ინკლუზიური განათლების მართვის სპეციალისტის შემთხვევაში), ერთ შემთხვევაში დაწესებულებამ განახორციელა დასაქმებულია გადაყვანა ერთი ადგილიდან მეორეზე, ხოლო მეორე შემთხვევაში აიყვანა ახალი კადრი. საკადრო ცვლილებების დასტურად წარმოდგენილია პერსონალის განცხადებები, თუმცა ცალსახაა, რომ პროცესი დაწესებულების მოთხოვნით განხორციელდა, ვინაიდან არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებდა დაკავებული თანამდებობისათვის კოლეჯის მიერ დადგენილ მოთხოვნებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ პერსონალის მართვისას გაითვალისწინოს პერსონალის აყვანის/შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის

შესაბამისი პროცედურები და მოთხოვნები კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად.

კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით ასევე გამოიკვეთა, რომ გარდა პერსონალის კონკურსის წესით შერჩვისას, კოლეჯი იყენებს უკვე დასაქმებული პერსონალის რესურსებს ადამიანური რესურსების მოსაზიდად, რომელთაც შესაძლოა სათანადო რეკომენდაცია გაუწიონ კონკრეტულ პირს, რომელთანაც კოლეჯის დირექტორი ახდენს გასაუბრებას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. პერსონალის შერჩევისას დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს პირის თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით და ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება მოიცავს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ არსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

პირობებს: მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა, სამუშაო დრო და დასვენების დრო, სამუშაო ადგილი, თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე, შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულებების მიცემის წესი. ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესში გაწერილია კონკრეტული პირობები, თუ როგორ მოახდენს დაწესებულება ზეგანაკვეთურად შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას.
პერსონალთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტებით დადგინდა, რომ დაწესებულებას აქვს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების პრაქტიკა, რომელიც შეესაბამება კოლეჯის რეგულაციებს. პერსონალის პირადი საქმეებში განთავსებულია განათლების, სამუშაო გამოცდილების, დამადასტურებელი დოკუმენტაცია, CV, არსებობის შემთხვევაში სათანადო სერთიფიკატები, შსს-ს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობები უფლების ჩამორთმევის, ნასამრთლეობის არქონისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ.
თუმცა, მიმდინარე წლის 26 აგვისტოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის MES 6 22 0000950922 კორესპოდენციით მოგვეწოდა კოლეჯის არგუმენტირებული პოზიცია, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 25 აგვისტოს N04-143 ბრძანებით განხორციელებული ცვლილების საფუძველზე დამტკიცებული ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომლის მე-3 აქტივობა გულისხმობს „პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით“. აქტივობის ფარგლებში კოლეჯს განსაზღვრული აქვს 5 ქვეაქტივობა, მათ შორის - "1. კოლეჯმა უზრუნველყოს დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება
(სტაჟირებების გზით). (ინდიკატორი 4.1.2.2) 2. კოლეჯი გადახედავს და ცვილელბას შეიტანს კადრების შერჩევის მარეგულირებელ დოკუმენტში. (ინდიკატორი 4.1.2.2 ), 3. კოლეჯის ბაზაზე სტაჟირებების გამოცხადება და კადრების მომზადება (ინდიკატორი 4.1.2.2 ); 4. კოლეჯმა უზრუნველყოს დასაქმებული კადრების ტრანსპორტირება (ინდიკატორი 4.1.2.2 ); 5. კოლეჯის ბაზაზე მოხდეს საკვები ობიექტის რეაბილიტაცია. (ინდიკატორი 4.1.2.2); 5. ადამიანური რესურსების (HR) და აგრარული მიმართულების მენეჯერის შტატის დამატება (ინდიკატორი 4.1.2.2 )". აქტივობათა შესრულებისათვის კოლეჯის მიერ განსაზღვრულია 6 თვე. ექსპერტთა ჯგუფი შესაძლებლად მიიჩნევს 4.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელებას კოლეჯის მიერ განსაზღვრულ დროში, მათ შორის ძირითად ღონისძიებად მიჩნეულია პერსონალის შერჩევის პროცედურების გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ კოლეჯის პერსონალის ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, ამასთან ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში საკადრო ცვლილების ორი ფაქტი დაფიქსირდა
(შრომის უსაფრთხოების სპეციციალისტისა და ინკლუზიური განათლების მართვის სპეციალისტის შემთხვევაში), ერთ შემთხვევაში დაწესებულებამ განახორციელა დასაქმებულის გადაყვანა ერთი ადგილიდან მეორეზე, ხოლო მეორე შემთხვევაში - აიყვანა ახალი კადრი. საკადრო ცვლილებების დასტურად წარმოდგენილია პერსონალის განცხადებები, თუმცა ცალსახაა, რომ პროცესი დაწესებულების მოთხოვნით განხორციელდა, ვინაიდან არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებდა დაკავებული თანამდებობისათვის კოლეჯის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, ამასთან საყურადღეობოა, რომ კოლეჯის მიერ ახლადაყვანილ ინკლუზიური განათლების მართვის სპეციალისტს უმაღლესი განათლება აქვს, თუმცა დაწესებულების შიდა მარეგულრიებელი აქტით განსაზღვრული სამუშაო გამოცდილება დოკუმენტით არ უდასტურდება. **ინდიკატორი 4.1.2.2 მეტწილადაა** დაკმაყოფილებული, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, თუმცა მიმდინარე წლის 26 აგვისტოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
MES 6 22 0000950922 კორესპოდენციით მოგვეწოდა კოლეჯის არგუმენტირებული პოზიცია, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 25 აგვისტოს N04-143 ბრძანებით განხორციელებული ცვლილების საფუძველზე დამტკიცებული ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომლის მე-3 აქტივობა გულისხმობს „პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით“. აქტივობის ფარგლებში კოლეჯს განსაზღვრული აქვს 5 ქვეაქტივობა, მათ შორის - "1. კოლეჯმა უზრუნველყოს დასაქმებული კადრების

კვალიფიკაციის ამაღლება (სტაჟირებების გზით). (ინდიკატორი 4.1.2.2) 2. კოლეჯი გადახედავს და ცვილელბას შეიტანს კადრების შერჩევის მარეგულირებელ დოკუმენტში. (ინდიკატორი 4.1.2.2 ), 3. კოლეჯის ბაზაზე სტაჟირებების გამოცხადება და კადრების მომზადება (ინდიკატორი 4.1.2.2 ); 4. კოლეჯმა უზრუნველყოს დასაქმებული კადრების ტრანსპორტირება (ინდიკატორი 4.1.2.2 );

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. კოლეჯის ბაზაზე მოხდეს საკვები ობიექტის რეაბილიტაცია (იდიკატორი 4.1.2.2). 6. ადამიანური რესურსების და აგრარული მიმართულების მენეჯერის შტატის დამატება (ინდიკატორი 4.1.2.2). აქტივობის შესრულებისათვის კოლეჯის მიერ განსაზღვრულია 6 თვე. ექსპერტთა ჯგუფი შესაძლებლად მიიჩნევს 4.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელებას კოლეჯის მიერ განსაზღვრულ დროში, მათ შორის ძირითად ღონისძიებად მიჩნეულია პერსონალის შერჩევის პროცედურების გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება

3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 2020 წლის 30 აპრილის N04-65 ბრძანებით დამტკიცებული „საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობების დოკუმენტით“ გაწერილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

კოლეჯში ვიზიტის ყოფნისას, ექსპერთა ჯგუფის მიერ სრულად გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, შესწავლილ იქნა საკვალიფიკაციო დოკუმენტის მოთხვნებთან დასაქმებული პერსონალის პირადი საქმე, რა დროსაც გამოიკვეთა შემდეგი შეუსაბამობები, კერძოდ:

- ლოჯისტიკის სპეციალისტის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კოლეჯში მოქმედი რეგულაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომლის მიხედვით, ამ პოზიციაზე დასაქმებული პირის კვალიფიკაცია უნდა იყოს საბუნებისმეტყველო, ფინანსების, ეკონომიკური ან/და ბიზნესადმინისტრირების, ლოჯისტიკის მიმართულებით, რეალურად კი კოლეჯში დასაქმებულ პირს აქვს საერთაშორისო ურთიერთობების კვალიფიკაცია;
- შესყიდვების სპეციალისტის, რეესტრის წარმოების სპეციალისტს, კოლეჯის სამეურნეო მართვის მენეჯერს, სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს პირადი საქმეებით არ უდასტურდებათ სამსახურში აყვანის მომენტისათვის სამუშაო გამოცდილების არსებობა დაწესებულების მიერ განსაზღვრული ოდენობით;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რეალურად, კი ამ პოზიციაზე დასაქმებული პირი ჯერ სტუდენტია. აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნებისათვის, კოლეჯში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2022 წლის 16 ივნისის №02-109 ბრძანებით დანიშნულ იქნა ახალი თანამშრომელი, რომელსაც უდასტუდება სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების მიმართულებით ტრენინგების გავლის დოკუმენტები. მოცემული პოზიციისათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

მოთხოვნები ასევე ითვალისწინებს არანაკლებ 3 წლიან სამუშაო გამოცდილებას, რაც წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება. ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ მოცემულია დასაქმებულის მხოლოდ რეზიუმეში;

- აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ზოგიერთი პოზიციის (მაგალითად, დამლაგებელი, დამლაგებელ-დიასახლისი, მძღოლი) საკვალიფიკაციო მოთხოვნად მითითებულია პროფესიული ან/და სრული ზოგადი განათლება. კოლეჯში დასაქმებულ ერთ-ერთ მძღოლს მხოლოდ უდასტურდება არასრული საშაულო განათლება;
- არ უდასტურდება კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი უნდა ჰქონდეს შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამა. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განხორციელდა საკადრო ცვლილება და კოლეჯის 2022 წლის 14 ივნისის №02-105 ბრძანებით კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოზიციაზე დანიშნულ იქნა ამავე კოლეჯის სხვა პოზიციაზე დასაქმებული პირი, რომელსაც უდასტურდება შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით განსაზღვრული მოთხოვნები.

ზემოაღნიშნული შეუსაბამომებების აღმოფხვრის მიზნით, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო ქვეატივობად მოცემულია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობების და ფუნქცია მოვალეობების გადახედვა/დარეგულირება. ქვეაქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი. მოცემულ დროში ქვეაქტივობის შესრულება რეალისტურია, ვინაიდან დაწესებულებასთან ინტერვიურებით დადგენიდა, რომ ისინი იზიარებენ მოცემულ რეკომენდაციას და აქვთ მზაობა პერსონალის მართვასთან დაკავშირებული დებულებები მოიყვანონ შესაბამისობაში როგორც კანონმდებლობის, ისე შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, პერსონალის ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, დაწესებულებას რიგ შემთხვევებში გაწერილი აქვს მაღალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, უმჯობესი იქნება აღნიშნული შეფასდეს რეალისტურად და მოვიდეს პოზიციის შინაარსთან შესაბამისობაში. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის

სრულად დაკმაყოფილება, აღნიშნული აქტივობას აქვს რამდენიმე ქვეაქტივობა, რომელთაგან ერთი ეხება თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობების და ფუნქცია მოვალეობების გადახედავა/დარეგულირებას, ქვეაქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი. მოცემულ დროში აღნიშნული ქვეაქტივობის შესრულება რეალისტურია, ვინაიდან დაწესებულებასთან ინტერვიურებით დადგენიდა, რომ ისინი იზიარებენ მოცემულ რეკომენდაციას და აქვთ მზაობა პერსონალის მართვასთან დაკავშირებული დებულებები მოიყვანონ შესაბამისობაში როგორც კანონმდებლობის, ისე შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან.

4. კოლეჯი ხელს უწყობს პერსონალის ჩართულობას და მონაწილეობას ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებში. კოლეჯის მენეჯმენტი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი პერიოდული შეკრებების, მოსაზრებათა ურთიერთგაცვლის, მსჯელობისა და გუნდური თანამშრომლობის რეჟიმში მონაწილეობენ ისეთ მნიშვნელოვან პროცესებში, როგორიცაა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება, პროგრამის განახლება, სასწავლო რესურსების შემუშავება, პროფესიული განვითარების მიზნით სასწავლო ვიზიტების დაგეგმვა, თანამშრომელთა მოტივაციის და წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება, სტუდენტური ცხოვრების ხელშეწყობა, სხვადასხვა კონკურსებში, გამოფენებსა და კონფერენციებში სასწავლებლის წარდგენა, ხარისხის მექანიზმების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა, კოლეჯის ინფრასტრუქტურის და სასწავლო რესურსების განახლება და ა.შ.

კოლეჯის პერსონალთან შეხვედრითა და შესწავლილი დოკუმენტებით დადგინდა, რომ პერსონალის სხვადასხვა წარმომადგენლები გუნდურად არიან ჩართული სხვადასხვა აქტივობაში, სათანადო საჭიროების მიხედვით, მაგალითად, პროგრამების შემუშავებაში, საკონკურსო თუ საკვალიფიკაციო კომისიებში და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №04-65 ბრძანებით დამტკიცებული „საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“;
2. კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“;
3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის №04-97 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკა“; 4. პერსონალის პირადი საქმეები;
5. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
6. პერსონალის შერჩევის ამსახველი დოკუმენტაცია;
7. პერსონალის განვითარების ღონისძიებების, მათ შორის ტრენგებისა და შეხვედრების დამადასტურებელი მასალები;
8. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“;
9. პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☑ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის №04-97 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი, რაც გამოიხატება პერსონალის საქმიანობის შეფასებით კოლეჯის თითოეული პოზიციის შესაბამისად შემუშავებული სამუშაო აღწერილობების ინდიკატორების საშუალებით. შეფასების მიზანია პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ხელშეწყობა, პერსონალის წახალისება და კარიერული წინსვლის თანაბარი, ობიექტური და გამჭირვალე მექანიზმების შემუშავება.

პერსონალის შეფასებისთვის კოლეჯს განსაზღვრული აქვს სხვადასხვა მეთოდები (მიზნების მიხედვით შეფასება, კომპეტენციების მიხედვით შეფასება, შესრულებული სამუშაოს შეფასება და ა.შ). შეფასების პროცესის კოორდინირება უნდა განახორციელოს კოლეჯის დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულმა შეფასების ჯგუფმა.

გარდა აღნიშნული დოკუმენტისა, კოლეჯს შემუშავებული აქვს სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქცია (ბრძანების რეკვიზიტები: N04-88, 10,06.2022), რომლის თანახმად, შეფასების მიზანია სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში დასაქმებული პერსონალის კარიერული განვითარების, პროფესიული უნარ-ჩვევების

ამაღლების, განვითარების საჭიროებისა და წინაპირობების დადგენა, ასევე ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა. არსებული პრობლემების განსაზღვრა, თანამშრომლის მიერ მისდამი წაყენებული მოთხოვნების უკეთ შეცნობა, მიღწევების აღრიცხვა, შეჯერება და დაფასება, მომავალი სამუშაო გეგმებისა და მიზნების ორმხრივად ჩამოყალიბება და შეთანხმება, იმ საჭიროებების იდენტიფიკაცია, სადაც საჭიროა დამატებით სწავლებისა და განვითარების ღონისძიებების განხორციელება, თანამშრომელთა

განვითარების გეგმის შემუშავება, თანამშრომლის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, სხვადასხვაგვარი ზომების მიღება (წახალისებისა თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით). დოკუმენტის მიხედვით, შეფასებაში შემფასებლის რანგში მონაწილეობს როგორც შესაფასებელი პირის უშუალო ხელმძღვანელი, ისე შეფასებაში ჩართული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სხვა პირები/კომისიის წევრები.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ვინაიდან, დაწესებულებაში არ არსებობს სტრუქტურული ერთეულები - სამსახურები, კოლეჯში დასაქმებულთა დიდ უმრავლესობას არ ჰყავს უშუალო ხელმძღვანელი და შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, ვერ მოხდება შესაფასებელი პირის უშუალო ხელმძღვანელის მიერ შეფასება, ამიტომ რეკომენდებულია შემფასებლის რანგში მოიაზრებოდეს ადამიანურ რესურსებზე პასუხისმგებელი პირი (რომლის ფუნქციაა პერსონალის მართვა) და ხარისხის მართვის მენეჯერი (რომლის ფუნქციაა კოლეჯში არსებული პროცესების მონიტორინგი და შეფასება), ხოლო მათ კოლეჯის ხელმძღვანელი შეაფასებს.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯში პერსონალის შეფასება ჯერჯერობით არ განხორციელებულა. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა", რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო ქვეაქტივობად მოცემულია პერსონალის საქმიანობის შეფასება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი. ვინაიდან კოლეჯში ექსპერტთა ვიზიტის დროს ამ აქტივობის შესრულება არ იყო დაწყებული, მოცემულ დროში აქტივობის შესრულება არარეალისტურია.

თუმცა, მიმდინარე წლის 26 აგვისტოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის MES 6 22 0000950922 კორესპოდენციით მოგვეწოდა კოლეჯის არგუმენტირებული პოზიცია, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 25 აგვისტოს N04-143 ბრძანებით განხორციელებული ცვლილების საფუძველზე დამტკიცებული ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობის გეგმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რომლის მე-2 აქტივობა გულისხმობს „პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ჩატარება“. აქტივობის ფარგლებში კოლეჯს განსაზღვრული აქვს 2 ქვეაქტივობა, მათ შორის - ""1. კოლეჯმა დადგენილი რეგულაციების შესაბამისად განახორციელოს პერსონალის საქმიანობის შეფასება. (ინდიკატორი 4.2.1.1); 2. კოლეჯმა ჩაატაროს პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა. (ინდიკატორი 4.2.1.1) "". აქტივობათა შესრულებისათვის კოლეჯის მიერ განსაზღვრულია 4 თვე. ექსპერტთა ჯგუფი შესაძლებლად მიიჩნევს 4.2.1.1 ინდიკატორის განხორციელებას კოლეჯის მიერ განსაზღვრულ დროში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, კოლეჯს არ განუხორციელებია პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო ქვეაქტივობად მოცემულია პერსონალის საქმიანობის შეფასება, ქვეაქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი. კოლეჯის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქცია დამტკიცებულია კოლეჯის

დირექტორის 2022 წლის 10 ივნისის №04-88 ბრძანებით, თუმცა კოლეჯს ჯერ დამტკიცებული არ ჰქონდა პერსონალის შეფასების გეგმა, შეფასების კომისია/ჯგუფი, არ იყო განხორციელებული პერსონალის ინფორმირება შეფასებასთან დაკავშირებით. ამასთან, გასათვალისწინებელია პერსონალის შეფასების, შედეგების ანალიზისა და შეჯამებისათვის საჭირო დრო. ექსპერტთა ვიზიტი კოლეჯში განხორციელდა 2022 წლის 13-17 ივნისს, დაწესებულების გეგმით აქტივობა უნდა დასრულებულიყო 30 ივნისს, შესაბამისად დარჩენილ 13 დღეში ამ სამუშაოს შესრულება არარეალისტურია. თუმცა მიმდინარე წლის 26 აგვისტოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის MES 6 22 0000950922 კორესპოდენციით მოგვეწოდა კოლეჯის არგუმენტირებული პოზიცია, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 25 აგვისტოს N04-143 ბრძანებით განხორციელებული ცვლილების საფუძველზე დამტკიცებული ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომლის მე-2 აქტივობა გულისხმობს „პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ჩატარება“. აქტივობის ფარგლებში კოლეჯს განსაზღვრული აქვს 2 ქვეაქტივობა, მათ შორის - ""1. კოლეჯმა დადგენილი რეგულაციების შესაბამისად განახორციელოს პერსონალის საქმიანობის შეფასება. (ინდიკატორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2.1.1); 2. კოლეჯმა ჩაატაროს პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა. (ინდიკატორი 4.2.1.1) "". აქტივობათა შესრულებისათვის კოლეჯის მიერ განსაზღვრულია 4 თვე. ექსპერტთა ჯგუფი შესაძლებლად მიიჩნევს 4.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელებას კოლეჯის მიერ განსაზღვრულ დროში

2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის №04-97 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, პერსონალის შეფასების საფუძველზე მასწავლებლისა და ადმინისტრაციის პერსონალის განვითარებისისთვის ხელშეწყობა არის კოლეჯის სამოქმედო გეგმის ნაწილი. პერსონალის განვითარება შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ღონისძიებებს: კვალიფიკაციის ტრენინგი, სასწავლო კურსი, დარგობრივი უნარების განვითარების მიზნით საწარმოში ვიზიტები, კონფერენციებსა და გამოფენებში მონაწილეობა და სხვა. დაწესებულება ატარებს პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევას, სადაც ირკვევა, რომ პერსონალის მხრიდან არის მოთხოვნა სხვადასახვა უნარების გაუჯობესებასთან დაკავშირებით და საჭიროა მათი გადამზადება.
კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან გსაუბრებით დადგინდა, რომ ხარისხის სამოქმედო გეგმის ფარგლებში პერიოდულად ატარებს პერსონალის საჭიროებების კვლევას და ახდენს პრობლემების იდენტიფიცირებას, რის დასტრადაც წარმოდგენილია გამოკითხვის მასლები და ანალიზის დოკუმენტები.
ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერი პერიოდულად ატარებს მათ გამოკითხვას ელექტრონული კითხვარების მეშვეობით.
კოლეჯის მიერ ასევე წარმოდგენილია პერსონალის ტრენინგების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები და პერსონალის განვითარების გეგმა, თუმცა დოკუმენტი არ არის დამტკიცებული დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პერსონალის განვითარება ხორციელდება კოლეჯის მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის №04-97 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტიდან ირკვევა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასებისთვის კოლეჯი იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს: თვითშეფასება - რომელიც დაეფუძნება პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და შეფასების კრიტერიუმებს; მეორადი მონაცემების ანალიზი, როგორიცაა, სტუდენტებისგან /მსმენელებისგან/ კოლეგებისგან მიღებული უკუკავშირი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და სხვა დოკუმენტები, მასწავლებლის პრაქტიკაზე დაკვირვება. კოლეჯი ხელს წყობს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებასა და კარიერულ წინსვლას, რაც სხვადასხვა ტიპის ჩატარებულ ტრენიგებსა და მასტერკლასებში გამოიხატება.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ დაწესებულება თანამშრომლობს მასწავლებლის სახლთან, უნარების სააგენტოსთან, პერიოდულად უტარდებათ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასთან დაკავშირებით.

კოლეჯის მიერ ასევე წარმოდგენილია პერსონალის ტრენინგების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები, ტრენინგზე დასწრების ფურცლები, ტრენინგის საკითხები და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. კოლეჯში ყველა შერჩეული კანდიდატი ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირის დახმარებით ეცნობა მისთვის დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს, მოქმედ შინაგანაწესს, კოლეჯის ორგანიზაციულ კულტურას და ტრადიციებს, რაც ეხმარება ახალ თანამშრომელს ადაპტაციაში.
ახალი თანამშრომლის ელექტრონულ ფოსტაზე იგზავნება მისალოცი გზავნილი კოლეჯში დასაქმებასთან დაკავშირებით. პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე შერჩეულ კანდიდატებს, რომელსაც არ აქვთ პროფესიული განათლების სისტემაში სწავლების გამოცდილება, უტარდება შესაბამისი ტრენინგი/ინსტრუქტაჟი. ასეთი კანდიდატები, დასაქმების მომენტიდან პროფესიული

განათლების მასწავლებლის კარიერის საწყის ეტაპზე, მხარდაჭერას შეიძლება იღებდნენ გამოცდილი მასწავლებლებისაგან, ხარისხის მართვის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მენეჯერისა და პროგრამის ხელმძღვანელისაგან.
კოლეჯში პერსონალის ადაპტაციის მექანიზმები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის №04-97 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული ფაქტის გამოყენების პრაქტიკის შესწავლის მიზნით ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს, რომელთაც დაადასტურეს სამსახურში მიღებისას კოლეჯის მიერ განხორციელებული მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტიანობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

5. პერსონალის მოტივაციის ზრდის მექანიზმებად კოლეჯი მოიაზრებს შრომის ადეკვატურ ანაზღაურებას, კვალიფიკაციის და დამატებით შრომითი სამუშაოების მოცულობის გათვალისწინებით ფინანსურ წახალისებას, დაწინაურებას, თანამდებობრივი წინსვლის მექანიზმებს და სხვა. მოტივაციის ზრდის მექანიზმების შემუშავება უწყვეტი პროცესია და ეფუძნება პერსონალის კმაყოფილების კითხვარისა და ინტერვიუების შედეგებს.

კოლეჯში პერსონალის სტიმულირების მექანიზმები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის №04-97 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში და კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებულ შინაგანაწესში.

კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებულ შინაგანაწესის 22-ე მუხლით განსაზღვრულია დასაქმებულის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, რის მიხედვითაც, კოლეჯი ხელს უწყობს პერსონალის ინიციატივას

კვალიფიკაციის ამაღლებასტან დაკავშირებით, ამასთან თუ კოლეჯი ინდივიდუალურად სრულად ან ნაწილობრივ დააფინანსებს დასაქმებულის პროფესიული განვითარების ან/და მასთან დაკავშირებით მგზავრობის, კვებისა და ცხოვრების ხარჯებს, არანაკლებ 800 ლარის ოდენობით, მაშინ დასაქმებული ვალდებულია ასეთი დაფინანსების განხორციელებიდან ერთი წლის განმავლობაში საკუთარი ინიციატივით არ შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა დამსაქმებელთან. თუ დაფინანსება აღემატება 5000 ლარს, მაშინ დასაქმებული ვალდებულია საკუთარი ინიციატივით შრომითი ურთიერთობები არ შეწყვიტოს დასაქმებულთან სამი წლის განმავლობაში. აღნიშნული ვალდებულების დარღვევისას, დასაქმებული ვალდებულია აუნაზღაუროს დამსაქმებელს მასზე გაწეული ხარჯი.

პერსონალთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში პერსონალის მოტივაციის გაზრდისა და წახალისების მიზნით, არსებობს დასაქმებული პერსონალის როტაციის პრაქტიკა. კოლეჯის დასაქმებულთაგან რამდენიმე პირი სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობდა. დაწესებულებაში ასევე არსებობს ფინანსური წახალისების პრაქტიკა პრემიის გაცემის გზით, რაც წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში პერსონალის ინიციატივების მხარდაჭერასთან დაკავშირებული მიზნობრივი კითხვების დასმის გზით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა კოლეჯის მიდგომები, რაც პერსონალის მხრიდან დადებითად იქნა შეფასებულია.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები,

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტოეი 2022 წლის 10 ივნისის №04-88 ბრძანებით დამტკიცებული „თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქცია";
2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №04-65 ბრძანებით დამტკიცებული „საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები";
3. კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი";
4. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის №04-97 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკა"; 5. პერსონალის პირადი საქმეები;
6. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
7. პერსონალის შერჩევის ამსახველი დოკუმენტაცია;
8. პერსონალის განვითარების ღონისძიებების, მათ შორის ტრენგებისა და შეხვედრების დამადასტურებელი მასალები;
9. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა";
10. პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 5.მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

### 5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

#### 5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი'' ძირითადი (ერთი) და დამატებითი (ორი) სასწავლო ფართებისგან, რომლებშიც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. აღნიშნულ ფართს კოლეჯი ფლობს სარგებლობის უფლებით, დაწესებულების არსებობის ვადით.

კოლეჯში დაბა სტეფანწმინდის ლოკაციაზე (რომელიც არ არის ძირითადი ფართი და მას საჯარო სკოლიდან გამოყოფილი აქვს სასწავლო ფართი) კეთილმოწყობილია შემდეგი სახის სივრცეები:

- თეორიული სწავლების აუდიტორია/ები - აუდიტორია 4 ;
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია/ები - 2 აუდიტორია;
- დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები - 3 ერთეული;
- ადმინისტრაციული სივრცე - 1 ერთეული;
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის - 1 ერთეული;
- სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის - 1 ერთეული;
- დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის - 1 ერთეული;
- სივრცე პროფესიულ სტუდენტთა სპორტული ან შემოქმედებითი საქმიანობისათვის– 1 ერთეული;
- სანიტარიული კვანძი/ები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის - 4 ერთეული;
- ბიბლიოთეკა - 1 ერთეული; კოლეჯის სამივე ბაზაზე სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

დოკუმენტები, ამონაწერები საჯარო რეესტრიდან, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესყიდვის აქტები, ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები, უძრავი და მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალები.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის №04-204 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი", რის მიხედვითად განსაზღვრულია კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვის პროცედურა და რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. კოლეჯის სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვას, შენახვას, განვითარებას და გამოყენების პროცესის მართვას კოლეჯის დირექტორის მოადგილის კოორდინაციით ახორციელებს მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის კოორდინატორი. კოლეჯის მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად, საამისოდ გამოყოფილი, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დადგენილი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ.

საგანამანთლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის მდგომარეობის რეგულარულ შეფასებას ახორციელებს მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის კოორდინატორი, ლოჯისტიკის სპეციალისტი და პროგრამის ხელმძღვანელი. შედეგები გადაეცემა კოლეჯის ბუღალტერს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებების შესასრულებლად. საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა, კოლეჯში მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის შეფასება და განვითარების მიზნით შესაბამისი გეგმის შემუშავება. განვითარების გეგმის შემუშავებაში ჩართულია შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, ხოლო საერთო კოორდინაციას უწევს დირექტორის მოადგილე. შეფასებისა და განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი.

ზემოაღნიშნულის დასტურად კოლეჯის მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსების ინვენტარიზიის, აღწერის, შეფასებისა და განვითარების დოკუმენტები, რესურსების შესყიდვისა და განახლების დოკუმენტები, დაწესებულების რესურსებით პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთვრებულთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის დოკუმენტები.

კოლეჯის პერსონალის ჩართულობით, ექსპერთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურა და შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტები და გაესაუბრა უფლებამოსილ პირებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

2. კოლეჯის თანამშრომელი პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის, კოლეჯის თანამშრომლები და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ კოლეჯის ლაბორატორიით/სასწავლო სახელოსნოებით კოლეჯის მიერ შემუშავებული უსაფრთხოების წესების დაცვით. კოლეჯის თანამშრომლები და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები უფლებამოსილნი არიან ლექციებს შორის შესვენების პერიოდში დასვენებისთვის ისარგებლონ შენობაში არსებული ფოიეთი, სველი წერტილებით, კოლეჯის ეზოში არსებული მოსასვენებელი ადგილებით.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის 04-204 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი", რის მიხედვითად განსაზღვრულია კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვის პროცედურა, მათ შორის გაწერილია ინვენტარისა და აღჭურვილობის საჭიროების იდენტიფიცირების მიდგომები და პროცესზე პასუხისმგებელი საშტატო ერთეულები, დარეგულირებულია კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის საკითხები.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის. ზემოაღნიშნულ წესში არსებული ჩანაწერების შესაბამისად პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, სტუდენტი ვალდებულია, გაუფრთხილდეს კოლეჯის ინფრასტრუქტურას.
პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებებთან ინტერვიურებისას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

3. კოლეჯის ტერიტორიაზე სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას ახორციელებენ დამლაგებლები და დამხმარე თანამშრომლები. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დასუფთავსების განრიგები, დამლაგებლებთან შეთანხმებული და მათ მიერ ხელმოწერილი მუშაობის გრაფიკები, სადეზინფექციო საშუალებების მოთხოვნის ჟურნალები, ნარჩენების გატანის დოკუმენტები, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შესყიდვის დოკუმენტები.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ზემოაღნიშნული სამუშაოების განმახორციელებელ პირს, რომელმაც აღწერა საკუთარი სამუშაო განრიგი, სამუშაო პირობები და ფუნქცია-მოვალეობები.

დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის პროექტი, რომელიც დამტკიცდა კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს და გამოცემულია ბრძანება №04-96, 14.06.2022

კოლეჯში სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4. კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ყველა შენობაში არის ცენტრალური გათბობის სისტემა, შესაბამისად, ყველა სასწავლო აუდიტორია, სახელოსნო და ადმინისტრაციის ოთახი უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით.

ცენტრალური გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირების დასტურად წარმოდგენილია კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

კოლეჯში გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირება აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

5. კოლეჯში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან; კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრი, სახანძროსტენდი), რომლის გამოყენების თაობაზე კოლეჯის სტუდენტებისა და პერსონალისათვის ტარდება ინსტრუქტაჟი, რაც დასტურდებ სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ინსტრუქტაჟის ჩატარების ჟურნალებით.

კოლეჯის დირექტორის №04-40 ბრძანების დანართი N9-ით დამტკიცებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც არეგულირების სახანძრო უსაფრთხოების, კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, კოლეჯის შენობა-ნაგებობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გადაადგილების დროს სტუდენტების დახმარებას საკითხებს. მოცემული შიდა მარეგულრებელი აქტით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იყო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პირადი საქმე, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით არ უდასტურდებოდა შესაბამისი კვალიფიკაცია. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განხორციელდა საკადრო ცვლილება და კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 ივნისის №02-105 ბრძანებით კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოზიციაზე დანიშნულ იქნა ამავე კოლეჯის სხვა პოზიციაზე დასაქმებული პირი, რომელსაც უდასტურდება შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით განსაზღვრული მოთხოვნები. თუმცა, დაწესებულებაში პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა ჰყავდეს არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რისთვისაც კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია მატერიალური, ფინანსური რესურსის გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაუმჯობესება, ხოლო ქვეაქტივობად მოცემულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის გადამზადება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 აგვისტო. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოცემული დრო შეფასებულია რელევანტურად, ვინაიდან კოლეჯს უკვე ჰყავს შერჩეული პირი, რომელიც ემზადება სერტიფიცირებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.5 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, თუმცა დაწესებულებაში პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა ჰყავდეს არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რისთვისაც კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია

მატერიალური, ფინანსური რესურსის გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაუმჯობესება, ხოლო ქვეატივობად მოცემულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის გადამზადება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 აგვისტო. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოცემული დრო შეფასებულია რელევანტურად, ვინაიდან კოლეჯს უკვე ჰყავს შერჩეული პირი, რომელიც ემზადება სერტიფიცირებისათვის.

6. დაწესებულებაში სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი ინახება უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვა რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 2 მარტის №04-22 ბრძანებით დამტკიცებული „ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების წესის“ შესაბამისად, რის მიხედვითაც განსაზღვრულია ნარჩენების შესაგროვებელი სათვასების განთავსებისა და მათი გამოყენების წესი, ტერიტორიის დასუფთავსების და დასუფთავსების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვის წესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 6 სექტემბრის N04-89 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული სახარჯი მასალისა და ნედლეულის შენახვის, გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ჩამოწერის წესები'', რომელიც განსაზღვრავს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სასწავლო მიზნებისთვის პროფესიული პროგრამის ფარგლებში გამოსაყენებელი სახარჯი მასალისა და ნედლეულის იდენტიფიცირების, მოთხოვნისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული სახარჯი მასალების, ნედლეულის და შექმნილი პროდუქტის ჩამოწერის საკითხებს. ზემოაღნიშნული წესის თანახმად, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი მიმართვის შემდეგ ამოწმებს საცავში არსებული სახარჯი მასალების რესურსს და საჭიროების შემთხვევაში აკეთებს შესაბამის მოთხოვნას სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად.

ზემოაღნიშნული პროცესის შესრულების დასტურად, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია მასალა-ნედლეულის მოთხოვნისა და დაწესებულების მიერ მოცემული რესურსის მიწოდების, ამ რესურსების შესყიდვის დოკუმენტები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დათვალიერდა სასწავლო გარემო, მასალა-ნედლეული და განხორციელდა ინტერვიურება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, რომელთაც დაადასტურეს სასწავლო პროცესში მასალა-ნედლეულის საკმარისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

7. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების დაწესებულების რესურსების საკმარისობისა და ეფექტიანობის შესაებ პროფესიულ სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და პერსონალის კმაყოფილების კვლევას, რომელიც შედეგებიც ანალიზისა და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევის ანალიზის დოკუმენტში მოცემულია ჩანაწერი, რომ პერსონალი კმაყოფილია დაწესებულების IT და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის 04-204 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის", მე-4 მუხლით განსაზღვრულია „პროგრამების მიხედვით რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია", სადაც გაწერილია კოლეჯის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვაზე, შენახვა, განვითარებასა და გამოყენების პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირები, გაწერილია ინვენტარიზაციის პერიოდები და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების საკითხები, მათ შორს განსაზღვრულია შეფასების შედეგების მიხედვით განვითარების

გეგმის შემუშავებისა და ამ გეგმის მიხედვით გაწერილი აქტივობების შესრულების თაობაზე კოლეჯის ხარისხის მენეჯერის მონიტორის საკითხები.

ზემოაღნიშნულის დასტურად კოლეჯის მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსების შეფასების, ინვნეტარიზაციისა და აღწერის დოკუმენტები.

დაწესებულების მფლობელობაში არებული რესურსების ვიზუალური დათვალიერებითა და ფლობის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს ფაქტს, რომ კოლეჯს გააჩნია საკმარისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

8. დაწესებულების მფლობელობაში შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

თითოეულ სველ წერტილთან განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ქაღალდის პირსახოცის დისპანსერი, ასევე ნარჩენების უკონტაქტო კალათა. ყველა სართულზე განლაგებულია შშმ სტუდენტებისათვის განკუთვნილი სველი წერტილები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

9. დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ყველა სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცეებსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტეფანწმინდის ლოკაციაზე ბიბლიოთეკა გამოყოფილი არ არის სხვა ოთახებისაგან და ადმინისტრაციული ოთახიდან აქვს გასასვლელი, რაც ექსპერტების მოსაზრებით არ არის მიზანშეწონილი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.9 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

10. კოლეჯის, როგორც ძირითადი ისე დამატებითი ფართის ყველა შენობაში არის ფოიე. სასწავლო აუდიტორიები და სახელოსნოები განთავსებულია ყველა სართულზე და დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები, სართულების შესაბამისად, გადანაწილებულია ისე, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას. ადმინისტრაციის ყველა ოთახი აღჭურვილია სათავსოებით, ხოლო პროფესიული მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სათავსოები განლაგებულია სამასწავლებლოში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.10 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

11. კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკის სამუშაო დღეებსა და საათებს, ბიბლიოთეკაში გაწევრიანების წესებს, ბიბლიოთეკის და მკითხველის უფლება - მოვალეობებს, საბიბლიოთეკო ერთეულის გატანისა და საბიბლიოთეკო რესურსის შეფასების საკითხებს. ბიბლიოთეკით სარგელობის წესში მოცემული იყო ჩანაწერი, რომ პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ გაიტანონ მხოლოდ მხატვრული ლიტერატურა. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა მოცემული ჩანაწერით და განახორციელა ინტერვიურება ბიბლიოთეკართან. მან აღნიშნა, რომ ამ მექანიზმით გამორიცხავს საბიბლიოთეკო რესურსის დაკარგვასა და დაზიანებას. ექსპერთა ჯგუფის მიერ განიმარტა, რომ ეს ჩანაწერი არარელევანტურია საბიბლიოთეკო რესურსებით თავისუფალი სარგებლობის სერვისებით პროფესიულ სტუდენტთა უზრუნველყოფისათვის. დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში ცენტრის წარმომადგენლის მეშვეობით მოწოდებულ იქნა კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის ცვლილების დოკუმენტი და კოლეჯის დირექტორის 17 ივნისის №114 ბრძანება, რის

მიხედვით პროფესიულ სტუდენტებს მიეცათ როგორც მხატვრული ლიტერატურის, ისე სხვა სახის საბიბლიოთეკო რესურსის, მათ შორის სასწავლო სახელმძღვანელოების გატანის უფლება, კოლეჯის მიერ დადგენილი ვადით.

საგანმანათლებლო რესურსი აღრიცხულია საინვენტარო წიგნში, რომელიც დამუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

კოლეჯს ჰყავს საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხისმგებელი ბიბლიოთეკარი, რომელიც ახორციელებს სტუდენტებისა და პერსონალის უზრუნველყოფას საბიბლიოთეკო სერვისებით.

საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის გარდა, კოლეჯის საბიბლიოთეკო სერვისები გულისხმობს ასლის გადაღებას, სკანერის გამოყენებას, კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობას, საკანონმდებლო მაცნეს გამოყენებას და ბიბლიოთეკარის კონსულტაციას.

კოლეჯში ხორციელდება საბიბლიოთეკო სერვისებით მოსარგებლეთა რეგისტრაცია ბიბლიოთეკის მკითხველად, ბიბლიოთეკარი ახორციელებს შესაბამისი ჟურნალების წარმოებას.

პროფესიულ სტუდენტებს ელექტრონული სახელმძღვანელოები მიეწოდებათ ელ.ფოსტის მეშვეობთ, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსების ბიბლიოთეკაში არსებობის ფაქტი, რაც სრულად იქნა დადასტურებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის 04-204 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“;
2. შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები;
3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. მატერიალური რესურსების ინვენტარიზაციის, აღწერის, შეფასებისა და განვითარების დოკუმენტები;
5. კოლეჯის მატერიალური რესურსების შესყიდვისა და განახლების დოკუმენტები;
6. დაწესებულების რესურსებით პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთვრებულთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის დოკუმენტები;
7. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 ივნისის №04-96 ბრძანებით დამტკიცებული „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი“;
8. დასუფთავსების განრიგები, დამლაგებლებთან შეთანხმებული და მათ მიერ ხელმოწერილი მუშაობის გრაფიკები, სადეზინფექციო საშუალებების მოთხოვნის ჟურნალები, ნარჩენების გატანის დოკუმენტები, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შესყიდვის დოკუმენტები;
9. ცენტრალური გათბობის სისტემის შესყიდვის/მონაჟის დოკუმენტები;
10. კოლეჯის დირექტორის №04-40 ბრძანების დანართი N9-ით დამტკიცებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი;
11. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 ივნისის №02-105 ბრძანება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დანიშვნის შესახებ;
12. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“;
13. კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 2 მარტის №04-22 ბრძანებით დამტკიცებული „ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების წესი“; 14. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
15. ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევის ანალიზის დოკუმენტები;
16. კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“; 17. კოლეჯის დირექტორის 17 ივნისის №114 ბრძანება ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში ცვლილებების განხორციელების შესახებ;
18. კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო უსაფრთხოების სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2020 წლის 07 აგვისტოს №47 აქტი, რომელიც ადგენს დაწესებულების შესაბამისობას კანონმდებლოთ დადგენილი სახანძრო უსაფრხთოების ნორმების დაცვის თაობაზე და ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წინამძღვრიანთ კარში მდებარე შენობა-ნაგებობას.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია სამხარაულის ექსპერტიზის №002529422 დასკვნა დაბა სტეფანწმინდის ლოკაციისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1 დაკმაყოფილებული, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები

2. კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის №0440 ბრძანებით. კოლეჯში ფუნქციონირებს მედდის სამსახური, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარითა

და სამკურნალო საშუალებებით. მედდა პასუხისმგებელია კოლეჯის თანამშრომელთა, პროფესიულ მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვაზე. მის კომპეტენციებში შედის: კოლეჯის სამედიცინო, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა; ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პირველადი სამედიცინო დახმარება გაწევა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტების, პროფესიულ მასწავლებლებისა და თანამშრომლებისთვის; ინფექციური თუ ვირუსული დაავადების არიდების ან მათი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით უფასო სამედიცინო კონსულტაციების გაწევა კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის; პროფესიულ სტუდენტთა მონაცემების ასახვა შესაბამის ჟურნალში, რომელშიც მოცემულია მონაცემები სისხლის ჯგუფის, რეზუსის, ალერგიისა და გადატანილი დაავადებების შესახებ; საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება 112-ზე დარეკვით. კოლეჯში მედდა პერიოდულად ატარებს ინსტრუქტაჟს ადმინისტრაციისა და სტუდენტებისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის საკითხებზე. ექსპერტებმა დაათვალიერესეს დაწესებულებაში არსებული სამედიცინო აღრიცხვის ჟურნალი, რითაც დგინდება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

3. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 3 ივნისის № 04-81 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“ და შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი, რომელსაც აქვს საგანგებო შტაბის შეტყობინების გეგმა. თუმცა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული არ არის კომპეტენტურ ორგანოსთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოლეჯმა წარმოადგინა წერილი, რის მიხედვითაც დასტურდება, რომ კოლეჯის მოთხოვნა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული იყოს კომპეტენტურ ორგანოსთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში რეგისტრირებულია შემდეგი ნომრით №1513980; 07.06.2022წ. ამასთან, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს,

ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია მატერიალური, ფინანსური რესურსის გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაუმჯობესება, ხოლო ქვეატივობად მოცემულია უსაფრთხოების ნორმების გაუმჯობესება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30

აგვისტო. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოცემული დრო შეფასებულია რელევანტურად, ვინაიდან კოლეჯს უკვე გაგზავნილი აქვს დოკუმენტი შეთანხმებისათვის.

პროფესიული სტუდენტებს და პერსონალს სასწავლო წლის განმავლობაში უტარდებათ წვრთნები საგანგებო სიტუაციების რეაგირების შტაბის მიერ, რაც დასტურდება ინსტრუქტაჟების ჩატარების ჟურნალებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული არ არის კომპეტენტურ ორგანოსთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოლეჯმა წარმოადგინა წერილი, რის მიხედვითაც დასტურდება, რომ კოლეჯის მოთხოვნა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული იყოს კომპეტენტურ ორგანოსთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში რეგისტრირებულია შემდეგი ნომრით №1513980; 07.06.2022წ. ამასთან, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია მატერიალური, ფინანსური რესურსის გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაუმჯობესება, ხოლო ქვეატივობად მოცემულია უსაფრთხოების ნორმების გაუმჯობესება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 აგვისტო. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოცემული დრო შეფასებულია რელევანტურად, ვინაიდან კოლეჯს უკვე გაგზავნილი აქვს დოკუმენტი შეთანხმებისათვის.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. კოლეჯს ემსახურებიან დაცვის თანამშრომლები. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის N04-42 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების წესი“, რომელიც არეგულირებს ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების ძირითადი პრინციპებს, კოლეჯის შენობა-ნაგებობების, კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურეობის პროცესი,

ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას დამუშავებული მონაცემის დაცვის, შენახვის, დაარქივებისა და გამოყენების წესები. დოკუმენტში გაწერილი დებულებები არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაცვის თანამშრომლები ვალდებული არიან მუდმივად აკონტროლონ კოლეჯში დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერები და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრან. საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილნი არიან დაათვალიერონ სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერები.

დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, ამ მიზნით კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებულია „შინაგანაწესი“, ხოლო კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის №N04-27 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის ,,წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესები'', რომელიც არეგულირებს კოლეჯის ტერიტორიაზე წესრიგის დაცის საკითხებს. დოკუმენტში გაწერილი დებულებები არ არის წინააღდეგობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

კოლეჯი თავისი ვალდებულებებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს პერსონალისათვის საქართველოს შრომის კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შექმნას, ყველა სამუშაო ადგილის სათანადო ტექნიკურ მოწყობას და შრომის ისეთი პირობების შექმნას, რომელიც შეესაბამება შრომის დაცვის წესებს (უსაფრთხოების ტექნიკის წესებს, სანიტარულ ნორმებს და ა.შ.). ამ მიზნით, კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი კომპეტენციის ფარგლებში პერსონალს პერიოდულად უტარებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების ტექნიკის, სანიტარული ნორმების, ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის დაცვის სხვა წესების შესახებ და თავად ახორციელებს ყველა მათგანის შესრულებაზე მუდმივ კონტროლს.

შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის №04-40 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი;
2. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 3 ივნისის № 04-81 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“;
3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“;
4. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის N04-42 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების წესი“;
5. კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“;
6. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის №N04-27 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის ,,წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესები’’;
7. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან, ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება/სამუშაოს აღწერილობა;
8. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარისა და სამკურნალო საშუალებების დათვალიერების შედეგები;
9. ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან- დარაჯებთან;
10. შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემის შემოწმების შედეგი.
11. პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთვარებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება; 6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში ყველა სასწავლო აუდიტორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახი აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინტერნეტ რესურსის მიწოდებას სასწავლო პროცესის ფარგლებში, პროგრამების გამოყენებას და უსადენო წვდომას, როგორც ბიბლიოთეკასა და სასწავლო კომპიუტერულ აუდიტორიებში, ისე ადმინისტრაციის ოთახებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში დასაქმებულია ქსელის ადმინისტრატორი, რომლიც პასუხისმგებელია თითოეული კომპიუტერის გამართული კომპიუტერული ქსელით და სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი კომპიუტერული პროგრამებით უზრუნველყოფაზე; ასევე - რეგულარული პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე ადგილობრივი კომპიუტერული ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.

გარდა ამისა, დაწესებულება უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული რესურსით ადმინისტრაციული სასწავლო პროცესების შეუფერხებლად მუშაობისთვის.

ინტერნეტთან უწყვეტი კავშირის უზრუნველსაყოფად 2022 წლის იანვრიდან შპს ,,მაგთიკომთან'' გაფორმებულია ხელშეკრულება (265-2, მოქმედების ვადა, 2022 წლის 31დეკემბრის ჩათვლით), მომსახურების გაწევის ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი, მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინამძღვრიანთკარი, სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ძირითადი სასწავლო კორპუსი; დაბა თიანეთის (დაბა თიანეთი, შოთა რუსთაველის ქ. N21) და დაბა სტეფანწმინდის (დაბა სტეფანწმინდა, საკადასტრო კოდი 74.01.13.429) დამხმარე სასწავლო კორპუსები.

კოლეჯში IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებითა და კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთვრებულებებთან ინტერვიურების გზით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის N04-43 ბრძანებით დამტკიცებულია „საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემების ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკა“, რომელიც არეგულირებს კოლეჯში IT პროცესების სისტემების ეფექტიანობის უზრუნველყოფასა და IT რისკების მართვაზე პასუხისმგებელ პირებს, აპარატურის ფიზიკური უსაფრთხოების მექანიზმებს, ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკას, პროგრამული უზრუნველყოფის პოლიტიკას, ქსელის მართვის პოლიტიკას, ინფორმაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტექნოლოგიების სისტემების განვითარების მექანიზმებს, ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემების ადმინისტრირების საკითხებს, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას.

კოლეჯის IT ქსელის ადმინისტრატორი პერიოდულად ახორციელებს IT პროცესების სისტემების ეფექტიანობისა და IT რისკების შეფასების, რის დასტურადაც წამოდგენილია ანგარიშგების დოკუმენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

3. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის N04-41 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“, რომელიც არეგულირებს კოლეჯის საქმიანობის ფარგლებში დამუშავებულ მონაცემთა სახეებს, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნებს, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტებს, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესებს, სტუდენტური ბაზის ადმინისტრირებას, შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვის წესსა და მონაცემთა სუბიექტის უფლებებს. ზემოაღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული დებულებები არ ეწინააღმდეგება პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.
პერსონალური მონაცემთა ბაზა მდებარეობს ლოკალურად, რომელიც დაცულია ანტივირუსით.

კოლეჯის მიერ პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების მიზნით წარმოდგენილია პერსონალსა და სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც სტუდენტები და პერსონალი ადასტურებენ თანხმობას კოლეჯის მიერ პერსონალური მონაცემების მართლზომიერად გამოყენების მიზნებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას, მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დაადგინა, რომ კოლეჯში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

4. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის N04-43 ბრძანებით დამტკიცებულია „საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემების ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკა", რომელიც არეგულირებს კოლეჯში IT პროცესების სისტემების ეფექტიანობის უზრუნველყოფასა და IT რისკების მართვაზე პასუხისმგებელ პირებს, აპარატურის ფიზიკური უსაფრთხოების

მექანიზმებს, ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკას, პროგრამული უზრუნველყოფის პოლიტიკას, ქსელის მართვის პოლიტიკას, ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების განვითარების მექანიზმებს, ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემების ადმინისტრირების საკითხებს, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას.

კოლეჯის IT ქსელის ადმინისტრატორი პერიოდულად ახორციელებს IT პროცესების სისტემების ეფექტიანობისა და IT რისკების შეფასების, რის დასტურადაც წამოდგენილია ანგარიშგების დოკუმენტი. პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ფილიალებში დინსტანციურად ახორციელებს მხარდაჭერის მექანიზმებს და იქ არსებული კომპიუტერების მონაცემები დღის ბოლოს ინახება ცენტრალურ სერვერზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.4 დამაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

5. სასწავლო პროცესში გამოიყენება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და თანამედროვე, მათ შორის სპეციალური კომპიუტერული პროგრამები; მოქმედებს ბიბლიოთეკის ელექტრონული საძიებო სისტემა, შესაძლებელია ელ.ფორმატში ლიტერატურის მიღება, უზრუნველყოფილია ონლაინ რეჟიმში საერთაშორისო ბიბლიოთეკით სარგებლობა; უზრუნველყოფილია ინტერნეტით შეუზღუდავი სარგებლობა (ფართის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარულია Wi-Fi). ზემოაღნიშნული ხელმისაწვდომია როგორც ადმინისტრაციის, ისე მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის 04-204 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომელიც არეგულირებს კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვის, კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის, პროგრამების მიხედვით რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას.

პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, მათ შორის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

6. კოლეჯი პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირებისთვის იყენებს ელექტრონულ საკომუნიკაციო მექანიზმებს. ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი სარგებლობს ელ-ფოსტას დაწესებულების დომეინით. პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ გამოიყენება საერთო/ჯგუფური ელექტრონული ფოსტა. კოლეჯში ასევე, შექმნილია facebook ჯგუფები პროფესიული სტუდენტებისათვის და პროფესიული მასწავლებლებისთვის („წინამძღვრიშვილის სტუდენტები“; „TMK მასწავლებლები“) რომლებიც აქტიურად გამოიყენება ინფორმაციის გასავრცელებლად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიურებისას დადატურდა კოლეჯის ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის ეფექტიანი მუშაობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს ,,მაგთიკომთან'' გაფორმებული ხელშეკრულება (265-2, მოქმედების ვადა, 2022 წლის 31დეკემბრის ჩათვლით);
2. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის N04-43 ბრძანებით დამტკიცებულია „საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემების ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკა“;
3. IT პროცესების სისტემების ეფექტიანობისა და IT რისკების შეფასების, რის დასტურადაც წამოდგენილია ანგარიშგების დოკუმენტი;
4. IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგი;
5. უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი;
6. დაწესებულების დომეინით პერსონალისთვის ამოქმედებული ელ-ფოსტის მისამართების შემოწმების შედეგი;
7. ელ-ფოსტის ერთიანი ჯგუფი პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის და/ან სხვა ელექტრონული სისტემა;
8. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის N04-41 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“;
9. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის 04-204 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“;
10. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია;
11. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.
12. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი);

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

☐ არ შეესაბამება

## 5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 20 იანვრის N 02-11 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“, რომელიც განსაზღვრავს თანამშრომელთა ვალდებულებებს საქმისწარმოების ნაწილში, საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირს, შემოსული კორესპონდენციის

მიღება, აღრიცხვა (რეგისტრაცია) და დაგზავნის მიდგომებს, დოკუმენტების შედგენას, გაგზავნას, ინდექსებისა და რიგითი ნომრების მინიჭების, ბეჭდების და შტამპების გამოყენებჯს, სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტების სახეებსა და საარქივო დოკუმენტების ადმინისტრირების წესებს. კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა Eflow-ს მეშვეობით. საქმისწარმოებზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი.

დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები არის დანომრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, მათი სანდოობა და მთლიანობა არის უზრუნველყოფილი. საქმისწარმოება ცენტრალიზებულია და მთავარი ლოკაციიდან იმართება.

კოლეჯის საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დებულებები არაა წინააღმდეგობაში საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ დებულებებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

2. კოლეჯის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი იყენებს ელექტრონულ ფოსტას, რომლის საშუალებითაც აქტიურად ხორციელდება ყოველდღიური საქმიანი მიმოწერა თანამშრომლებს შორის. კოლეჯის მმართველობითი და ადმინისტრაციული წარმოების მიზნით, პერსონალის ჩართულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFLOW). კოლეჯის ფინანსური პროცესების ადმინისტრირების მიზით გამოიყენება საბუღალტრო, შესყიდვებისა და ინვენტარიზაციის ელექტრონული პროგრამები.

კოლეჯის მიერ წამორდგენილია პროფესიულ სტუდენტებთა, კურსდამთავრებულებთან, პერსონალთან და პარტნიორებთან განხორციელებული მიმოწერა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.

3. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეისწავლა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია. კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის შესახებ ინფორმაცია სისტემაში ასახულია.

დაწესებულების მიერ არ არის დარეგულირებული პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ინფორმაციის ასახვის პროცედურები. სისტემაში ინფორმაციის ასახვის თაობაზე ზოგადი ჩანაწერი მითითებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მართვის წესში, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროცედურული დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. თუმცა, დაწესებულების მიერ არ არის დარეგულირებული პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ინფორმაციის ასახვის პროცედურები. სისტემაში ინფორმაციის ასახვის თაობაზე ზოგადი ჩანაწერი მითითებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მართვის წესში, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროცედურული დოკუმენტი.

4. კოლეჯში დირექტორის 2015 წლის 20 იანვრის N 02-11 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესით" განსაზღვრულია ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. დოკუმენტებზე რეაგირებისა და შესრულების ვადები არ აღემატება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებს.

კოლეჯს შრომითი ხელშეკრულებით ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტების შესრულების კონტროლსა და დროულ რეგირებაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა კოლეჯის მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპოდენციის შესრულების ვადების დაცვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

1. კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 20 იანვრის N 02-11 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“;
2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესი“; 3. პროფესიული განათლების მართვის სისტემა;
4. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე;
5. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს ოფიციალური ვებ გვერდია https://tmk.edu.ge/ და სოციალური ქსელის გვერდი, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის ისტორია, მისია, ხედვები, ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული განვითარების გეგმა, ინფორმაცია ადმინისტრაციის პერსონალის, პროფესიული მასწავლებლების, პარტნიორების შესახებ; განთავსებულია ყველა ტიპის პროგრამა, რასაც კოლეჯი ახორციელებს, ჩარიცხვის პროცედურები, კოლეჯის შიდა აქტები, სიახლეები, საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების შესახებ, ვაკანსიები, ინფორმაცია სწავლის დაწყებისა და დასრულების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვ. სოციალური ქსელის მეშვეობით ქვეყნდება, ასევე, კოლეჯში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია და სიახლე.

კოლეჯის ვებგვერდზე ბოლო სიახლე მოიცავს ინფორმაციას მიმდინარე წლის 10-12 ივნისს ღვინის ფესტივალზე კოლეჯის მონაწილეობის თაობაზე.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტი.

თუმცა, კოლეჯის ვებგვერდზე არაა სრულყოფილი ინფორმაცია დაწესებულების სხვა სასწავლო ადგილის (დაბა თიანეთი სტეფანწმინდა), აღნიშნულის თობაზე ზოგადი ინფორმაცია იძებნება პროგრამის კატალოგში, რისთვისაც რეკომენდებულია თვალსაჩინოდ განათავსოს ინფორმაცია პროგრამის განხორციელების ადგილების თაობაზე, რაც გაზრდის დაწესებულების ცნობადობას, საზოგადოების ინფორმირებულობას და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით**,** ინდიკატორი **5.2.3.1** დაკმაყოფილებულია**,** დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს, თუმცა, კოლეჯის ვებგვერდზე არაა სრულყოფილი ინფორმაცია დაწესებულების სხვა სასწავლო ადგილის (დაბა თიანეთი სტეფანწმინდა), აღნიშნულის თობაზე ზოგადი ინფორმაცია იძებნება პროგრამის კატალოგში, რისთვისაც რეკომენდებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვალსაჩინოდ განათავსოს ინფორმაცია პროგრამის განხორციელების ადგილების თაობაზე, რაც გაზრდის დაწესებულების ცნობადობას, საზოგადოების ინფორმირებულობას და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას.

2. კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში არ არის ინფორმაცია საერთაშორისო აქტივობების შესახებ, თუმცა კოლეჯი საკუთარ ძლიერ მხარედ ასახელებს უცხოელ პარტნიორებს და შესაძლებლობად განიხილავს პროფესიულ სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, შესაბამისად რეკომენდებულია კოლეჯმა შექმნას უცხოენოვანი ვებგვერდი, რაც გააადვილებს უცხოელი პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი **5.2.3.2** დაკმაყოფილებულია**,** დაწესებულებას აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას, თუმცა კოლეჯი საკუთარ ძლიერ მხარედ ასახელებს უცხოელ პარტნიორებს და შესაძლებლობად განიხილავს პროფესიულ სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, შესაბამისად რეკომენდებულია კოლეჯმა შექმნას უცხოენოვანი ვებგვერდი, რაც გააადვილებს უცხოელი პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას.

3. კოლეჯი ვებ-გვერდისა და ოფიციალური FACEBOOK გვერდის საშუალებით, ავრცელებს სანდო და უტყუარ ინფორმაციას. კოლეჯის მიერ განხორციელებული ყველა საქმიანობა, ასევე ყველა საგანმანათლებლო პროგრამა, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, ხანგრძლივობის, დაშვების წინაპირობის, დასაქმების შესაძლებლობების, პარტნიორი ორგანიზაციების გათვალისწინებით, განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელება ხდება, კოლეჯის თანამშრომლების მიერ განხორციელებული

ღონისძიებების, საინფრმაციო შეხვედრების, ღია კარის დღეებისა და სხვა აქტივეობების შესახებ. ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება ხდება ქსელის ადმინისტრატორის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში კოლეჯს აყვანილი ჰყავდა PR მენეჯერი, რომელთანაც განხორციელდა ინტერვიურება. მან განაცხადა, რომ მუშაობს კოლეჯის PR სტრატეგიის დოკუმენტზე, რითაც ხელშეუწყობს კოლეჯის ცნობადობის ამაღლებას.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცააა: ვიზიტორები და შიდა შეხვედრები, გარე შეხვედრები და აქტივობებში ჩართულობა, მოტივაციის ამაღლება და ინიციატივების ხელშეწყობა, ვებ გვერდი და სოციალური ქსელები, კომუნიკაცია თანამშრომლებთან, კომუნიკაცია სტუდენტებთან/მსმენელებთან, უკუკავშირის შედეგები და ანალიზი, კოლეჯის პერსონალის ვალდებულებები და პასუხიმგებლობები საზოგადოებასთან კომუნიკაციიის პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.2 დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე.

კატალოგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, მოცულობის, ხანგძლივობის, შეფასების წესისა და პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებული, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5. კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რის დასტურადაც კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების არქივი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი **5.2.3.5** დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6. კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია „კონტაქტის" ველი, სადაც ნებისმიერ მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა კოლეჯში გააგზავნო კითხვები/სურვილები/რეკომენდაცია. კოლეჯის ვებგვერდზე არის ველი, რომლის საშუალებითაც მსურველები რეგისტრირდებიან და შესაძლებლობა აქვთ დაგეგმონ ვიზიტი და დაათვალიერონ კოლეჯი.

კოლეჯში, იმართება, საინფორმაციო შეხვედრები და ღია კარის დღეები, სადაც ყველა მსურველს აქვს საშუალება დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხზე.

საზოგადოებასთან კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს კოლეჯის Facebook გვერდი, რომლის საშუალებითაც, გვერდის ადმინისტრატორი პასუხობს დაინტერესებული პირებისგან შემოსულ შეკითხვებს.

კოლეჯში არსებობს წინადადებების ყუთი, სადაც ხდება ყველა თანამშრომლის, სტუდენტის და პროფესიული მასწავლებლის მიერ საკუთარი აზრის დაფიქსირება.

ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის შედეგად მიღებულ უკუკავშირი მუშავდება კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ, მოვალეობების შესაბამისად და გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნული დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი **5.2.3.6** დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯს ოფიციალური ვებ გვერდი https://tmk.edu.ge/ და სოციალური ქსელის გვერდი
2. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
3. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი; 5. დომენი და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი;

6. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კოლეჯის შემოსავლების წყაროა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება. კოლეჯი კალენდარული წლის დასაწყისში ადგენს დაწესებულების საპროგრანოზო ბიუჯეტს, ხოლო სამეურნეო წლის დასრულებისას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების ანალიზს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განხორციელებული აქტივობები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურით, რაც დასტურდება კოლეჯის მიერ სამოქმედო გეგმების შესრულების ანალიზის დოკუმენტებით (2019, 2020, 2021), კოლეჯის მიერ წარმოდგენილი და კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტებით.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის მთავარ ბუღალტერს, რომელმაც დეტალურად აღწერა კოლეჯში საფინანსო პოლიტიკის განხორციელების მიდგომები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.1 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება

2. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტები 2019, 2020 და 2021 წლებში განხორციელებული საოპერაციო ხარჯების განხორციელების შესახებ, ცალკეული სამეურნეო ოპერაციების განხორციელების ფინანური დოკუმენტები, საგადასახდო დავალებები და სხვა, რის საფუძველზეც ირკვევა, რომ კოლეჯში უზრუნველყოფილია მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

კოლეჯი ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს და შესაბამის ანგარიშგების პორტალზე განათავსებს ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშს, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

3. კოლეჯი ყოველწლიურად ახორციელებს დაწესებულების ბიუჯეტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშს, რომელსაც იხილავს კოელჯის დირექტორი. მოცემული ანალიზის შესაბამისად ახორციელებს მომდევნო წლის ბიუჯეტების შემუშავებას.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის მთავარმა ბუღალტერს, რომელმაც დეტალურად აღწერა კოლეჯის საფინანსო პოლიტიკის განხორციელების მიდგომები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2021 წლის ფინანსური ანგარიში;
2. 2021 წლის ინვენტარიზაციის აქტი;
3. ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განთავსებული ფინანსური ანგარიშები;
4. საპროგნოზო ბიუჯეტი, დაფინანსების დინამიკა
5. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები
6. პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუირების შედეგები
7. კოლეჯის ვებგვერდი - https://tmk.edu.ge/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

## IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ელექტროობა |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში / Basic Vocational Qualification in Electricity |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0713 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | დაბა სტეფანწმინდა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 20 |

| | |
|---|---|
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 52 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 67 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

## X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |

## XI. სტანდარტის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

1.დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგემვის და შემუშავების მეთოდოლოგია - კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N 04-111 (13.12.2019) დამტკიცებული (ცვლილება N04-191 06.10.2020) „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“, რის საფუძველზეც დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“, სადაც აღნიშნულია, რომ კოლეჯი არის მრავალპროფილური. შერჩეული პროგრამა „ელექტროობა“ მიესადაგება კოლეჯის მისიას - მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის. დაწესებულებამ შრომის ბაზრის მიმოხილვითი ანალიზის დროს იხელმძღვანელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზით, აღნიშნული ანალიზი მოიცავს დასაქმების საიტებისა და მათ მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიების შესწავლას, სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული შრომის ბაზრის ანალიზი დაწესებულებას დაეხმარა შრომის ბაზარზე არსებული ზოგადი მოთხოვნის კომპონენტების და მოსალოდნელი ტენდენციების გამოვლენის კუთხით. ასევე დაწესებულებამ სამიზნე ჯგუფად განსაზღვრა ადგილობრივი სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები, გამოკითხული რესპონდენტების 6% (სულ 49 მსურველი) შეისწავლიდა ელექტროობის პროგრამას. დაწესებულების მისია, როგორც წესი ზოგადია და კონკრეტული პროგრამის ჩამონათვალს არ მოიცავს, გარდა აგრარული მიმართულებისა. თუმცა მისიის კონტექსტში არ ჩნდება კითხვის ნიშნები მოცემული პროგრამის დამატების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. მისიის მიხედვით კოლეჯი მრავალპროფილურია.

კოლეჯის 2020 – 2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველი სტრატეგიული მიზანია „ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება“, აღნიშნული მიზანი ჩაშლილია 2022 წლის სამოქმედო გეგმაში ამოცანებად, სამოქმედო გეგმის მეორე ამოცანაა შერჩეული პროგრამების დამატება/ ავტორიზაციის პროცედურების გავლა (მოდულური, დუალური, ინტეგრირებული მიდგომით).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

2.პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საბაზო განათლებაა. პროგრამაზე აპლიკანტის შერჩევა და ჩარიცხვა რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-69 12/07/2021 (ცვლილება 04-93 10/06/2022) დამტკიცებული „აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი", რომელიც შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ."

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3.დირექტორის N 04-03 11.01.2019 ბრძანებით დანართი N2 (ცვლილება: N04-10 20.01.2022) დამტკიცებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი''. აღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით დაწესებულებას შეიმუშავებული აქვს „პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება" კონკრეტული პროგრამისთვის. კონტინგენტის დაგეგმვისას ამოსავალი ძირითადად პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსებია. გათვალისწინებულია, რომ ერთიდაიგივე რესურსი შესაძლებელია სხვადასხვა პროგრამის მიზნებისათვის იქნას გამოყენებული -ასეთია უცხო ენის კაბინეტი 15 სტუდენტისათვის და B სასწავლო გარემო, სადაც არის ადგილი 30 პროფესიული სტუდენტისათვის (ოთახი N213 და N210, თითოეულში 15 ადგილი). პროგრამის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი „ენერგო-პრო ჯორჯიასთან" 20 სტუდენტის ფარგლებში, კოლეჯის მიერ შეძენილი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა გათვლილია ერთ A სასწავლო გარემოზე (20 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილით და ერთ სასაწავლო C გარემოზე, აქაც 10 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილით. პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 11 პროფესიულ მასწავლებელთან. კოლეჯის დირექტორის მიერ 13.12.2019 წლის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება N04-95 14.16.2022) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად „პროფესიულ სტუდენტთა სწავლება ხორციელდება ერთ ცვლაში."

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტების გათვალისწინებით, კოლეჯს შეუძლია ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის მიღება პროგრამაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწავლებას განახორციელებს ორ ცვლაში და დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებისას დადგინდა , რომ სწავლებას განახორციელებს ორცვლაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს მარეგულირებელ დოკუმენტებს და მოიყვანოს შესაბამისობაში. კერძოდ, დირექტორის N 04-03 11.01.2019 ბრძანებით დანართი N2 (ცვლილება: N04-10 20.01.2022) დამტკიცებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“ და კოლეჯის დირექტორის მიერ 13.12.2019 წლის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება N04-95 14.16.2022) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“,

4.ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამაში/მოდულში მითითებული რესურსების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან. შესწავლილი იქნა სასწავლო რესურსების შესაბამისობა მოდულის შინაარსთან და ტექნიკური აღჭურვილობის შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან. დაწესებულებას პროგრამაში აქვს იმ აღჭურვილობის ნუსხა, რომელიც საჭიროა მოდულების პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისათვის.. მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ადექვატურია სწავლის შედეგებთან მიმართებაში. დაწესებულებას დატოვებული აქვს იგივე რესურსები, რაც მოდულის საწყის ვერსიაშია მითითებული, ასევე დამატებული აქვს რესურსები საკუთარი შეხედულებების მიხედვითაც. მოდულებში მითითებული ლიტერატურა უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამა არჩევითი მოდულებს არ ითვალისწინებს.

6.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის N04-66 ბრძანებით (01.09.2017), ბოლო ცვლილება 04-54 09.03.2022. დაწესებულებაში პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი არის კოლეჯის დირექტორი N04-111 (2018 13.12.2019) ბრძანებით დამტკიცებული წესის - „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ მეორე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება – „ელექტროობა“სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მოიცავს ელექტრიკოსის ფუნქცია– მოვალეობებსა და კომპეტენციებს, სახელწოდება ემთხვევა ჩარჩო დოკუმენტს/საგანმანათლებლო სტანდარტს „ელექტროობა“ სახელწოდებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.7. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8.პროგრამის შემუშავების საფუძველია შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტი „ელექტროობა“. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. დაწესებულების მიერ წარმოგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის

ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა, ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა, პროგრამის განმახორციელებლები, პროგრამის მატერიალური რესურსი, პროგრამის ბიუჯეტი. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული A2, რომელის მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.8. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

დასტურდება

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების დირექტორის 13.12.2019 წლის ბრძანებით N04-111-ით დამტკიცებული (ცვლილება N04-191 06.10.2020) „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“
2. საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
3. ბრძანებით განსაზღვრული პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი
4. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება და ანალიზი
5. კოლეჯის 2020 – 2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა
6. 2022 წლის სამოქმედო გეგმა;
7. საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
8. კოლეჯის დირექტორის N 04-03 11.01.2019 ბრძანებით დანართი N2 (ცვლილება: N04-10 20.01.2022) დამტკიცებული სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი’’ 7. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი -კოლეჯის დირექტორის N04-66 ბრძანებით (01.09.2017);

8. დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

<u>შეფასება:</u>

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსით. ექსპერტთა ჯგუფმა გადავამოწმეთ რესურსების ფიზიკური არსებობა და საკმარისობა. საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“-ს განსახორციელებლად გათვალისწინებული აქვს A.B.C გარემო მისამართზე - დაბა სტეფანწმინდა. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამაის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - სახელმწიფო შესყიდვის; მიღება ჩაბარების აქტები; ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს დოკუმენტაციით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის

არსებობას დაწესებულებაში. ყველა რესურსი ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

A	სასწავლო გარემო აუდიტორია 10 სტუდენტზე, თეორიული მეცადინეობის და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (10 მაგიდა და სკამი); პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1 მაგიდა და სკამი); დემონსტრირების ციფრული საშუალება -პროექტორი, დაფა, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის.

B	სასწავლო გარემო, ლაბორატორია - 10 სტუდენტზე, რომელიც სრულადაა აღჭურვილი პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (10 მაგიდა და სკამი -10 კომპიუტერი) პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1 მაგიდა და სკამი) და 1 კომპიუტერით, პროექტორი, დაფა.

C- სასწავლო გარემოს ლაბორატორია -10 სტუდენტზე.

აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (10 მაგიდა და სკამი); პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1 მაგიდა და სკამი); დაფა, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის. სამუშაო გარემოში განთავსებულია: მოძრავი სტენდი პრაქტიკული დავალებისთვის; ვოლტმერი; ამპერმეტრი ციფრული; ცვლადი დენის კონდესატორი; ერთ სხივიანი ოსცილოგრაფი; ლაბორატორიული რეოსტატი; სიხშირმზომი, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია მოქცევის წესები, , ოთახში განთავსებულია პირველადი დახმარების ყუთი. აღჭურვილობა ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის და სტუდენტებისთვის და გამოიყენება საწავლო პროცესში. დაწესებულებაში ვიზიტის დროს გმოვლინდა შემდეგი გარემეობები, კერძოდ; C-სასწავლო გარემოს ლაბორატორიაში, არ იყო გამოკრული უსაფრთხოების ნიშნები; დაწესებულებას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია. აღნიშნულ ფაქტზე დაწესებულებამ სწრაფად მოახდინა რეაგირება და კედელზე თვალსაჩინო ადგილას გამოაკრა უსაფრთხოების მანიშნებლებლი, რითაც აღნიშნული შეუსაბამოებები აღმოიფრხვრა. C-სასწავლო გარემოში ასევე არ იყო 220/380 V კარადა, სადაც პრაქტიკული მეცადინეობის დროს უნდა მოხდეს ძაბვის დაერთება. პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ს/ს “ენერგო-პრო ჯორჯიასთან“. ხელშეკრულება გაფორმებულია 20 სტუდენტზე, ხელშეკრულება უვადოა. კომპანია გამოხატავს კეთილ ნებას პროფესიულ კოლეჯთან თამაშრომლობაზე პროფესიულ დარგის განვითარებაში.

პროფესიული პროგრამა „ელექტროობის“ საერთო პროფესიული მოდულის „საინჟინრო ხაზვის“ ერთ-ერთი სწავლის შედეგია „საინჟინრო ნახაზების შექმნა კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემით (CAD)“, C სასწავლო გარემო არ არის შესაბამისი პროგრამით უზრუნველყოფილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.1.1. ინდიკატორი არაა დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არაა უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. C-სასწავლო გარემოში ვიზიტის დროს მოხდა 220/380 V კარადის მოტანა, რომელიც არ იყო დამონტაჟებული და არ გამოიყენებოდა სასწავლო პროცესში, სადაც პრაქტიკული მეცადინეობის დროს უნდა მოხდეს  მაზვის დაერთება., ასევე უნდა დაკონკრეტდეს პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და  უნდა განხორციელდეს სასწავლო გარემოს CAD პროგრამით უზრუნველყოფა

2.საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობის“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის და კვალიფიკაციის, მათი დატვირთვის გადამოწმების მიზნით, ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა განმახორციელებლების პირადი საქმეები და ასევე გადამოწმდა მათი ჩართულობა დაწესებულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში.

დაწესებულებამ  წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, სადაც მითითებულია სახელი, გვარი, კვალიფიკაცია/მუშაობის გამოცდილება, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ, ნასამართლეობის ცნობა. პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები შედგება: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დიპლომი, სერთიფიკატები, ცნობა სამუშაო ადგილიდან და მომსახურების ხელშეკრულება მოდულების ჩამონათვალით; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ, ნასამართლეობის ცნობა.  აღნიშნული დოკუმენტაციის  გადამოწმების შედეგად გაირკვა, ელექტროობის სასწავლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობაა 23,  მათ შორის, პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელია 9 პირი. პროფესიული მასწავლებლების

კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, დასტურდება განათლების დამადასტურებელი დიპლომით, მასწავლებლად მუშაობის გამოცდილებით, სამასწავლებლო კურსის ტრენინგის გავლის სერთიფიკატით.
პროფესიული პროგრამა „ელექტროობის“ საერთო პროფესიული მოდულის „საინჟინრო ხაზვის“ ერთ-ერთი სწავლის შედეგია „საინჟინრო ნახაზების შექმნა კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემით (CAD)“ , განმახორციელებელ პირებს არ უდასტურდებათ აღნიშნული სწავლის შედეგის შესაბამისი კვალიფიკაცია და არც პროგრამულადაა უზრუნველყოფილი ამ მოდულის განხორციელება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგანაც დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმის საფუძველზე მოიძია და აიყვანა შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი პროფესიული პროგრამა „ელექტროობის“ საერთო პროფესიული მოდულის „საინჟინრო ხაზვის“
ერთ-ერთი სწავლის შედეგის „საინჟინრო ნახაზების შექმნა კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემით (CAD)“ განხორციელებაში.

4.პსდ-ს მიერ განსაზღვრულია დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის დირექტორის 09.03.2022 წლის N04-47 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება კოლეჯის მარეგულირებელი დებულებებით საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. ვიზიტის დროს გადამოწმდა ელექტროობის პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე.
პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების დროს მან აღინიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობას იღებდა პროგრამის შემუშავების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5.ვიზიტის ფარგლებში მოხდა საბიბლიოთეკო სივრცის დათვალიერება, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსების გადამოწმება. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით დაწესებულების ბიბლიოთეკაში  და გამოიყენება სასწავლო პროცესის მიზნებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6.დაწესებულების საგანმანათლებლო და დამხმარე სივრცეები ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ამიტომ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომა სსსმ პირებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ამჟამად აღნიშნულ პროგრამაზე არ ფიქსირდება არცერთი სსსმ პირი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7.დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროგრამის ბიუჯეტი, რომლის საშუალებითაც გათვალილი აქვს პროგრამის ფარგლებში საკუთრი ფინანსური რესურსები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. განსაზღვრულია ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის მიხედვით შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასური/ვაუჩერია და პროგრამული დაფინანსება. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, ძირითადი საშუალების ცვეთას, დიპლომების ბეჭდვა, რეკლამას, და სხვა ხარჯებს (ადმინისტრაციული, კომუნალური და სხვა). დაწესებულების მიერ მოთხოვნილი რაოდენობა აღემატება რენტაბელობის ნორმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

ბიუჯეტში არ გვხდება პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულება, ასევე არ ჩანს ბიუჯეტის რა ნაწილს იკავებს პროცენტულად ხარჯები სახეობების მიხედვით. ბიუჯეტი გათვლილია სტუდენტთა რაოდენობაზე, რომელიც განსაზღვულია ჯგუფში, ესაა 10-10 პროფესიული სტუდენტი (ჯამში 20 სტუდენტი, დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში სწავლებას განახორციელებს ოპრცვლაში, შეჭრილი ცხრილით) . დაწესებულებას სწორად არ აქვს გააზრებული ბიუჯეტის შედგენის წესი და მნიშვნელობა. განხორციელდა გასაუბრება ბუღალტერთან, გასაუბრების შედეგად დამატებით შემუშავდა პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც წარმოდგენილ იქნა ვიზიტის დასრულებამდე, სადაც გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა რეკომენდაციები. შემუშავებილი ბიუჯეტით დასტურდება ფინანსური რესურსით პროგრამის მდგრადობა; ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.1.7. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების, მ. შ. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
2. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ვიზუალური დათვალიერება;
3. დაწესებულების პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
4. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად; 5. პროგრამის ბიუჯეტი;

6. პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებაში მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები,“ დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-26 11.03.2019 (ბოლო ცვლილება N04-45 09.03.2022) რომელშიც წარმოდგენილია მუხლი მე-4 „პროგრამების შეფასება“. მექანიზმი გაწერილია ხარისხის ციკლის (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე) მიხედვით და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისგან, დამსაქმებლებისგან, პროფესიული სტუდენტებისგან და პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის, შიდა მხარდაჭერის ჯგუფისა და ვერიფიკაციის ჯუფის მიერ დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. დოკუმენტში წარმოდგენილია დაინტერესებულ მხარეთა კითხვარები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.3.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორის N ბრძანებით 04-111 (2018 13.12.2019) დამტკიცებული დანართი N1 „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული) შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა,“ დოკუმენტის მიხედვით, განსაზღვრულია პროგრამაში ცვლილებების შეტანისა და განვითარების წესი. პროგრამაში ცვლილებების შეტანის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს - ინფორმაციის შეგროვება, ინფორმაციის დამუშვება, გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა, რეკომენდაციების მომზადება და ცვლილებების განხორციელება. თუმცა დოკუმენტში არაა აღწერილი რა შემთხვევაში ხდება პროგრამაში ცვლილებების განხორციელება, რა ტიპის ცვლილებების განხორციელების დროსაა დაწესებულება აღნიშნული აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და რა ვადაში, რა ვალდებულება აქვს დაწესებულებას დუალურ პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში როგორ იქცევა დაწესებულება, იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულების რეგულაციით განსაზღვრული ჰყავს პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი - კოლეჯის დირექტორი. ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამები დამტკიცებულია თუ არა უფლებამოსილი პირის მიერ. პროგრამა დამტკიცებულია და ცვლილებებიც განხორციელებულია დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით. სასწავლო პროცესის მენეჯერთან გასაუბრების დროს განმარტა, რომ პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიზეზი ადამინაური რესურსის ცვლილებებია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.3.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, თუმცა რეკომენდებულია „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული) შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“-ში გაიწეროს რა შემთხვევაში ხდება პროგრამაში ცვლილებების განხორციელება, რა ტიპის ცვლილებების განხორციელების დროსაა დაწესებულება აღნიშნული აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და რა ვადაში, რა ვალდებულება აქვს დაწესებულებას დუალურ პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში როგორ იქცევა დაწესებულება, იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

დასტურდება

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 მაისის N04-26 ბრძანებით (დანართი N1; ცვლილება N04-45 09.03.2022) დამტკიცებულია „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ 2. კურსდამთავრებულთა ბაზა;
3. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მაჩვენებელი;
4. პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი);
5. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N 04-111 (13.12.2019) დამტკიცებული (ცვლილება N04-191 06.10.2020) „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“,
6. განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სასწავლო გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანამიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო გეგმების მიხედვით პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. იგი აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმებში ზუსტადაა გადატანილი მოდულში გათვალისწინებული საათები. პროგრამის მოცულობა კრედიტებში ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს - 52 კრედიტს, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს - 67 კრედიტს. სასწავლო გეგმებში არაა გამიჯნული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, გასაუბრების დროს სასწავლო პროცესის მენეჯერმა განმარტა, რომ სწავლის დაწყების წინ ხორციელდება საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გამიჯვნა, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ უმჯობესია თავიდანვე შემუშავდეს გამიჯნული საათებით სასწავლო გეგმა. სასწავლო პროცესი ამ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რაც დასტურდება მეცადინეობების განრიგით და შესაბამისი პირების ინტრვიუირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კოლეჯის დირექტორის მიერ 13.12.2019 წლის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება N04-95 14.16.2022) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", სადაც არის ჩანაწერი, თუ როგორ რეაგირებს დაწესებულება ფორს-მაჟორულ ვითარებაში. კერძოდ, „დისტანციურ რეჟიმში სწავლების კომპონენტები გამოიყენება ფორსმაჟორული ვითარების დროს, პროფესიულ სტუდენტთა ავადობის ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობების დროს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც გამორიცხავს კოლეჯის ტერიტორიაზე მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ერთდროულად ყოფნას" და ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

სასწავლო პროცესის მენეჯერთან გასაუბრებით გაირკვა, რომ პანდემიიდან გამომდინარე სასწავლო პროცესი გადაყვანილი იქნა დისტანციურ სწავლებაზე და წარმოადგინა შესაბამისი ბრძანება (07.12.2020 წლის N04-234 ბრძანება). სტუდენტების დახმარებაც განხორციელდა, რამოდენიმე მათგანს ლეპტოპები გადასცეს დროებითი სარგებლობისთვის. დაწესებულებას გააჩნია საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, ის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია. აღნიშნული ნაწილი ემთხვევა შესაბამის საგანმანათლებლო სტანდარტს. სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება დასტურდება პრაქტიკის ობიექტის/პარტნიორ ორგანიზაციაში არსებული რესურსით, მისი ადგილით ბაზარზე. პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და დაწესებულების მიერ ტარდება ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა სასწავლო გარემო. პროგრამის შესაბამისი სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია თანამედროვე ხელსაწყოებითა და ინვენტარით. სასწავლო გარემოში არსებობს ამ გარემოს შესაბამისი ინვენტარი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესი", რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 14.02.2019 წლის ბრძანებით N04-12 (ცვლილება 15.03.2021 წლის N04-32

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბრძანებით). აღნიშნული რეგულაციით პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის შემუშავებულია კალენდარული გეგმის შემუშავების მიდგომები და პროცედურები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა, ასევე თუ რა დროს დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის (სსსმ პირებისთვის); ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ); გ) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ); დ)მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას; ე) პროფესიული სტუდენტებისთვის ფორს-მაჟორული ვითარების დროს (საჭიროებისამებრ). კოლეჯს აღნიშნულ პროგრამაზე 2019 წლის მიღებზე ჰყავდა ერთი სსსმ პირი. დაწესებელებამ წარმოადგინა აღნიშნული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული პარტნიორ საწარმოსთან: სს ენერგო - პრო ჯორჯიასთან. თუმცა, ელექტროობის პროგრამა ხორციელდება მოდულური მიდგომით და მიიღწევა მთლიანად კოლეჯში. შესაბამისად, ინტერვიურებისას ხარისხის მართვის მენეჯერმა განმარტა, რომ კოლეჯს მემორანდუმები გაფორმებული აქვს მხოლოდ პროგრამის მდგრადობის შესანარჩუნებლად და აღნიშნულ პარტნიორს გამოიყენებს საჭიროების შემთხვევაში. ამის გათვალისწინებით, მემორანდუმი ზოგადი ხასიათისაა, დაწესებულების განმარტებით, პროგრამის განხორციელების დროს გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე მოხდება დამატებითი ხელშეკრულებების გაფორმება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულება თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6.დაწესებულებაში უსაფრთხოების მიმართ ზოგადი მოთხოვნები შესაბამისი სტანდარტითაა განსაზღვრული. სასწავლო ლაბორატორიაში, შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, გამოკრული აქვს „სასწავლო გარემოში მოქცევის უსაფრთხოების წესი“. თუმცა C გარემში არიყო გამოკრული უსაფრთხოების ნიშნები, დაწესებულებას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია, ვიზიტის დასრულებამდე დაწესებულებამ თვალსაჩინო ადგილას გამოაკრა უსაფრთხოების მანიშნებლები. ეს უზუსტობა აღმოფხვრილია, რაც ისევ გადამოწმდა ვიზუალური დათვალიერებით.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, საკლასო ოთახში განთავსებულია პირველადი დახმარების ყუთი, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია უსაფრთხოების წესები, გამაფრთხილებელი, ამკრძალავი და დამშვები ნიშნები, სამუშაო ლაბორატორიაში არის ქსელური დამიწება. ინტერვიურებით გაირკვა, რომ სტუდენტების უსაფრთხოებაზე იდენტიფიცირებულია პასუხისმგებელი პირი - მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულება ვერ ადასტურებს პროფესიულ სტუდენტებზე უსფრთხოების წესების გაცნობას, რადგან არ ხდება შესაბამისი ჟურნალის წარმოება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუმცა რეკომენდებულია აწარმოონ უსაფრთხოების წესების გაცნობის ან ინსტრუქტაჟის ჟურნალი, სადაც იქნება ასახული, ინსტრუქტაჟის ჩატარების თემა და სტუდენტთა ხელმოწერა უსაფრთხოების წესების გაცნობის შესახებ.

დასტურდება

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“;
2. სასწავლო და კალენდარული გეგმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

3. პარტიორ კომპანიასტან სს ენერგო პრო ჯორჯიასთან გაფორმებული მემორანდუმი;
4. ინდ. სასწავლო გეგმა;
5. დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და ფაქტობრივი მდგომარეობა;
6. განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში შეფასების სისტემის გამართული მუშაობა რეგულირდება კოლეჯის დირექტორის N04-152 (13.12.2019) ბრძანების დანართი N1 (ცვლილება N04-95 14.06.2022ბრძანებით) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“. თავი VIII -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების

შეფასების სისტემა და შეფასების ინსტრუმენტები, ფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტების შედგენა და ფორმა, შეფასების სისტემის მეთოდოლოგია, შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების /მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესები, პროფესიულ სტუდენტთა განმეორებითი შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესი. შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2.კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 მაისის N04-26 ბრძანებით (დანართი N1; ცვლილება N04-45 09.03.2022) დამტკიცებულია „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მემქანიზმები", რომელშიც განსაზღვრულია ვერიფიკაციის პროცესი. დოკუმენტში გაწერილია, რომ ვერიფიკაციის პროცესი ემსახურება დაწესებულების სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, პროფესიული მასწავლებლების დახმარებას, მხარდაჭერასა და პროფესიული განვითარებას. დგინდება არის თუ არა შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასებისთვის გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი არის ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს. ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდნენ - პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, მოწვეული პირი, მემორანდუმით/ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი, ან სხვა კომპეტენტური პირი. შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების/ პროცესის ვერიფიკაციისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი მიდგომები შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა, მტკიცებულებათა შესწავლა, შეფასებული პირის ინტერვიურება, შეფასების პროცესზე დასწრება და სხვა. კოლეჯში დირექტორის 23.10.2020 წლის N04-209 ბრძანებით შექმნილია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის თავმჯდომარეა ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო ჯგუფის წევრები პროგრამის ხელმძღვანელი - დარგის სპეციალისტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, მოწვეული პირი - განათლების სპეციალისტი, პირი სამინისტროს მიერ შექმნილი გუნდიდან.

ექსპერტთა ჯგუფის მოკვლევით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემის ვერიფიკაცია არ განხორციელებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(დაბა სტეფანწმინდა 2022)

შეფასების

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, რადგანაც დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია ვერიფიკაციის მექანიზმების განხორციელება. პროფესიულ სტუდენტთა შეფასება უკვე ითვალისწინებს ვერიფიკაციას, რადგანაც დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმის საფუძველზე, 2022 წლის აგვისტოს ბოლომდე შეასრულა ნაკისრი ვალდებულება.

3. დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებლი წესით“ რეგულირდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების. ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის პროცედურები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია მტკიცებულებების აღრიცხვის წესიც. აღნიშნული წესის თანახმად, შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. ხოლო უწყისი ინახება უვადოდ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, თუმცა რეკომენდებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებლ წესში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობაა „შევსებული შეფასების ინსტრუმენტების“ ნაცვლად ჩანაცვლდეს „შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები“

4. დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. ჯგუფში განზოგადოებულად ხდება

შედეგების განხილვა, ხოლო კონკრეტული სტუდენტის შედეგები მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზეა განხილული. ეს დაწესებულების რეგულაციაში უნდა იყოს ასახული.

სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოყენებული უნდა იქნას პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(დაბა სტეფანწმინდა 2022)

შეფასების

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის;

დასტურდება

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის მიერ 13.12.2019 წლის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება N04-95 14.16.2022) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
2. შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები;
3. პროფესიულ სტუდენტთა შეფასები მტკიცებულებები;
4. კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
5. მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.
6. კოლეჯის დირექტორის 11.03.2019 წლის ბრძანებით N04-26 დანართი N1დამტკიცებული "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები "

შეფასება:

☑ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(დაბა სტეფანწმინდა 2022)

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში). | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

## IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის, განხორციელების ფორმისა და ენის მიხედვით.

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ბუღალტრული აღრიცხვა |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0411 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | დაბა სტეფანწმინდა, ფიცხელაურის ქ. N 13 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 20 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 129 |

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

## XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევისა და დაგეგმვის საკითხებს, რის მიხედვითაც პროგრამის დამატების მიზნით, კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი და/ან რეესტრის წარმოების სპეციალისტი იძიებენ შემდეგი სახის ინფორმაციას: კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზს - ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილისა და დასაქმების შესახებ და/ან სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმების მაჩვენებლების მიხედვითა და მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით და/ან შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებს, დასაქმებულთა კონკრეტულ მოთხოვნებს და ინიცირებით მიმართავენ კოლეჯის დირექტორს პროგრამების დამატების შესახებ, რის შემდგომ კოლეჯის დირექტორი ინიციატივას განიხილავს აღნიშნული სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღეში და თანხმობის შემთხვევაში, გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ. ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება შემდეგნაირად: ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი, ჯგუფის შემადგენლობა და სამუშაო ვადები; პროგრამების შემუშავების ჯგუფის ხელმძღვანელი არის სასწავლო პროცესის მენეჯერი. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდება პროგრამა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამების შემუშავების ჯგუფში შესაძლოა შედიოდნენ: პროგრამის ინიციატორი, კოლეჯის დირექტორი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებლები/პრაქტიკის ინსტრუქტორი (არსებობის შემთხვევაში), სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, დამსაქმებლები, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები (პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები), ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, შესყიდვების სამსახურის თანამშრომელი, მატრიალური რესურსის უზრუნველყოფის მენეჯერი, კურსდამთავრებულები, პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები და სხვა. სამუშაოს დაწყებამდე ხარისხის მართვის მენეჯერი ჯგუფს აცნობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებისას დაწესებულება განიხილავს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის მისიასთან თავსებადობა, იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯი მრავალპროფილიანია, შერჩეული პროგრამა მიესადაგება დაწესებულების მისიას - მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის;
- საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზის შედეგებს 2020წ;
- ვაკანსიების მონიტორინგს რეგიონულ შრომის ბაზრებზე,“ 2019 წ.;
- პროფორიენტაციული ხასიათის შეხვედრების ჩატარებისას მცხეთის და სტეფანწმინდისა და თიანეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში გამოკვეთილ მოთხოვნას ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მიზნით;
- კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოების მიზნით, მცხეთის, სტეფანწმინდისა და თიანეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, პროფესიული განათლების მიღებით დაინტერესებული პირების გამოკითხვის შედეგებს.

თუმცა, რეკომენდებულია კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას განიხილოს:

- პროგრამის გახორციელების მიზანშეწონილობა კოლეჯის სტრატეგიულ მიზნებთან, ექსპერტთა შეფასებით, მოცემული პროგრამის განხორციელება არ მოდის წინააღმდეგობაში კოლეჯის სტრატეგიულ მიზნებთან, რადგან პირველი მიზანი სწორედ ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას ეხება, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაცია მდგომარეობს იმაში, რომ ეს შეფასება დაწესებულებამ თავად უნდა გააკეთოს პროგრამის დამატებისას ან შემდგომი ანალიზის დროს;
- რესურსული მიზანშეწონილობა, კოლეჯმა უნდა შეაფასოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური მოთხოვნები, საგანმანათლებლო რესურსები. განსაზღვროს თუ რა სახის შესაბამისობა გააჩნია და რა ნაწილში იქნება საჭირო დამატებითი ინვესტირება. მათ შორის გათვალისწინებული უნდა იქნეს პერსონალის (პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები) მოზიდვა, პერსონალის არსებობა, მათი გადამზადების საჭიროება და სხვა.
- ეკონომიკური მიზანშეწონილობა, მიუხედავად იმისა, კოლეჯი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მიზანშეწონილია ამ დაფინანსების ეფექტიანობის შეფასება, რისთვისაც კოლეჯმა რეკომედებულია განსაზღვროს ოპერაციული ხარჯები და შემოსავლები, დაასაბუთოს პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობა (საპროგნოზო ბიუჯეტი). გარდა ფინანსური მდგრადობისა, გაიაზროს პროგრამის განხორციელების ეკონომიკური მიზანშეწონილობა დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

დაყრდნობით, უფრო ფართო კონტექსტში. ამ ნაწილში კოლეჯმა დასაბუთებაში უნდა ასახოს, თუ სავარაუდოდ სად დასაქმდებიან კურსდამთავრებულები. რამდენი ადამიანი დაასრულებს პროგრამას მისი ფუნქციონირების პერიოდში და არის თუ არა მათი დასაქმების პოტენციალი კოლეჯის ფუნქციონირების არეალში; კოლეჯმა უნდა მიმოიხილოს მის სამოქმედო არეალში კონკურენტი პროვაიდერების არსებობა, პროგრამის კონტექსტში. ასახოს საკუთარი ძლიერი მხარეები კონკურენტებთან მიმართებით. დაასაბუთოს, თუ რატომ უნდა განახორციელოს ეს პროგრამა მან და ხომ არ გამოიწვევს პროგრამის დამატებითი ფუნქციონირება კვალიფიციური ადამიანური რესურსის სიჭარბეს; კოლეჯმა ასევე უნდა გააანალიზოს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისათვის სამოქმედო არეალში შესაძლო პარტნიორი კომპანიების არსებობა. მათ შორის მხედველობაშია მისაღები გონივრულ ვადებში და მანძილზე სტუდენტთა ტრანსპორტირება, მასთან დაკავშირებული ხარჯები;

- სამართლებრივი და ოპერაციული მიზანშეწონილობა, კოლეჯმა უნდა დაასაბუთოს, რომ პროგრამის განხორციელება ხომ არ საჭიროებს რაიმე დამატებითი რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, როგორიცაა მარეგულირებლის თანხმობა გარკვეული საქმიანობის განხორციელებისას ან პროგრამის განხორციელების პროცესში საჭირო აღჭურვილობის, მასალანედლეულის შეძენა, შენახვა და გამოყენება ხომ არ უკავშირდება რაიმე სახის სალიცენზიო ან სანებართვო პირობების დაკმაყოფილებას. ასევე კოლეჯი უნდა დარწმუნდეს რომ პროგრამის თანაგანმახორციელებელი, საჭიროების შემთხვევაში ფლობს შესაბამის ნებართვებს ან ლიცენზიებს ან არის რეგისტრირებული კანონმდებლობით დადგენილი წესით, კოლეჯმა რეკომენდებულია დაასაბუთოს, რომ მისი ორგანიზაციული მოწყობა იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. განსაკუთრებით ყურადღება უნდა გამახვილდეს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობასა და დატვირთვაზე, თუ რამდენადაა შესაძლებელი ახალი პროგრამის ამოქმედების პირობებში მისი განხორციელების სრულფასოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა, განსაკუთრებით კი კოლეჯის ტერიტორიულ ერთეულებში (ფილიალებში). დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურტექნიკური უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტთათვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა.

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აქვს როგორც ფინანსური რესურსი, ისე ჰყავს პერსონალი და თანამშრომლობს პრაქტიკის ობიექტებთან.

კოლეჯის მიერ მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება არ ეწინააღმდეგება კოლეჯის მისიას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, თუმცა რეკომედებულია კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას შეისწავლოს ისეთი ასპექტები, როგორიცაა პროგრამის გახორციელების მიზანშეწონილობა კოლეჯის სტრატეგიულ მიზნებთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რესურსული, ეკონომიკური, სამართლებრივი და ოპერაციული მიზანშეწონილობა, ვრცლად იხილეთ სტანდარტის აღწერის ნაწილი.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება მოდულური მიდგომით.

პროგრამის განხორციელებისას პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება.

1. პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ბუღალტრული აღრიცხვა / Accounting სარეგისტრაციო ნომერი 04114-პ, განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 12 ივლისის N04-69 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი" შემუშავებულია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფისათვის მოწოდებულ წესში არ იყო ასახული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 თებერვლის №27/ნ და 2022 წლის 25 მარტის 44/ნ ბრძანებით განხორციელებული ცვლილებები. კოლეჯში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დასვა კითხვები მოცემულ წესში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე, რა დროსაც დაწესებულებამ აღნიშნა რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე განახორციელა ცვლილებები „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესში", რისთვისაც გამოცემულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 10 ივნისის №04-93 ბრძანება. ამ დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებაში პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და ამ პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის არსებობა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში. დაწესებულება არ არღვევს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი'', რის მიხედვითაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება აფასებს შემდეგ ფაქტორებს: A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; B სასწავლო გარემოში (კომპიუტერულ კლასში) პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე ყოფნის პერიოდი; პროფესიული პროგრამების პრაქტიკის ხანგრძლივობა; ორ ცვლაში სწავლების შესაძლებლობა; კომბინირებული გარემოს არსებობის შესაძლებლობა, მაგალითად A და B გარემო ან A და C ერთ სივრცეში; სტუდენტთა ჯგუფების რაოდენობა (ერთი ან რამდენიმე პროგრამის ფარგლებში), რომელიც სარგებლობს აღნიშნული სასაწავლო გარემოთი; პროგრამის სასწავლო გეგმის თავისებურებანი; პროგრამის დუალური მიდგობით განხორციელების შესაძლებლობა; სასწავლო გარემოთა მაქსიმალური დატვირთვის ანალიზი.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის ანალიზი და დასაბუთება, რის მიხედვითაც:

- A სასწავლო გარემოში არის სამუშაო ადგილი 10 პროფესიული სტუდენტისათვის.
- B სასწავლო გარემოში არის სამუშაო ადგილი 10 პროფესიული სტუდენტისათვის;
- კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები ორ ობიექტთან, რომელთაგანაც თითოეული უზრუნველყოფს ერთდროულად 10 პროფესიული სტუდენტის მიღებას
- პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 7 პროფესიულ მასწავლებელთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

დასახელებული ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს შეუძლია 20 პროფესიული სტუდენტის მიღება ბუღალტრული აღრიცხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. შესაბამისად, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად შესაძლებელია, განისაზღვროს 20 სტუდენტით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები ემთხვევა ჩარჩო დოკუმენტის - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ბუღალტრული აღრიცხვა / Accounting შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - ბუღალტრული აღრიცხვა საბაზო პროფესიული კვალიფიკაციისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 99 კრედიტი, მათ შორის 3 ზოგად მოდულს ჯამური 11 კრედიტის ოდენობით, 16 პროფესიულ მოდულს ჯამური 88 კრედიტის ოდენობით.

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ბუღალტრული აღრიცხვა დამტკიცებულია დამტკიცებულია სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორის N 04-95 ბრძანებით (23.09.2019), ხოლო ცვლილებები განხორციელებულია შემდეგი ბრძანებებით: ცვლილება 04-149 06/12/2021, ცვლილება N04-14 25.01.2022, ცვლილება 04-31 28.02.2022, ცვლილება N04-56 10.03.2022 კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი არის კოლეჯის დირექტორი, რაც განსაზღვრულია კოლეჯის შინაგანაწესის მე-5 მუხლის შემდეგი პუნქტებით: ვ) კოორდინაციას უწევს პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას შრომის ბაზრის ტენდენციების შესაბამისად; ი) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „ბუღალტრული აღრიცხვა" თანხვედრაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ბუღალტრული აღრიცხვა / Accounting ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დასახელებასა და კვალიფიკაციასთან - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ბუღალტრული აღრიცხვა" ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები; სავალდებულო პროფესიული მოდულები; სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილია კოლეჯში და საწავლო საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგები; მატერიალური რესურსისა და ინფორმაია პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ; ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში.

პროფესიული მოდულებისათვის განსაზღვრული არ არის დაშვების წინაპირობები; სასწავლო გეგმის მიხედვით პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულის - ქართული ენა B1, B2 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N 04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)";
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
3. კოლეჯის მისია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
4. პრაქტიკის ობიექტებთან/სასწავლო საწარმოსებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 12 ივლისის N04-69 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი“;
6. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ოქტომბრის წლის N04-99 ბრძანებით დამტკიცებული წესი - ,,აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის დებულება იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში’’;
7. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 10 ივნისის №04-93 ბრძანება, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესში“ ცვლილებების შესახებ;
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ანალიზი და დასაბუთება;
9. ბრძანებით განსაზღვრული პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
11. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 11 ივნისის N04-88 ბრძანება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
12. კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; 5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; 7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

დაწესებულება უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური რესურსით , რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ სწავლებისთვის არის გათვალისწინებული. კოლეჯს ბუღალტრული აღრიცხვის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მიზნებისთვის გააჩნია A და B გარემო.
ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოხდა A (ოთახი 203) და B (ოთახი 201) გარემოში განთავსებული მატერიალური რესურსის ფიზიკური, შერჩევითი დათვალიერება.აუდიტორიები აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული, სათანადო ინვენტარით და სრულად მიიღწევა სწავლის შედეგები მის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 20 სტუდენტზე. უნდა აღინიშნოს, რომ თითო მიღებაზე დაწესებულება იღებს 20 პროფესიულ სტუდენტს (10-10 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებულ ჯგუფებს 2 ცვლიანი გრაფიკით).

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის პროფესიული საგანმანათლელო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი.პროფესიული განათლების მასწავლებლის(საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია, რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც(შეფასების ინსტრუმენტების შექმნა,,სტუდენტთა ნაშრომების გასწორება,შეფასების პროცესი).ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლები აყვანილია დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული ინფორმაცია, განმახორციელებელ პირს რელევანტურს ხდის ამ კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ექსპერტთა მოსაზრებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ შემოწმდა მათი პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), მათი საათობრივი დატვირთვა. პროგრამის განხორციელების მდგრადობის დასადგენად

ექსპერტებმა ასევე გადაამოწმეს მათი ჩართულობა კოლეჯის სხვა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში. მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება.

აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროგრამის გამნახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, აქვთ კომპეტენცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში, გავლილი აქვთ სხვადსხვა სახის ტრენინგები.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც დანიშნულია 2022 წლის 9 მარტის N04/47 ბრძანებით. დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და ვალდებულებები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე (კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს, მისი თანამდებობრივი ინსტრუქციის და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგის სპეციალისტი, რომელიც მუდმივად ეცნობა პროგრამის შიდა და გარე შეფასების მონიტორინგის შედეგებს და პროგრამის სრულყოფის მიზნით ახდენს რეაგირებას ამ შედეგებზე. მუდმივად აკონტროლებს მოდულების განხორციელების ხარისხს, აგვარებს პროგრამასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზაციულ საკითხებს. ესწრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად მეცადინეობებს, აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში, ორგანიზებას უწევს კალენდარული გეგმების მომზადებას, სასწავლო ლიტერატურის და მასალა-რესურსების შეძენა-განახლებას, მონაწილეობს პერსონალის განვითარების ღონისძიებებში.
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ვიზიტის ფარგლებში დათვალიერებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი,რომელიც წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.შერჩევითად გადამოწმდა ,,ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი, ყველა წიგნი ხელმისაწვდომია ძირითადად ელექტრონული სახით ელ.დისკებზე, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით,საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამობეჭდვა.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში" გაწერილია სსსმ პირების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სასწავლო რესურსებისა და გარემოს ადაპტირების საკითხები. კოლეჯს აქვს მზაობა მათ მისაღებად, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; მათთვის სასწავლო პროცესი წარიმართება მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქცია უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლომასალის ადაპტირება, რაც რეალურად დანერგილი პრაქტიკაა კოლეჯში. ამ ეტაპზე პროგრამაზე სსსმ პირები არ ირიცხებიან.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ექსპერტებმა შეაფასეს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 11 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასურია, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს ბიუჯეტში პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, მასალა-ნედლეულის, დიპლომის/დანართების მომზადება და კომუნალური ხარჯები. სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროგრამა ფინანსდება ვაუჩერულად. ექსპერტთა შეფასებით „ბუღალტრული აღრიცხვა" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2020 წლის 09 ივნისის №01-04/77 ბრძანებით ცვლილება 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 და 2022 წლის 15 თებერვლის N01-04 /31 ბრძანებით- „შინაგანაწესი" მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
2. პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

3. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება(შეთანხმება);
5. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
6. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
7. პროგრამის ბიუჯეტი;
8. განმახორციელებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის №04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს პროგრამის შეფასების მიდგომებს, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის მიზნებისათვის დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღების მეთოდებს, სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგებს, კოლეჯის შიდა საზოგადოების - პროფესიული სტუდენტების, პროფესიული საგანათლების მასწავლებლების, პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ პროგრამის ეფექტიანობის შეფასების ანალიზსა და სხვა. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი.

კოლეჯში შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები. სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და სხვა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კმაყოფილების კვლევის შედეგებისა და ანალიზის დოკუმენტები, მათ შორის:

- შეფასებისა და საკონტაქტო საათებზე დასწრების შუალედური ანგარიში;
- სსსმ პირთა გამოკითხვის ანგარიში კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე;
- საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ადეკვატურობის გამოკითხვის ანგარიში;
- დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევის ანგარიში;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის რაოდენობრივი მაჩვენებლები.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზს და იძლევა რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ დოკუმენტის მე-5 მუხლი არეგულირებს პროგრამაში ცვლილებების შეტანა და განვითარების საკითხებს, მათ შორის განსაზღვრულია - პროგრამაში ცვლილების ინიცირების უფლების მქონე პირები: ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის განმახორციელებელი ნებისმიერი პირი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია, პროგრამის ხელმძღვანელი; პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირების პროცედურა; პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიდგომები, მათ შორის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირების საკითხები; პროგრამის ხელმძღვანელის პროგრამის განვითარების პროცესში; პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოსცემის საკითხები;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესის ეტაპებია:

ა) ინფორმაციის შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა, პროგრამის შეფასება პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა.

ბ) ინფორმაციის დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვის შედეგებისა და შეფასების შედეგების ანალიზი;

გ) გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირები აანალიზებენ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელ მხარეებს.

დ) რეკომენდაციების მომზადება და ცვლილებები - პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;

ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების დანერგვა აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

ზემოაღნიშნულის დასტურად დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე: №04-104 (03.07.2020); №04-105 (03.07.2020); №04-110 (14.07.2020); №04-196 (09.10.2020); №04-134 (04.11.2021); №04-156 (10.12.2021); N04-15 (25.01.2022); №04-52 (09.03.2022).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა მიზნობრივი კითხვების დასმის გზით განახორციელა ინტერვიურება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, რომლებმაც დაადასტურეს მათ მიერ კმაყოფილების კითხვარების შევსების, მეცადინეობებზე კოლეჯის წარმომადგენელთა დასწრების ფაქტები. ინტერვიურებისას არც ერთ პირს არ გამოუთქვამს უკმაყოფილება კოლეჯის მიერ მათი მოთხოვნისა და საჭიროების უგულებელყოფის თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, თუმცა რეკომენდებულია „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული) შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“-ში გაიწეროს რა შემთხვევაში ხდება პროგრამაში ცვლილებების განხორციელება, რა ტიპის ცვლილებების განხორციელების დროსაა დაწესებულება აღნიშნული აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და რა ვადაში, რა ვალდებულება აქვს დაწესებულებას დუალურ პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში როგორ იქცევა დაწესებულება, იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის №04-26 ბრძანებით დამკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და საკონტაქტო საათებზე დასწრების შუალედური ანგარიში;
3. სსსმ პირთა გამოკითხვის ანგარიში კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე;
4. საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ადეკვატურობის გამოკითხვის ანგარიში;
5. დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
6. პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში;
7. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევის ანგარიში;
9. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის რაოდენობრივი მაჩვენებლები.
10. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)"
11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
12. პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ბუღალტრული აღრიცხვა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო გეგმაში ცალკე გამოყოფილია სწავლის

შედეგები , რომლებიც განხორციელდება სასწავლო საწარმოში. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მოცემულია ცხრილი სწავლის შედეგების სეზონურობასთან კავშირის შესახებ.

სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს მეცადინეობის განრიგებს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯრი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს.

სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და ელ.ფოსტაზე მიწოდების გზით. სასწავლო პროცესისმიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას კოლეჯის პერსონალმა განაცხადა, რომ დისტანციური სწავლების პირობებში კოლეჯმა სწრაფად და მარტივად განახორციელა რეაგირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულების შესახებ, ასევე გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ბუღალტრული აღრიცხვა სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს.

პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხორციელდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, რა დროსაც მათ მიეწოდებათ ყველა ინფორმაცია პროგრამის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების, შესაძლებლობების, პროგრამის განხორციელების თავისებურებებისა და სხვათა შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, კვალიფიკაციის, კრედიტის, ხანგრძლივობის ცვლილების შემთხვევაში კოლეჯი მოიპოვებს შესაბამისი პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა თანხმობას. დისტანციურ რეჟიმში სწავლების კომპონენტები გამოიყენება ფორსმაჟორული ვითარების დროს, პროფესიულ სტუდენტთა ავადობის ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობების დროს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც გამორიცხავს კოლეჯის ტერიტორიაზე მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ერთდროულად ყოფნას.
სსსმ პროფესიული სტუდენტების საწარმო პრაქტიკაზე განაწილება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის აქტიური ჩართულობით კანონიერ წარმომადგენელთან ერთად. ამავე დოკუმენტით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა გაცდენების საკითხები, მათ შორის განსაზღვრულია გაცდენის საპატიო მიზეზები და მათი მოპოვების გზები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯში დარეგულირებულია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, ამ მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ბუღალტრული აღრიცხვის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია სასწავლო პროცესში გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ბუღალტრული აღრიცხვა სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე კოლეჯში შემუშავებულია მექანიზმი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა წარმოიშობა შემდეგი გარემოებების არსებობისას: სსსმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მობილობით გადმოსულია პირი; პირი, რომელსაც

პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ორჯერ;

დაწესებულებამ არ აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები , რადგან არ ჰყავთ სსსმ სტუდენტი

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ინტერვიურებისას პროფესიულ სტუდენტებმა დაადასტურეს კოლეჯის მიერ მათი საჭიროებების გათვალისწინებისა და დაკმაყოფილების ფაქტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ბუღალტრული აღრიცხვა დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ორ ობიექტთან:
1. სსიპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდის #1 საჯარო სკოლა
2. ყაზმბეგის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენელსა და პროფესიულ სტუდენტებს. პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენელთან მოხერხდა სატელეფონო და პირდაპირი კომუნიკაცია, რომელმაც დაადასტურა კოლეჯთან კონსტრუქციულ თანამშრომლობა, ისაუბრა ამ თანამშრომლობის მნიშვნელობაზე და მზად არის ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ბუღალტრული აღრიცხვა არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს, თუმცა პროგრამის ფარგლებში დაწესებულების მიერ შემუშავებულია დარგობრივი ინსტრუქციები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ბუღალტრული აღრიცხვა და მისი დანართები;
2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესი;
3. კოლეჯსა და პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები;
4. პროფესიულ სტუდენტებთან, კოლეჯის პერსონალთან, კურსდამთავრებულებებთა და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენელთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის VIII თავი განსაზღვრავს შეფასების სისტემას, შეფასების ინსტრუმენტებსა და შეფასების უწყისის წარმოების მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტი ადგენს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების სისტემის არსებობის სავალდებულოობას.

შეფასების ინსტრუმენტებს ადგენს პროფესიული მასწავლებელი. კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა და განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენის ვადები.

პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალიდაციის პროცესში რთავს პროგრამის ხელმძღვანელს ან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს, რომლებიც ახორციელებენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და პროგრამის ხელმძღვანელი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. ხარვეზების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შესწორებული სახით. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება პროფესიულ სტუდენტის შეფასების მიზნებისათვის. დაუშვებელია შეფასების დროს ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც არ არის შეთანხმებული კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში დარეგულირებულია განმეორებითი შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებიც, რომელთა შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების საკითხი დადასტურებულ იქნა პროფესიულ სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები, რიგ შემთხვევებში გაცემული რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის სტუდენტის პორტფოლიოს, რომელშიც წარმოდგენილი იყო შესაბამისი მტკიცებულებები.

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციისა და შეფასების ადმინისტრირების პროცესები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და დაცულია სამართლიანობის პრინციპები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში, რაც დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსერტთა ჯგუფის ინტერვიურების გზით, მათ შორის კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთათვის შეფასების შედეგების გაცნობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზნები, ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირების საკითხები, მათ შორის ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, ვერიფიკაციის პროცესიში რისკ ფაქტორების განსაზღვრის წესი, ვერიფიკაციის დასკვნების შედგენისა და განხილვის მიდგომები, რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შედგენისა და ამ გეგმით გათვალისწინებული აქტიოებების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ვერიფიკაციის ანგარიში და გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულება გეგმავს ვერიფიკაციის ანგარიშის შექმნას

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, რადგანაც დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია ვერიფიკაციის მექანიზმების განხორციელება. პროფესიულ სტუდენტთა შეფასება უკვე ითვალისწინებს ვერიფიკაციას, რადგანაც დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმის საფუძველზე, 2022 წლის აგვისტოს ბოლომდე შეასრულა ნაკისრი ვალდებულება.

3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის VIII თავი განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების/მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესებს.

შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.

პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები ფორმდება შესაბამისი უწყისით. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს ან პროგრამის ხელმძღვანელს სათანადო აღრიცხვის მიზნით. საბოლოოდ კი პროგრამის ხელმძღვანელი მონაცემებს გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც მტკიცებულებებს აღრიცხავს ელექტრონული ან მატერიალური ჟურნალის საშუალებით.

მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალს ავსებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული სტუდენტების სახელი და გვარი, ჯგუფის ნომერი, პროგრამის დაწყებისა და დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, მტკიცებულებების შენახვის ადგილი. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევთ იქნა გადამოწმებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3  დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, თუმცა რეკომენდებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებლ წესში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობაა „შევსებული შეფასების ინსტრუმენტების“ ნაცვლად ჩანაცვლდეს „შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები“

4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის VIII თავი განსაზღვრავს შეფასების შედეგების გათვალისინებას პროფესიული სტუდენტების სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის.

პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია დირექტორის მიერ საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად ხდება პროფესიული სტუდენტისათვის რეკომენდაციების გაცემა, პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი,  საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და კურსდამთავრებულებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესი;
2. კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა;
3. პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები;
4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
5. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები;
6. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
8. პროფესიულ სტუენტებთან, პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

## IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის, განხორციელების ფორმისა და ენის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

| | |
|---|---|
| როგრამის სახელწოდება | სასტუმრო მომსახურება |
| როფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| ისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში |
| პეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| როგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| როგრამის განხორციელების ადგილი | დაბა სტეფანწმინდა, ფიცხელაურის ქ. N 13 |
| როგრამის განხორციელების ფორმა ოდულური/დუალური) | დუალური |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 10 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 80 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში | 110 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ |

X.

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და უშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| საგანმანათლებლო პროგრამის ხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ჯანვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |

## XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ არეგულირებს

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევისა და დაგეგმვის საკითხებს, რის მიხედვითაც პროგრამის დამატების მიზნით, კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი და/ან რეესტრის წარმოების სპეციალისტი იძიებენ შემდეგი სახის ინფორმაციას: კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზს - ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილისა და დასაქმების შესახებ და/ან სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმების მაჩვენებლების მიხედვითა და მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით და/ან შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებს, დასაქმებულთა კონკრეტულ მოთხოვნებს და ინიცირებით მიმართავენ კოლეჯის დირექტორს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამების დამატების შესახებ, რის შემდგომ  კოლეჯის დირექტორი ინიციატივას განიხილავს აღნიშნული სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღეში და თანხმობის შემთხვევაში, გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ. ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება შემდეგნაირად: ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი, ჯგუფის შემადგენლობა და სამუშაო ვადები; პროგრამების შემუშავების ჯგუფის ხელმძღვანელი არის სასწავლო პროცესის მენეჯერი. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდება პროგრამა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამების შემუშავების ჯგუფში შესაძლოა შედიოდნენ: პროგრამის ინიციატორი, კოლეჯის დირექტორი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებლები/პრაქტიკის ინსტრუქტორი (არსებობის შემთხვევაში), სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, დამსაქმებლები, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები (პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები), ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, შესყიდვების სამსახურის თანამშრომელი, მატრიალური რესურსის უზრუნველყოფის მენეჯერი, კურსდამთავრებულები, პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები და სხვა. სამუშაოს დაწყებამდე ხარისხის მართვის მენეჯერი ჯგუფს აცნობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებისას დაწესებულება განიხილავს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა:

- კოლეჯის მისიასთან თავსებადობა, ვინაიდან კოლეჯი არის მრავალპროფილიანი, ამიტომ შერჩეული პროგრამა მიესადაგება კოლეჯის მისიას - მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის;
- საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზის შედეგებს, მომსახურების სფეროში კადრების მოთხოვნის მაჩვენებლებლებს და ამ კუთხით იხილავს მცხეთა-მთიანეთის ტურისტულ პოტენციალს;
- მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიას 2015-2021 წლებისთვის;
- ვაკანსიების მონიტორინგს რეგიონულ შრომის ბაზრებზე“ 2018 წ.;
- კოლეჯის ძირითად სასწავლო ფართში 2020 წლის 16 ივლისს გამართულ ღია კარის დღეზე ჩატარებულ გამოითხვას, სადაც გამოიკვეთა რომ წინამძღვრიანთკარის ძირითად სასწავლო კორპუსში მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დაინტერესებულია სასტუმრო მომსახურების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

- 2021-2022 წლების პერიოდში პროფორიენტაციული ხასიათის შეხვედრების ჩატარებისას მცხეთისა და სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის სკოლებში გამოკვეთილ მოთხოვნას სასტუმრო მომსახურების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მიზნით;
- კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოების მიზნით, მცხეთის, სტეფანწმინდისა და თიანეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, პროფესიული განათლების მიღებით დაინტერესებული პირების გამოკითხვის შედეგებს.

თუმცა, რეკომენდებულია კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას განიხილოს:

- უახლესი ინფორმაცია ცალკეული კვლევების შესახებ, მით უფრო სწრაფად ცვალებად გარემოში გადაწყვეტილებების მიღება უნდა ეფუძნებოდეს მიმდინარე მოთხოვნებსა და მოვლენებს;
- პროგრამის გახორციელების მიზანშეწონილობა კოლეჯის სტრატეგიულ მიზნებთან, ექსპერტთა შეფასებით, მოცემული პროგრამის განხორციელება არ მოდის წინააღმდეგობაში კოლეჯის სტრატეგიულ მიზნებთან, რადგან პირველი მიზანი სწორედ ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას ეხება, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაცია მდგომარეობს იმაში, რომ ეს შეფასება დაწესებულებამ თავად უნდა გააკეთოს პროგრამის დამატებისას ან შემდგომი ანალიზის დროს;
- რესურსული მიზანშეწონილობა, კოლეჯმა უნდა შეაფასოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური მოთხოვნები, საგანმანათლებლო რესურსები. განსაზღვროს თუ რა სახის შესაბამისობა გააჩნია და რა ნაწილში იქნება საჭირო დამატებითი ინვესტირება. მათ შორის გათვალისწინებული უნდა იქნეს პერსონალის (პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები) მოზიდვა, პერსონალის არსებობა, მათი გადამზადების საჭიროება და სხვა.

- ეკონომიკური მიზანშეწონილობა, მიუხედავად იმისა, კოლეჯი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მიზანშეწონილია ამ დაფინანსების ეფექტიანობის შეფასება, რისთვისაც კოლეჯმა რეკომედებულია განსაზღვროს ოპერაციული ხარჯები და შემოსავლები, დაასაბუთოს პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობა (საპროგნოზო ბიუჯეტი). გარდა ფინანსური მდგრადობისა, გაიაზროს პროგრამის განხორციელების ეკონომიკური მიზანშეწონილობა დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზზე დაყრდნობით, უფრო ფართო კონტექსტში. ამ ნაწილში კოლეჯმა დასაბუთებაში უნდა ასახოს, თუ სავარაუდოდ სად დასაქმდებიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურსდამთავრებულები. რამდენი ადამიანი დაასრულებს პროგრამას მისი ფუნქციონირების პერიოდში და არის თუ არა მათი დასაქმების პოტენციალი კოლეჯის ფუნქციონირების არეალში; კოლეჯმა უნდა მიმოიხილოს მის სამოქმედო არეალში კონკურენტი პროვაიდერების არსებობა, პროგრამის კონტექსტში. ასახოს საკუთარი ძლიერი მხარეები კონკურენტებთან მიმართებით. დაასაბუთოს, თუ რატომ უნდა განახორციელოს ეს პროგრამა მან და ხომ არ გამოიწვევს პროგრამის დამატებითი ფუნქციონირება კვალიფიციური ადამიანური რესურსის სიჭარბეს; კოლეჯმა ასევე უნდა გააანალიზოს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისათვის სამოქმედო არეალში შესაძლო პარტნიორი კომპანიების არსებობა. მათ შორის მხედველობაშია მისაღები გონივრულ ვადებში და მანძილზე სტუდენტთა ტრანსპორტირება, მასთან დაკავშირებული ხარჯები;

- სამართლებრივი და ოპერაციული მიზანშეწონილობა, კოლეჯმა უნდა დაასაბუთოს, რომ პროგრამის განხორციელება ხომ არ საჭიროებს რაიმე დამატებითი რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, როგორიცაა მარეგულირებლის თანხმობა გარკვეული საქმიანობის განხორციელებისას ან პროგრამის განხორციელების პროცესში საჭირო აღჭურვილობის, მასალანედლეულის შეძენა, შენახვა და გამოყენება ხომ არ უკავშირდება რაიმე სახის სალიცენზიო ან სანებართვო პირობების დაკმაყოფილებას. ასევე კოლეჯი უნდა დარწმუნდეს რომ პროგრამის თანაგანმახორციელებელი, საჭიროების შემთხვევაში ფლობს შესაბამის ნებართვებს ან ლიცენზიებს ან არის რეგისტრირებული კანონმდებლობით დადგენილი წესით, კოლეჯმა რეკომენდებულია დაასაბუთოს, რომ მისი ორგანიზაციული მოწყობა იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. განსაკუთრებით ყურადღება უნდა გამახვილდეს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობასა და დატვირთვაზე, თუ რამდენადაა შესაძლებელი ახალი პროგრამის ამოქმედების პირობებში მისი განხორციელების სრულფასოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა, განსაკუთრებით კი კოლეჯის ტერიტორიულ ერთეულებში (ფილიალებში). დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურტექნიკური უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტთათვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა.

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აქვს როგორც მატერიალური, ისე ფინანსური რესურსი, ჰყავს პერსონალი და თანამშრომლობს პრაქტიკის ორ ობიექტთან: სასტუმრო „თაუერ ყაზბეგი“ და სასტუმრო “KETINO’s HOME”

კოლეჯის მიერ მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება არ ეწინააღმდეგება კოლეჯის მისიას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, თუმცა რეკომედებულია კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას შეისწავლოს ისეთი ასპექტები, როგორიცაა პროგრამის გახორციელების მიზანშეწონილობა კოლეჯის სტრატეგიულ მიზნებთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რესურსული, ეკონომიკური, სამართლებრივი და ოპერაციული მიზანშეწონილობა, ვრცლად იხილეთ სტანდარტის აღწერის ნაწილი.

2. დაბა სტეფანწმინდის ლოკაციაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით.

პროგრამაზე ჩარიცხვის პრობები შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით - სასტუმრო, რესტორანი და კვება / Hotel, Restaurants and Catering, სარეგისტრაციო ნომერი 10117, განსაზღვრულ მოთხოვნასთან, ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესსა და პირობებთან.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 12 ივლისის N04-69 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი“ შემუშავებულია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფისათვის მოწოდებულ წესში არ იყო ასახული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 თებერვლის №27/ნ და 2022 წლის 25 მარტის 44/ნ ბრძანებით განხორციელბული ცვლილებები.

კოლეჯში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დასვა კითხვები მოცემულ წესში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე, რა დროსაც დაწესებულებამ აღნიშნა რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე განახორციელა ცვლილებები „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესში“, რისთვისაც გამოცემულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 10 ივნისის №04-93 ბრძანება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დოკუმენტები, კერძოდ:

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლი 8 ოქტომბრის №52/კ ბრძანება „2021 წელს ჩატარებული შესარჩევი კონკურსის ფარგლებში სსიპ - „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ“. აღსანიშნავია, რომ მოცემული ბრძანების გამოცემის ერთ-ერთ საფუძვლად მითითებულია ხარისხის მართვის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი, რაც წინააღმდეგობაში მოდის ავტორიზაციის 4.1.1.3 სტანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულის თაობაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასმულ კითხვებზე კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა განაცხადა, რომ იცის ამ შეუსაბამობის თაობაზე და მომავლში აღნიშნული პროცედურით არ განხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა;
- 2021 წლის მიღებისთვის, პროფესიული ტესტირებისა და შესარჩევი კონკურსის გზით სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განმხილველი კომისიის სხდომის 2021 წლის 8 ოქტომბრის N1 ოქმი. მოცემული სხდომის თავმჯდომარე ასევე იყო კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;
- 2021 წლის მიღებისთვის, პროფესიული ტესტირებისა და შესარჩევი კონკურსის გზით სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განმხილველი კომისიის სხდომის 2021 წლის 8 ოქტომბრის №1 საოქმო გადაწყვეტილების დანართი N1 - აპლიკანტთა ნუსხა, რომლებმაც განცხადებით დააფიქსირეს სწავლის გაგრძელების სურვილი და წარმოადგინეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის საჭირო დოკუმენტაცია.

ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, ამ პროფესიული სტუდენტების არსებობა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში. დაწესებულება არ არღვევს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი'', რის მიხედვითაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება აფასებს შემდეგ ფაქტორებს: A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; B სასწავლო გარემოში (კომპიუტერულ კლასში) პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე ყოფნის პერიოდი; პროფესიული პროგრამების პრაქტიკის ხანგრძლივობა; ორ ცვალში სწავლების შესაძლებლობა; კომბინირებული გარემოს არსებობის შესაძლებლობა, მაგალითად A და B გარემო ან A და C ერთ სივრცეში; სტუდენტთა ჯგუფების რაოდენობა (ერთი ან რამდენიმე პროგრამის ფარგლებში), რომელიც სარგებლობს აღნიშნული სასაწავლო გარემოთი; პროგრამის სასწავლო გეგმის თავისებურებანი; პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების შესაძლებლობა; სასწავლო გარემოთა მაქსიმალური დატვირთვის ანალიზი.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის ანალიზი და დასაბუთება, რის მიხედვითაც:

- A სასწავლო გარემოში არის სამუშაო ადგილი 10 პროფესიული სტუდენტისათვის, ერთი აუდიტორია. - B სასწავლო გარემოში არის სამუშაო ადგილი 10 პროფესიული სტუდენტისათვის; - C სასწავლო გარემოში არის სამუშაო ადგილი 10 პროფესიული სტუდენტისათვის .
- პროგრამის ფარგლებში, კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ორ სასტუმროსთან, რომელთაგანაც თითოეული უზრუნველყოფს 10 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას.
- პროგრამის ფარგლებში, შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 12 პროფესიულ მასწავლებელთან.

დასახელებული ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს შეუძლია 10 პროფესიული სტუდენტის მიღება სასტუმრო მომსახურების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად შესაძლებელია, განისაზღვროს 10 სტუდენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

4. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები ემთხვევა შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე - სასტუმრო მომსახურება საშუალო პროფესიული კვალიფიკაციისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 80 კრედიტი, რომელთაგან 8 კრედიტი არის ზოგადი მოდულები (2 მოდული), ხოლო 72 კრედიტი (18 მოდული) არის პროფესიული/დარგობრივი მოდულები.

„სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სასტუმრო მომსახურება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N04-13, ხოლო ცვლილებები განხორციელებულია შემდეგი ბრძანებებით: N04-16 (21.02.2019); N04-25(11.03.2019); N04-34 (27.03.2019); N04-87 (03.09.2019); N04-142 (02.12.2019); N04-148 (09.12.2019); N04-155 (16.12.2019); N04-25 (13.02.2020); N04-243 (22.12.2020); №02-30 (12.03.2021); №04-30 (15.03.2021); №04-50 (16.04.2021); №04-138 (04/11/2021); №04-50 (09.03.2022).

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი არის კოლეჯის დირექტორი, რაც განსაზღვრულია კოლეჯის შიანაგანაწესის მე-5 მუხლის შემდეგი პუნქტებით: ვ) კოორდინაციას უწევს პროგრამების შემუშავებასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

განხორციელებას შრომის ბაზრის ტენდენციების შესაბამისად; ი) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „სასტუმრო მომსახურება" თანხვედრაშია სასტუმრო, რესტორანი და კვება / Hotel, Restaurants and Catering ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დასახელებასა და კვალიფიკაციასთან - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში / Secondary Vocational Qualification in Hotel Service , შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება" ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის, მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის.
პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები; სავალდებულო პროფესიული მოდულები; სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსი და პროფესიული განათლების მასწავლებლები; ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში.
ვინაიდან პროფესიული მოდულებისათვის განსაზღვრული არ არის დაშვების წინაპირობები, მოცემული კომპონენტი არ არის დარღვეული; სასწავლო გეგმის მიხედვით პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N 04-111 ბრძანებით დამტკიცებული ‘‘სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“;
2. პროფესიული პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
3. კოლეჯის მისია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
4. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 12 ივლისის N04-69 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი“;
6. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 10 ივნისის №04-93 ბრძანება, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესში“ ცვლილებების შესახებ;
7. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 8 ოქტომბრის №52/კ ბრძანება „2021 წელს ჩატარებული შესარჩევი კონკურსის ფარგლებში სსიპ - „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

8. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განმხილველი კომისიის სხდომის 2021 წლის 8 ოქტომბრის N1 ოქმი;
9. 2021 წლის მიღებისთვის, პროფესიული ტესტირებისა და შესარჩევი კონკურსის გზით სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განმხილველი კომისიის სხდომის 2021 წლის 8 ოქტომბრის №1 საოქმო გადაწყვეტილების დანართი N1 - აპლიკანტთა ნუსხა, რომლებმაც განცხადებით დააფიქსირეს სწავლის გაგრძელების სურვილი და წარმოადგინეს პროფესიულ საგანმანათლებო პროგრმაზე ჩარიცხვისათვის საჭირო დოკუმენტაცია;
10. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი'';
11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ანალიზი და დასაბუთება;
12. ბრძანებით განსაზღვრული პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი
13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
14. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N04-13 ბრძანება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
15. კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმრო მომსახურება“, განხორციელებისათვის სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი'' არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით, ფლობს ძირითად სასწავლო ფართს, რომელიც მდებარეობს მცხეთის რაიონში დაბა სტეფანწმიდაში

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეული სასწავლო გარემო შეადგენს: - A სასწავლო გარემო - განთავსებულია 10 პროფესიული სტუდენტებისათვის მაგიდა და სკამი; პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი; თითო კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის; დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი, 1 ცალი; თვალსაჩინოებები; რუკები; დაფა 1 ცალი.

- B სასწავლო გარემო - შერჩეულია №208 აუდიტორია, სადაც განთავსებულია 10 პროფესიული სტუდენტებისათვის მაგიდა და სკამი; პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი; 10 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის; დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი, 1 ცალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაფა 1 ცალი; კომპიუტერებში ჩატვირთულია სასტუმროს მართვის პროგრამა - OPERA (PMS); კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები) 1 ცალი;

- კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის მიზნებისათვის მოწყობილი აქვს ოთხი B სასწავლო გარემო, თითოეული აუდიტორია გათვლილია 10 პროფესიული სტუდენტისათვის და აღჭურვილია მოცემული სასწავლო გარემოს აღჭურვილობისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით.

- პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ორ სასტუმროსთან - სასტუმრო „თაუერ ყაზბეგი" და სასტუმრო "KETINO's HOME", სადაც გატანილია პროგრამის ყველა პრაქტიკული ნაწილი. მემორანდუმის მიხედვით პრაქტიკის ობიექტი იღებს ვალდებულებას ერთდროულად მოემსახუროს 10 პროფესიულ სტუდენტს ერთ ცვლაში. ხელშეკრულებაში გაწერილია მხარეთა ვალდებულებები, პასუხისმგებლობები და სხვა პირობები. მემორანდუმის პირობები არ აზიანებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს დაურთოს პრაქტიკის ობიექტზე დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ნუსხა, რაც დადასტურებული იქნება პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლის ხელმოწერით და იდენტიფიცირებული იქნება პრაქტიკის ობიექტის ვალდებულება, პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის მოცემული რესურსის გამოყენების თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმრო მომსახურება" განხორციელებაში სულ ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 8 არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, 4 ახორციელებს პროფესიულ მოდულებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის ცხრილი, რომელიც მოიცავს მოდულით გასაზღვრული საკონტაქტო საათებით დატვირთვას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული იქნება ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, თუმცა რეკომენდებულია:

- კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.
-

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმრო მომსახურება“ განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებასა და შეფასებაში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შემოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები და შეფასდა პროფესიული განათლების მასწავლებელთავის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან პერსონალის პირადი საქმეების შესაბამისობის საკითხი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

პერაონალის პირადი საქმეების შესწავლითა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, თუმცა რეკომენდებულია პერსონალი პერიოდულად გადამზადდეს მომსახურების სფეროში არსებული სიახლეებისა
და მიდგომების გაცნობის მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია,
თუმცა რეკომენდებულია პერსონალი პერიოდულად გადამზადდეს მომსახურების სფეროში არსებული სიახლეებისა და მიდგომების გაცნობის მიზნით.

4. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №04-47 ბრძანებით დანიშნულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის N04-65 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები", რომელიც ასევე განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, განსაზღვრავს პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტებს, ზრუნავს პროგრამის შინაარსა და მის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარებაზე, ჩართულია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, სასწავლო პროცესის მენჯერთან ერთად ჩართულია შეფასების მტკიცებულებების შეგროვების პროცესში, პროგრამის განხორციელებისას ახორციელებს კომუნიკაციას პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიულ მასწავლებელთან, ყოველკვირეულად პროფესიული მასწავლებისგან მიწოდებული ინფორმაციების საფუძველზე განიხილავს სტუდენტთა დასწრების ჟურნალსა და პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს შესაბამისი ღნისძიების გატარების მოთხოვნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგობრივი მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე სპეციალისტი. მას უდასტურდება ასევე კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის

ხელმძღვანელი სრულფასოვნადაა ჩართული პროგრამის განხოციელებაში და სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - „სასტუმრო მომსახურება" მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. ამასთან, პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელ.ფოსტაზე გაგზავნის გზით. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმებულ იქნა პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო რესურსების სარგებლობის ფაქტი, წიგნადი ფონდის მოძრაობის სტატისტიკა. განხორციელდა ინტერვიურება პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

6. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ადგენს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშვების მექანიზმს, რომლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლოა შედგეს სსსმ პირისთვის, მობილობის წესით გადმოსვლისას, პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენისას, მოდიფიცირებულ/ოპტიმიზებულ პროგრამაზე სტუდენტის გადაყვანისას.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ჩართულია სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის მენეჯერი, თუმცა არ ჩანს პროფესიული სტუდენტის ჩართულობა. ხოლო სსსმ პირისათვის განკუთვნილ ინდივიდუალური გეგმის შესადგენად იქმნება კომისია, რომელშიც შედიან ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და ხარისხის მართვის მენეჯერი. ავტორიზაციის განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ კოლეჯში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა, რომელიც ძირითადად სსსმ პირების შემთხვევებს უკავშირდება. ექსპერტთა ჯგუფმა კოლეჯის წარმომადგენლებს განუმარტა ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაში პროფესიული სტუდენტის ჩართულობის მნიშვნელობა მისი ინტერესების გათვალისწინებით. ამასთან, აღინშნა ინდივიდუალური გეგმის შედგენისას პროგრამის ხელმძღვანელის და საჭიროების შემთხვევაში პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩართულობის საჭიროება, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით თავად პროცესი ექვემდებარება მონიტორინგს, შესაბამისად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ხარისხის მენეჯერის ჩართულობა იწვევს ინტერესთა კონფლიქტს. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დასრულებამდე, დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და რეგულაციაში სათანადო ცვლილება შეიტანა, შესაბამისად, ცენტრის წარმომადგენლის მეშვეობით კოლეჯის მიერ წარმოდგენილია „სასწავლო პროცესის მართვის წესი“, რომელშიც ცვლილებები განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 17 ივნისის №04-119 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმროს მომსახურება“ განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია ჯგუფში პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით, თუმცა ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება კოლეჯის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით დაგეგმილ შემოსავლებს.

შემოსავალს შეადგენს ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, ხოლო ხარჯვითი ნაწილი კლასფიცირებულია შემდეგნაირად: მასწავლებელთა ხელფასი, ძირითადი საშუალების ცვეთა, დიპლომების ბეჭდვა, რეკლამის ხარჯი, სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები, სხვა ხარჯი (ადმინისტრაციული, კომუნალური და სხვა). ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა პროგრამის ბიუჯეტი რატომ არ ითვალისწინებდა მოცემული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის ხარჯს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელს მკაფიო პასუხი არ ჰქონდა. თუმცა, დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა პროგრამის ახალი ბიუჯეტები, სადაც მოცემული კომპონენტი განსაზღვრულია.

ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარი არის 8 პროფესიული სტუდენტი , ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა არის 10 .

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტის წინა წლების შესრულების ანგარიში, თუმცა მოცემული დოკუმენტი არ იძლევა ნათელ სურათს დაგეგმილი და რეალური ფინანსური მდგომარეობის შესახებ. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაანალიზოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო შემოსავლებისა და ხარჯების სახეები, ოდენობები, რენტაბელობის ზღვარი და ამ ანალიზის მიხედვით იმგვარად უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომ საფრთხე არ შეექმნას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, ასევე პროფესიულ სტუდენტებს სრულად ჰქონდეთ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საკმარისი რესურსი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, თუმცა რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაანალიზოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო შემოსავლებისა და ხარჯების სახეები, ოდენობები, რენტაბელობის ზღვარი და ამ ანალიზის მიხედვით იმგვარად უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომ საფრთხე არ შეექმნას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, ასევე პროფესიულ სტუდენტებს სრულად ჰქონდეთ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საკმარისი რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. მატერიალური რესურსისა და ინვენტარის ფლობის დოკუმენტები;
2. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა;
3. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის დასაბუთება;
4. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №04-47 ბრძანებით დანიშნულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის N04-65 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“,
5. კოლეჯის „სასწავლო პროცესის მართვის წესი“, რომელშიც ცვლილებები განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 17 ივნისის №04-119 ბრძანებით;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სასტუმროს მომსახურება;
7. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი და ბიუჯეტის შესრულების ანალიზის დოკუმენტები; 11. პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია;
12. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის №04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს პროგრამის შეფასების მიდგომებს, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის მიზნებისათვის დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღების მეთოდებს, სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგებს, კოლეჯის შიდა საზოგადოების - პროფესიული სტუდენტების, პროფესიული საგანათლების მასწავლებლების, პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ პროგრამის ეფექტიანობის შეფასების ანალიზსა და სხვა. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი.

კოლეჯში შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები. სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და სხვა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კმაყოფილების კვლევის შედეგებისა და ანალიზის დოკუმენტები, მათ შორის:

- შეფასებისა და საკონტაქტო საათებზე დასწრების შუალედური ანგარიში;
- სსსმ პირთა გამოკითხვის ანგარიში კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე;
- საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ადეკვატურობის გამოკითხვის ანგარიში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევის ანგარიში;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის რაოდენობრივი მაჩვენებლები.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზს და იძლევა რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ დოკუმენტის მე-5 მუხლი არეგულირებს პროგრამაში ცვლილებების შეტანა და განვითარების საკითხებს, მათ შორის განსაზღვრულია - პროგრამაში ცვლილების ინიცირების უფლების მქონე პირები: ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის განმახორციელებელი ნებისმიერი პირი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია, პროგრამის ხელმძღვანელი; პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირების პროცედურა; პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიდგომები, მათ შორის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირების საკითხები; პროგრამის ხელმძღვანელის პროგრამის განვითარების პროცესში; პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოსცემის საკითხები;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესის ეტაპებია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

ა) ინფორმაციის შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა, პროგრამის შეფასება პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა.
ბ) ინფორმაციის დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვის შედეგებისა და შეფასების შედეგების ანალიზი;
გ) გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირები აანალიზებენ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელ მხარეებს.
დ) რეკომენდაციების მომზადება და ცვლილებები - პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;

ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების დანერგვა აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

ზემოაღნიშნულის დასტურად დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე: N04-16 (21.02.2019); N04-25(11.03.2019); N04-34 (27.03.2019); N04-87 (03.09.2019); N04-142 (02.12.2019); N04-148 (09.12.2019); N04-155 (16.12.2019); N04-25 (13.02.2020); N04-243 (22.12.2020); №02-30 (12.03.2021); №04-30 (15.03.2021); №04-50 (16.04.2021); №04-138 (04/11/2021); №04-50 (09.03.2022).

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა მიზნობრივი კითხვების დასმის გზით განახორციელა ინტერვიურება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, რომლებმაც დაადასტურეს მათ მიერ კმაყოფილების კითხვარების შევსების, მეცადინეობებზე კოლეჯის წარმომადგენელთა დასწრების ფაქტები. ინტერვიურებისას არც ერთ პირს არ გამოუთქვამს უკმაყოფილება კოლეჯის მიერ მათი მოთხოვნისა და საჭიროების უგულებელყოფის თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, თუმცა რეკომენდებულია „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული) შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“-ში გაიწეროს რა შემთხვევაში ხდება პროგრამაში ცვლილებების განხორციელება, რა ტიპის ცვლილებების განხორციელების დროსაა დაწესებულება აღნიშნული აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და რა ვადაში, რა ვალდებულება აქვს დაწესებულებას დუალურ პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში როგორ იქცევა დაწესებულება, იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის №04-26 ბრძანებით დამკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და საკონტაქტო საათებზე დასწრების შუალედური ანგარიში;
3. საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ადეკვატურობის გამოკითხვის ანგარიში;
4. დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
5. პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში;
6. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
7. კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევის ანგარიში;
8. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის რაოდენობრივი მაჩვენებლები.
9. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
11. პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სასტუმრო მომსახურება განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. პროგრამას ახლავს სასწავლო გეგმა.

სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს მეცადინეობის განრიგებს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯრი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს.

სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და ელ.ფოსტაზე მიწოდების გზით.

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას კოლეჯის პერსონალმა განაცხადა, რომ დისტანციური სწავლების პირობებში კოლეჯმა სწრაფად და მარტივად განახორციელა რეაგირება.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულების შესახებ, ასევე გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - სასტუმრო მომსახურება სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს.

პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხორციელდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, რა დროსაც მათ მიეწოდებათ ყველა ინფორმაცია პროგრამის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების, შესაძლებლობების, პროგრამის განხორციელების თავისებურებებისა და სხვათა შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, კვალიფიკაციის, კრედიტის, ხანგრძლივობის ცვლილების შემთხვევაში კოლეჯი მოიპოვებს შესაბამისი პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა თანხმობას. დისტანციურ რეჟიმში სწავლების კომპონენტები გამოიყენება ფორსმაჟორული ვითარების დროს, პროფესიულ სტუდენტთა ავადობის ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული

შესაძლებლობების დროს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც გამორიცხავს კოლეჯის ტერიტორიაზე მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ერთდროულად ყოფნას.
სსსმ პროფესიული სტუდენტების საწარმო პრაქტიკაზე განაწილება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის აქტიური ჩართულობით კანონიერ წარმომადგენელთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში, თუ ვერ ხდება პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტზე განაწილება კოლეჯი უფლებამოსილია გადაიტანოს საწარმოო პრაქტიკა, რისთვისაც შეაქვს ცვლილება სასწავლო გეგმაში. ამავე დოკუმენტით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა გაცდენების საკითხები, მათ შორის განსაზღვრულია გცდენის საპატიო მიზეზები და მათი მოპოვების გზები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯში დარეგულირებულია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, ამ მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმრო მომსახურება: ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია სასწავლო პროცესში გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმრო მომსახურება“ სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე კოლეჯში შემუშავებულია მექანიზმი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა წარმოიშობა შემდეგი გარემოებების არსებობისას: სსსმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მობილობით გადმოსულია პირი; პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ორჯერ;

დაწესებულებას არ ჰყავს შშმ ან/და სსსმ სტუდენტები და შესაბამისად ინდივიდუალური სასწავლო გეგმები არ აქვს შემუშავებული.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ინტერვიურებისას პროფესიულ სტუდენტებმა დაადასტურეს კოლეჯის მიერ მათი საჭიროებების გათვალისიწნებისა და დაკმაყოფილების ფაქტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. სასტუმრო „თაუერ ყაზბეგი“ და სასტუმრო “KETINO’s HOME” პრაქტიკის ობიექტზე ხორციელდება ყველა პრაქტიკული მოდული

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენელსა და პროფესიულ სტუდენტებს. პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენელი ადასტურებს კოლეჯთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას, ასაბუთებს ამ თანამშრომლობის მნიშვნელობას და მზად არის უზრუნველყოს კურსდამთავრებულთა დასაქმება, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა გაზარდოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პარტნიორი დაწესებულებების რიცხვი, მათ შორის ითანამშრომლოს საერთაშორისო სტანდარტების მქონე სასტუმროებთან, რითაც ხელს შეუწყობს მოცემული პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სასტუმრო მომსახურება არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს, თუმცა პროგრამის ფარგლებში დაწესებულების მიერ შემუშავებულია დარგობრივი ინსტრუქციები და გამოკრულია A სასწავლო გარემოში.

აღნიშნული მექანიზმების გამოყენება სასწავლო პროცესში, რაც დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო გარემოს დათვალიერებითა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სასტუმრო მომსახურება და მისი დანართები;
2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესი;
3. კოლეჯსა და პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიული სტუდენტებისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმი და მათი გაცნობის მტკიცებულებები; 9. კოლეჯსა და პარტნიორ დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები;

5. პროფესიულ სტუდენტებთან, კოლეჯის პერსონალთან, კურსდამტავრებულებებთა და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან

ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის VIII თავი განსაზღვრავს შეფასების სისტემას, შეფასების ინსტრუმენტებსა და შეფასების უწყისის წარმოების მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტი ადგენს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების სისტემის არსებობის სავალდებულოობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების ინსტრუმენტებს ადგენს პროფესიული მასწავლებელი. კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა და განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენის ვადები.

პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალიდაციის პროცესში რთავს პროგრამის ხელმძღვანელს ან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს, რომლებიც ახორციელებენ

შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და პროგრამის ხელმძღვანელი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. ხარვეზების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შესწორებული სახით. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება პროფესიულ სტუდენტის შეფასების მიზნებისათვის. დაუშვებელია შეფასების დროს ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც არ არის შეთანხმებული კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან.

კოლეჯში დარეგულირებულია განმეორებითი შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებიც, რომელთა შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების საკითხი დადასტურებულ იქნა პროფესიულ სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები, რიგ შემთხვევებში გაცემული რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოების შერჩევით შემოწმების შედეგად აღმოჩნა, რომ რიგ შემთხვევებში შეფასების ინსტრუმენტები საჭიროებს გაუმჯობესებას, მათ შორის მწირია შესაფასებელი საკითხები. რეკომენდებულია პროფესიული მოდულების შეფასების ინსტრუმენტებში შესაფასებელი საკითხები სრულად ფარავდეს მოდულის შესაბამის სწავლის შედეგს.

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციისა და შეფასების ადმინისტრირების პროცესები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და დაცულია სამართლიანობის პრინციპები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსერტთა ჯგუფის ინტერვიურების გზით, მათ შორის კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთათვის შეფასების შედეგების გაცნობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, თუმცა რეკომენდებულია რეკომენდებულია პროფესიული მოდულების შეფასების ინსტრუმენტებში შესაფასებელი საკითხები სრულად ფარავდეს მოდულის შესაბამის სწავლის შედეგს.

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზნები, ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირების საკითხები, მათ შორის ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, ვერიფიკაციის პროცესიში რისკ ფაქტორების განსაზღვრის წესი, ვერიფიკაციის დასკვნების შედგენისა და განხილვის მიდგომები, რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შედგენისა და ამ გეგმით გათვალისწინებული აქტიოებების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, რადგანაც დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია ვერიფიკაციის მექანიზმების განხორციელება. პროფესიულ სტუდენტთა შეფასება უკვე ითვალისწინებს ვერიფიკაციას, რადგანაც დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმის საფუძველზე, 2022 წლის აგვისტოს ბოლომდე შეასრულა ნაკისრი ვალდებულება.

3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის VIII თავი განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების/მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.

პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები ფორმდება შესაბამისი უწყისით. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის

მენეჯერს ან პროგრამის ხელმძღვანელს სათანადო აღრიცხვის მიზნით. საბოლოოდ კი პროგრამის ხელმძღვანელი მონაცემებს გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც მტკიცებულებებს აღრიცხავს ელექტრონული ან მატერიალური ჟურნალის საშუალებით.

მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალს ავსებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული სტუდენტების სახელი და გვარი, ჯგუფის ნომერი, პროგრამის დაწყებისა და დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, მტკიცებულებების შენახვის ადგილი. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევთ იქნა გადამოწმებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, თუმცა რეკომენდდებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებლ წესში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობაა „შევსებული შეფასების ინსტრუმენტების“ ნაცვლად ჩანაცვლდეს „შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები“

4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის VIII თავი განსაზღვრავს შეფასების შედეგების გათვალისინებას პროფესიული სტუდენტების სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია დირექტორის მიერ საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად ხდება პროფესიული სტუდენტისათვის რეკომენდაციების გაცემა, პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და კურსდამთავრებულებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*

2. კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა;
3. შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები;
4. პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები;
5. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
6. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები;
7. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები;
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სასტუმრო მომსახურება.
9. პროფესიულ სტუენტებთან, პერსონალტან და კურსდამტავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(დაბა სტეფანწმინდა 2022)*